



ს ა ბ შ რ თ ა  
ს ა დ რ ა ტ ო რ ი  
ს ა მ ო რ ფ ო რ მ ო ვ ა  
ს ა მ ო რ ფ ო რ მ ო ვ ა  
ს ა მ ო რ ფ ო რ მ ო ვ ა

№3  
1937

## ნ ო მ ე რ უ ი

ი. სტალინი—პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებსა და ტროცკისტ და სხვათა თვალთმაქცთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე.  
მოხსენება და საბოლოო სიტყვა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1937 წლის 3—5 მარტს . . . . . 3

ხელოვნების მუშაკთა გამორჩეული დიდი სტალინის ისტორიულ მოხსენებაზე . . . . . 27

### ილია ჭავჭავაძის იუბილეათვის

ი. ჭავჭავაძე—გაზაფხული (ლექსი ხელნაწერი) . . . 31  
ილია ჭავჭავაძე მუსიკის შესახებ . . . . . 32  
ორი ფელეტონი „ივერიიდან“ თეატრალურ ხელოვნებაზე . . . . . 35  
ვ. ხურციძე—ილია ჭავჭავაძე სცენისა და დრამატიული ხელოვნების შესახებ . . . . . 39  
ა. ჩიქობავა—ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ . . . 43  
ს. ჭილაია—ილია ჭავჭავაძის პირველი ჟურნალი . 49

### თეატრი და კინო

მ. ჩაჩიბაია — მაღალი პოლიტიკური უღერის სპექტაკლი . . . . . 57  
ვ. — ჩ. — გლენური მოძრაობის გმირული სურათი . 62  
სარედაქციო—კინოფილმ „დარიკოს“ შესახებ . . 65

### ხალხური შემოქმედება

ა. ღვინიაშვილი—მეჩონგურე ქალთა ანსამბლი . 66  
ი. ჯურაბიშვილი (ელეფთერიძე)—ლეკური . . . 71

### ბიბლიოგრაფია

მ. დუდუჩავა — ქართული ხელოვნების ისტორიის პრობლემები . . . . . 77

### ჩანართები

ილია ჭავჭავაძე — ნახატი ვ. ვეფხვაძისა (ორი ფერი) . . . . . 30—31  
ილია ჭავჭავაძე კითხულობს „განდევილს“ კართველ საზოგადო მოღვაწეთა წრეში. ნახატი ალ. გიგოლაშვილისა . . . . . 48—49  
„სინას“ პერსონაჟები — ესკიზები მხატვ. . . . . 62—63

რედაქციის მისამართი: ტფილისი, რუსთაველის  
პროსპ. № 21, ტელეფონი 3-09-64.

მიღება ყოველდღე, გარდა გამოსასვლელ დღე-  
ბისა, 2-დან 5 საათამდე.



ტფილისი. გამოცემის მესამე წელი. 5 ბეჭდვითი  
ფურცელი. ხელმოწერილია 2/XII. შეკვეთა № 1344.  
ტირაჟი 3000. მთავლიტი 10545. ტფილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50. საქ-პარტგამომცემი



# ს ა ბ შ რ თ ა ხ ე რ ო ვ ნ ე ბ ა

ს ა მ ო ვ ნ ე ბ ი ს ა ღ ა ლ ი ბ ა რ ა ბ შ რ ი ს მ ც ო რ ნ ე მ ო ბ ი ს მ უ კ ა ნ ა მ ი

სსსრ სახმომსახურისთან არსებული ხელშეწყობის სამმართველოს ორთვიური ორგანო

ვ ა ნ ა ლ ი ს ი ს მ მ ა მ ა მ ი რ ა ლ ა კ ტ რ ი ბ. მ ო შ ა  
ვ ა ნ ა ლ ი ს ი ს მ მ ა მ ა მ ი მ ო რ ი ვ ა ნ ი ვ. ჩ ა ჩ ი ბ ა ნ ი ა

2014



# ს ა გ ჟ ო ტ ა ხ ა ლ ო ვ ნ ე ბ ა

## ი. ს ვ ა ლ ი ნ ი

### პაკვიული მუშაობის ნაკლოვანებებსა და გროსკიოს და სხვათა თვალთმაქცთა ლიკვილასიის ღონისძიებებზე

მოსხანება და საბოლოო სიგევა სპ. კ. პ. (ბ) მანჩალური  
ქობიჯვის პლანეზა 1937 წლის 3-5 მაგს

ამხანაგებო!

პლენუმზე მოსმენილი მოხსენებებიდან და მათ ირგვლივ გამართული კამათიდან სჩანს, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს შემდეგ სამ ძირითად ფაქტთან.

ჯერ-ერთი, მენებლური და დივერსიულ-ჯაშუშური მუშაობა უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტებისა, რომელთა შორის საკმაოდ აქტიურ როლს თამაშობდნენ ტროცკისტები, მეტად თუ ნაკლებად შეეხო ყველას ან თითქმის ყველა ჩვენს ორგანიზაციას, როგორც სამეურნეოს, ისე ადმინისტრაციულსა და პარტიულს.

მეორე, უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტები, მათ შორის ტროცკისტები, გაძვრნენ არა მარტო ძირეულ ორგანიზაციებში, არამედ ზოგიერთ პასუხსაგებ პოსტზედაც.

მესამე, ზოგიერთმა ჩვენმა ხელმძღვანელმა ამხანაგებმა, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზედაც, არა თუ ვერ მოახერხეს დაენახათ ამ მენებელთა, დივერსანტთა, ჯაშუშთა და მკვლელთა ნამდვილი სახე, არამედ ისინი იმდენად უღარდელნი, უზრუნველნი და გულუბრყვილონი აღმოჩნდნენ, რომ არაიშვიათადად თვითონ უწყობდნენ ხელს უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტების დაწინაურებას ამათუიმ პასუხსაგებ პოსტებზე.

ასეთია სამი უდავო ფაქტი, რომელიც ბუნებრივად გამოიძინარეობს მოხსენებებიდან და მათ ირგვლივ გამართული კამათიდან.

### I.

#### პოლიტიკური უდავლობა

რით აიხსნება, რომ ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგები, რომელთაც აქვთ სხვადასხვაგვარ ანტიპარტიულ და ანტისაბჭოთა მიმდინარეობებთან ბრძოლის მდიდარი გამოცდილება, ამ შემთხვევაში ისე გულუბრყვილონი და ბრძინი აღმოჩნდნენ, რომ ვერ მოახერხეს დაენახათ ხალხის მტრების ნამდვილი სახე, ვერ მოახერხეს გამოეცნოთ ცხვრის ტყავში გახვეული მგლები, ვერ მოახერხეს ჩამოეგლიჯათ მათთვის ნიღაბი?

შეიძლება თუ არა ვამტკიცოთ, რომ მენებლური და დივერსიულ-ჯაშუშური მუშაობა უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტებისა, რომელნიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოქმედებენ, შესაძლებელია იყოს ჩვენთვის რაღაც მოულოდნელი და უმეგალითო? არა, ამის მტკიცება არ შეიძლება. ამას გვეუბნებიან ოფიციალურ დოკუმენტებში ფიქსირებული მენებლური აქტები სხალხო მებრუნეობის სხვადასხვა დარგში უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, დაწყებული შახტის პერიოდი.

უ ება თუ არა ეამტკიცოთ, რომ ბოლო დროს ჩვენ არ გგვჩონია რაიმე მათგანი, რომელი სიგნალები და გამაფრთხილებელი მითითებანი დაიზრდებოდა. კესტულ-ზინოვიევეური აგენტების მენეჯმენტური, ჯაშუშური თუ ტერორისტული საქმიანობის შესახებ? არა, ამის მტკიცება არ შეიძლება. ასეთი სიგნალები იყო, და ბოლშევიკებს უფლება არა აქვთ დაივიწყონ ისინი.

ამხანაგ კიროვის ავაზაკური მოკვლა იყო პირველი სერიოზული გაფრთხილება, რომელიც გვეუბნებოდა, რომ ხალხის მტრები ითვალისწინებენ და, ვასწავნიან რა თვალთმაქობას, გაიკეთებენ ნიღაბს ბოლშევიკისას, პარტიელისას, რითა ნდობა დაიმსახურონ და გზა გაიკვიონ ჩვენი ორგანიზაციებისაკენ.

„ლენინგრადის ცენტრის“ სასამართლო პროცესმა, ისე როგორც „ზინოვიევი-კამენევის“ სასამართლო პროცესმა, ახალი დასაბუთება მისცა იმ გაკვეთილებს, რომლებიც გამომდინარეობენ ამხანაგ კიროვის ავაზაკურად მოკვლის ფაქტიდან.

„ზინოვიევეურ-ტროცისტული ბლოკის“ სასამართლო პროცესმა გააფრთხილა წინა პროცესების გაკვეთილები და თვალნათლივ დაგვანახა, რომ ზინოვიევიელები და ტროცისტები თავიანთ ვერაშეშო აერთიანებენ ყველა მტრულ მურყუაზიულ ელემენტს, რომ ისინი გადაიქცნენ გერმანიის პოლიციური ოხრანისკი ჯაშუშურ და დივერსიულ-ტერორისტულ აგენტურად, რომ თვალთმაქობა და შენიღბვა წარმოადგენენ ზინოვიეველებისა და ტროცისტების ერთადერთ საშუალებას ჩვენს ორგანიზაციებში შემოსაძრამად, რომ სიფხიზლე და პოლიტიკური გამჭრიახობა წარმოადგენენ ყველაზე უტყუარ საშუალებას ასეთი შემოძრომის თავიდან ასაცილებლად, ზინოვიევეურ-ტროცისტული ხროვის სალიკიდაციოდ.

საქ. კ. 3. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის 1935 წლის 18 იანვრის დახურულ წერილში ამხანაგ კიროვის ავაზაკური მოკვლის გამო ვადაპირით აფრთხილებდა პარტიულ ორგანიზაციებს პოლიტიკურ უზრუნველბისა და ობიექტული დოკუმენტისაკენ. დახურულ წერილში ნათქვამია:

„ბოლო უნდა მოველით ოპორტუნისტულ უზრუნველბას, რომელიც გამომდინარეობს შემცდარი მოსაზრებიდან, რომ ჩვენი ძალების ზრდასთან ერთად მტერი თითქოს უფროდაუფრო მოშიანურებული და უწყინარი ხდებაოდეს. ასეთი მოსაზრება ძირშივე არასწორია. იგი არის ამონაცხნი მემარჯვენე ვადახრისა, რომელიც ყველას და ყოველივეს არწმუნებს, რომ მტრები ნელნელა შევოცდებიან სოციალ-შემში, რომ ისინი ბოლოსდაბოლოს ნამდვილი სოციალისტები გახდებიან. ბოლშევიკების საქმე რაოდია განცტირების მიეწენ და დოკუმაობა გამოიჩინონ. ჩვენ უზრუნველობა კი არ გვესაჭიროება, არამედ სიფხიზლე, ნამდვილი ბოლშევიკური რევოლუციური სიფხიზლე. უნდა გვახსიოდეს, რომ რაც უფრო უნუგვშოა მტრების მდგომარეობა, მით უფრო მეტი ხალისით ჩასქიდებენ ისინი ხელს უკოდურეს საშუალებებს, როგორც ვანწირულთა ერთადერთ საშუალებებს მათს ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლებასთან. ეს უნდა გვახსიოდეს და ფხიზელი ვიყოთ.“

თავის 1936 წლის 29 ივლისის დახურულ წერილში ტროცისტულ-ზინოვიევეური ბლოკის ჯაშუშურ-ტერორისტული საქმიანობის გამო საქ. კ. 3. (ბ) ცენტრალური კომიტეტი კვლავ მოუწოდებდა პარტიულ ორგანიზაციებს გამოიჩინათ მაქსიმალური სიფხიზლე, ხალხის მტრების გამოცნობის უნარი, რაიც კარგად შენიღბულნიც უნდა იყვნენ ისინი. დახურულ წერილში ნათქვამია:

„ახლა, როდესაც დამტკიცებულა, რომ ტროცისტ-ზინოვიევეური გარეწრები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში აერთიანებენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყველაზე გაბოროტებულ და მოსისხლე მტრებს — ჯაშუშებს, პროვოკატორებს, დივერსანტებს, თეთრგვარდიელებს, კლდეებს და ა. შ., როდესაც, ერთი მხრით, ამ ელემენტებსა და, მეორე მხრით, ტროცისტებსა და ზინოვიეველებს შორის წაიშალა ყოველგვარი ზღვარი, — ყველა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ, პარტიის ყველა წევრმა უნდა შეივინოს, რომ კომუნისტთა სიფხიზლე აუცილებელია ყოველ უბანზე და ყოველგვარ ვითარებაში. თვითუფლი ბოლშევიკის განუყოფელი თვისება ახლანდელ პირობებში უნდა იყოს უნარი იმისა, რომ გამოიცნოს პარტიის მტერი, რაიც კარგადაც უნდა იყოს იგი შენიღბული.“

მაშასადამე, სიგნალები და გაფრთხილებანი იყო. რისკენ მოვიწოდებდნენ ეს სიგნალები და გაფრთხილებანი?

საქალაქო მუშაობის სისტემა და გადაგვეტია პარტია მიუვალ ციხე-სიმაგრედ, სადაც ვერ შეძებრებოდა ვერც ერთი თვალთმაქცი.

ისინი მოგვიწოდებდნენ იმისკენ, რათა ბოლო მოგველო პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შეუფასებლობისათვის და გადაჭრით მოვბრუნებულყავით მუშაობის ყოველმხრივ გაძლიერებისაკენ, პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერებისაკენ.

და მერე რა? ფაქტებმა დაგვანახეს, რომ სიგნალებსა და გაფრთხილებებს ჩვენი ამხანაგები ძალიან ზანტად ითვისებდნენ.

ამის მკერმეტყველად მოწმობენ ყველასათვის ცნობილი ფაქტები პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის კამპანიის დარღვანა.

რით აიხსნება, რომ ამ გაფრთხილებებმა და სიგნალებმა ვერ იქონიეს სათანადო მოქმედება?

რით აიხსნება, რომ ჩვენი პარტიული ამხანაგები, ანტისაბჭოთა ელემენტებთან მათი ბრძოლის გამოცდილების მიუხედავად, მთელი რიგი მანიშნებელი სიგნალებისა და გამაფრთხილებელი მითითებების მიუხედავად, პოლიტიკურად ბეცები აღმოჩნდნენ ხალხის მტრთა მავნებლური და ჯაშუშურ-დივერსიული მუშაობის წინაშე?

შეიძლება ჩვენი პარტიული ამხანაგები უფრო უარესნი გახდნენ, ვიდრე წინათ იყვნენ, გახდნენ ნაკლებად შეგნებულნი და დისციპლინირებულნი? არა, რა თქმა უნდა, არა!

იქნებ მათ იწყეს გადაგვარება? კვლავ არა! ასეთი ვარაუდი მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

მაშ რაშია საჭმე? საიდან არის ასეთი დოკლამობა, უდარდლობა, უზრუნველობა, სიბრმავე?

საჭმე ის არის, რომ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს, სამეურნეო კამპანიებით და სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე კოლოსალური წარმატებებით გატაცებულებს, პირდაპირ დაავიწყდათ ზოგიერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელთა დავიწყების უფლება ბოლშევიკებს არა აქვთ. მათ დაავიწყდათ ერთი ძირითადი ფაქტი სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის სტერეოტიპი და ვერ შეამჩნიეს ორი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი, რომლებსაც პირდაპირ დაზოკიდებულა აქეთ ახლანდელ შეგნებულთან, ჯაშუშებთან, დივერსანტებთან და მკვლელებთან, რომლებიც პარტიულ ბილეთს ეფარებიან და ბოლშევიკის ნიღაბს იკეთებენ.

## II.

### კაპიტალისტური გარემოცვა

რა ფაქტებია ეს ფაქტები, რომლებიც დაივიწყეს ან რომლებიც პირდაპირ ვერ შეამჩნიეს ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა?

მათ დაივიწყეს ის, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა დედამიწის მხოლოდ მეექვსედ ნაწილზე, რომ დედამიწის ხუთ მეექვსედს შეადგენენ კაპიტალისტური სახელმწიფოების სამფლობელოები. მათ დაივიწყეს, რომ საბჭოთა კავშირი იმყოფება კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში. ჩვენთან მიღებულია ილიაყონ კაპიტალისტურ გარემოცვაზე, მაგრამ არ სურთ ჩაუფიქრდნენ, რა არის ეს კაპიტალისტური გარემოცვა. კაპიტალისტური გარემოცვა—ეს ცვალებადი ფრაზა როდია, ეს მეტად რეალური და არასასიამოვნო მოვლენაა. კაპიტალისტური გარემოცვა—ეს ნიშნავს, რომ არის ერთი ქვეყანა, საბჭოთა კავშირი, რომელშიც დაიმყარა სოციალისტური წესწყობილება; და, ვარდა ამისა, არის ბევრი ქვეყანა—ბურჟუაზიული ქვეყნები, რომლებიც განაგრძობენ კაპიტალისტური წესით ცხოვრებას და რომლებიც გარსტრეკციან საბჭოთა კავშირს, ელოდებიან რა შემთხვევას იმისათვის, რომ თავს დაესხან მას, დაამარცხონ იგი ან, ყოველ შემთხვევაში—ძირი გამოუთხარონ მის ძლიერებას და დაასუსტონ იგი.

ეს ძირითადი ფაქტი დაივიწყეს ჩვენმა ამხანაგებმა. და სწორედ ხომ ის განსაზღვრავს კაპიტალისტურ გარემოცვასა და საბჭოთა კავშირის შორის ურთიერთდამოკიდებულებათა საფუძველს.

აეილით, მაგალითად, ბურჟუაზიული სახელმწიფოები. გულბრყვილო აღმანიჭებელი შეუძლიან იფიქრონ, რომ მათ შორის არსებობს განსაკუთრებით

კეთილ ურთიერთობა, როგორც ერთი ტიპის სახელმწიფოებს შორის. მაგრამ ასე მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანებს შეუძლიანთ ფიქრონ. ნამდვილად კი ურთიერთობა მათ შორის ძალზე დაშორებულია კეთილმეზობლურ ურთიერთობასთან. დამტკიცებელია, როგორც ორჯერ ორი ოთხია, რომ ბურჟუაზიის სახელმწიფოები ერთმანეთს ზურგში უგზავნიან თავის ჯაშუშებს, მავნებლებს, დივერსანტებს, ზოგჯერ კი მკვლელებსაც, აძლევენ მათ დეალებს ფეხი მოიკიდონ ამ სახელმწიფოების დაწესებულებებსა და საწარმოებში, უპაჰმან იქ თავითი ქსელი და „აუცილებლობის შემთხვევაში“ — აათეთქონ მათი საქმე, რათა დაასუსტონ ისინი და ძირი გამოუთხარონ მათს ძლიერებას. ასეთია სახელმწიფოთა ერთობა ამჟამად. ასეთი იყო საქმის ვითარება წარსულშიც. ავილოთ, მაგალითად, სახელმწიფოები ნაპოლეონ I დროის ევროპაში. საფრანგეთი მანამ სავსე იყო ჯაშუშებითა და დივერსანტებით რუსების, გერმანელების, ავსტრიელების, ინგლისელების ბანაკიდან. და, პირიქით, ინგლისს, გერმანულ სახელმწიფოებს, ავსტრიას, რუსეთს მანამ თავის ზურგში ჰკავდათ ჯაშუშებისა და დივერსანტების არა ნაკლები რაოდენობა საფრანგეთის ბანაკიდან. ინგლისის აგენტებმა ორჯერ სცადეს მოეკლათ ნაპოლეონი და რამდენჯერმე ააჯანყეს ვანდის გლეხები საფრანგეთში ნაპოლეონის მთავრობის წინააღმდეგ. ხოლო რას წარმოადგენდა ნაპოლეონის მთავრობა? ბურჟუაზიულ მთავრობას, რომელმაც ჩაახშო საფრანგეთის რევოლუცია და შეინარჩუნა რევოლუციის მხოლოდ ის შედეგები, რაც ხელსაყრელი იყო მსხვილი ბურჟუაზიისათვის. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ნაპოლეონის მთავრობა ვალში არ რჩებოდა თავის მეზობლებს და ისიც მიმართავდა თავის დივერსიულ ღონისძიებებს. ასე იყო წარსულში, 130 წლის წინათ. ასეა საქმის ვითარება ამჟამად, ნაპოლეონ I დროიდან 130 წლის შემდეგ. ამჟამად საფრანგეთი და ინგლისი სავსეა გერმანიის ჯაშუშებითა და დივერსანტებით და, პირიქით, გერმანიაში თავის მხარე მოქმედებენ ინგლის-საფრანგეთის ჯაშუშები და დივერსანტები. ამერიკა სავსეა იაპონიის ჯაშუშებით და დივერსანტებით, ხოლო იაპონია — ამერიკის ჯაშუშებითა და დივერსანტებით.

ასეთია ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულება-თა კანონი.

იბადება კითხვა, რატომ უნდა მოეპყრან ბურჟუაზიული სახელმწიფოები საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს უფრო რბილად და უფრო კეთილმეზობლურად, ვიდრე თავისივე ტიპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს? რატომ უნდა გზავნიონ მათ საბჭოთა კავშირის ზურგში ნაკლები ჯაშუშები, მავნებლები, დივერსანტები და მკვლელები, ვიდრე მათ გზავნიან თვითონადავ ბურჟუაზიული სახელმწიფოების ზურგში? საიდან აიღეთ თქვენ ეს? უფრო სწორი არ იქნება, მარქსიზმის თვალსაზრისით, ვივარაუდოთ, რომ საბჭოთა კავშირის ზურგში ბურჟუაზიული სახელმწიფოები უნდა გზავნიდნენ ორჯერ და სამჯერ მეტ მავნებლებს, ჯაშუშებს, დივერსანტებსა და მკვლელებს, ვიდრე რომელიმე ბურჟუაზიული სახელმწიფოს ზურგში?

განა ცხადი არ არის, რომ ვიდრე კაპიტალისტური ვარემოცვა არსებობს, ჩვენში იარსებებენ მავნებლები, ჯაშუშები, დივერსანტები და მკვლელები, რომელთაც უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტები გზავნიან ჩვენს ზურგში?

ყოველივე ეს დაივიწყეს ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა და, დაივიწყეს რა ეს, მოუშაადებელი აღმოჩნდნენ.

აი რატომ აღმოჩნდა სრულიად მოულოდნელი ზოგიერთი ჩვენი ამხანაგისათვის იაპონია-გერმანიის პოლიციური ოხრანის ტროცკისტი-აგენტების ჯაშუშურ-დივერსიული მუშაობა.

### III.

#### თანამედროვე ტროცკიზმი

შემდეგ. აწარმოებდნენ რა ბრძოლას ტროცკისტი აგენტებთან, ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა ვერ შეამჩნიეს, მხედველობიდან გამოეპარათ, რომ ახლანდელი ტროცკიზმი უკვე ის აღარ არის, რაც ის იყო, ვთქვათ, 7 — 8 წლის წინათ, რომ ტროცკიზმმა და ტროცკისტებმა ამ ხნის განმავლობაში ვანიკადეს სერიოზული ევოლუცია, რამაც ძირფესვიანად შესცვალა ტროცკიზმის სახე, რომ ამის გამო ტროცკიზმთან ბძლადაც, მასთან ბრძოლის მეოოდები ძირფეს-



ვიანდა უნდა შეიცვალოს. ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა ვერ შეამჩნიეს, რომ ტროცკიზმი აღარ არის პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში, რამე მუშათა კლასში პოლიტიკური მიმდინარეობიდან, რაც იგი 7-8 წლის წინათ იყო, ტროცკიზმი გადაიქცა მანევრული, დივერსანტთა, ჯაშუშთა და მკვლელობითა პირწვადიანად და უპრინციპო ბანდად. რომლებიც მოქმედებენ უცხოეთის სახელმწიფოების მხვერავ ორგანოთა დაელებებით.

რა არის პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში? პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში — ეს ისეთი ჯგუფი ან პარტიაა, რომელსაც აქვს თავისი გარკვეული პოლიტიკური ფიზიონომია, პლატფორმა, პროგრამა, რომელიც არ უშალავს და არც შეუძლიან დაუმალოს თავისი შეხედულებანი მუშათა კლასს, არამედ, პირიქით, აშკარად და პატიოსნად ეწევა თავის შეხედულებათა პროპაგანდას, მუშათა კლასის თვალწინ, რომელსაც არ ეშინიან დაახლოვება მუშათა კლასს თავისი პოლიტიკური სახე, არ ეშინიან მოახდინოს მუშათა კლასის წინაშე თავისი ნამდვილი მიზნებისა და ამოცანების დემონსტრირება, არამედ, პირიქით, სახეხილი მიდის მუშათა კლასში იმისათვის, რომ დააჯეროს იგი თავისი შეხედულებათა სიმართლეში. ტროცკიზმი წარსულში, 7-8 წლის წინათ, იყო ერთერთი ასეთი პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში, მართალია, ანტილენინური და ამიტომ ღრმად შემცდარი, მაგრამ მაინც პოლიტიკური მიმდინარეობა.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ახლანდელი ტროცკიზმი, ვთქვათ, 1936 წლის ტროცკიზმი, წარმოადგენს პოლიტიკურ მიმდინარეობას მუშათა კლასში? არა, ამის თქმა არ შეიძლება. რატომ? იმიტომ, რომ თანამედროვე ტროცკისტებს ეშინიანთ დანახვონ მუშათა კლასს თავიანთი ნამდვილი სახე, ეშინიანთ გაუშვილონ მას თავიანთი ნამდვილი მიზნები და ამოცანები, გულმოდგინედ უმაჩვადენ მუშათა კლასს თავიანთი პოლიტიკურ ფიზიონომიას და ეშინიანთ, რომ, თუ მუშათა კლასი გაიგებს მათს ნამდვილ ზრახვებს, იგი შეაჩვენებს მათ, როგორც უცხო ადამიანებს, და გააძევებს მათ. სწორედ ამით აიხსნება, რომ ტროცკისტული უშუალობის ძირითად მეთოდს ახლა წარმოადგენს თავიანთ შეხედულებათა არა აშკარა და პატიოსანი პროპაგანდა მუშათა კლასში, არამედ თავიანთ შეხედულებათა შენიღბვა, თავიანთ მოწინააღმდეგეთა შეხედულებების პირფერობით და მლიქვნელურად შექება, თავიანთ საკუთარ შეხედულებათა ფარისევლურად და ყალბად ამოსვრა ტალახში.

1936 წლის სასამართლო პროცესზე, თუ გაიხსენებთ, კამენევი და ზინოვიევი გადაჭრით უარყოფდნენ, რომ მათ ჰქონდათ რაიმე პოლიტიკური პლატფორმა. მათ სრული შესაძლებლობა ჰქონდათ გადაეშალათ სასამართლო პროცესზე თავიანთი პოლიტიკური პლატფორმა. მაგრამ ისინი ასე არ მოიქცნენ და განაცხადეს, რომ არავითარი პოლიტიკური პლატფორმა არა გვაქვს. უკვი არაა, ისინი ორივენი სტყუოდნენ, როდესაც უარყოფდნენ პლატფორმის არსებობას. ახლა ბრძენებიც კი ხედავენ, რომ მათ ჰქონდათ საკუთარი პოლიტიკური პლატფორმა. მაგრამ რატომ უარყოფდნენ ისინი, რომ მათ ჰქონდათ რაიმე პოლიტიკური პლატფორმა? იმიტომ, რომ მათ ეშინოდათ გამოეჩინათ თავიანთი ნამდვილი პოლიტიკური სახე, ეშინოდათ ცხვენებინათ თავიანთი ნამდვილი პლატფორმა სსრ კავშირში კაპიტალიზმის რესტავრაციისა, შიშობდნენ რა, რომ ასეთი პლატფორმა მუშათა კლასში ზიზღს გამოიწვევს.

სასამართლო პროცესზე 1937 წელს პაატაკაივი, რადეკი და სოკოლინიკოვი სხვა გზას დაადგნენ. ისინი არ უარყოფდნენ, რომ ტროცკისტებსა და ზინოვიეველებს ჰქონდათ პოლიტიკური პლატფორმა. მათ აღიარეს, რომ იმათ ჰქონდათ გარკვეული პოლიტიკური პლატფორმა, აღიარეს და გადაშალეს იგი თანონი ჩვენებებში. მაგრამ გადაშალეს იგი არა იმისათვის, რომ მოეწოდებინათ მუშათა კლასს, მოეწოდებინათ ხალხი ტროცკისტული პლატფორმისათვის მხარდაჭერისკენ, არამედ იმისათვის, რომ შეეჩვენებინათ და დაეგმოთ იგი, როგორც ანტიხალხური და ანტიპროლეტარული პლატფორმა. კაპიტალიზმის რესტავრაციით, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ლიკვიდაციით, ექსპლოატაციის სისტემის აღდგენა, გერმანიისა და იაპონიის ფაშისტურ ძალებთან კავშირი საბჭოთა კავშირთან ომის მოახლოებისათვის, ბრძოლა ომისათვის და მშვიდობიანობის პოლიტიკის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის ტერიტორიული დაქუცმაცება უკრაინის გადაღობით გერმანელებისათვის, ხოლო პრაიმორიის — იაპონელებისათვის, საბჭოთა კავშირის სამხედრო დამარცხების მომზადება იმ შემთხვევაში, თუ მას თავს დეცხმნიან მტრული სახელმწიფოები, და, როგორც

ამ ამოცანათა მისაღწევი საშუალება, — მავნებლობა, დივერსია, ინდივიდუალური ტერორი საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, შიშისა და იაბონია-გერმანიის ფაშისტური ძალების სისარგებლოდ, — ასეთი პოლიტიკური რადიკალი და სოკოლნიკოვის მიერ გადაშლილი პოლიტიკური პლატფორმა ახლანდელი ტროცკიზმისა. ვასავებია, ასეთი პლატფორმა ტროცკისტებს არ შეეძლოთ არ დემალათ ხალხისათვის, მუშათა კლასისათვის. და ისინი უშეაძლენენ მას არა მარტო მუშათა კლასს, არამედ ტროცკისტულ მასასაც, და არა მარტო ტროცკისტულ მასას, არამედ ხელმძღვანელ ტროცკისტულ ზედაფენსაც, რომელსაც შესდგებოდა ერთი მუჟა ხალხისაგან 30 — 40 კაცის რაოდენობით. როდესაც რადეკმა და პიატაკოვმა ტროცკისაგან მოითხოვეს ნებართვა, რომ ამ პლატფორმის ხასიათის საინფორმაციოდ მოეწვიათ ტროცკისტების პატარა კონფერენცია 30 — 40 კაცის რაოდენობით, ტროცკიმ მათ ეს აუკრძალა და სთქვა, რომ მიზანშეწონილი არ არის ველაბარაკით პლატფორმის ნამდვილი ხასიათის შესახებ ერთ მუჟა ტროცკისტესაც კი, ვინაიდან ასეთ „ოპერაციას“ შეუძლიან განხეთქილება გამოიწვიოს.

„პოლიტიკური მოღვაწენი“, რომლებიც თავის მხედელელებს, თავის პლატფორმას უშეაძლენ არა მარტო მუშათა კლასს, არამედ ტროცკისტულ მასასაც, და არა მარტო ტროცკისტულ მასას, არამედ ტროცკისტთა ხელმძღვანელ ზედაფენსაც, — ასეთი თანამედროვე ტროცკიზმის ფიზიონომია.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ თანამედროვე ტროცკიზმს უკვე არ შეიძლება ეწოდოს პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში.

თანამედროვე ტროცკიზმი არის არა პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში, არამედ მავნებლობა, დივერსანტობა, მზვერავთა, ჯაშუშთა, მკვლელთა უპრინციპო და უდიდო ბანდა, მუშათა კლასის დაუძინებელი მტრების ბანდა, რომლებიც მოქმედებენ უცხოეთის სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოების დაქირავებით.

ასეთია ტროცკიზმის ევოლუციის უდავო შედეგი უკანასკნელი 7 — 8 წლის განმავლობაში.

ასეთია განსხვავება წინანდელ ტროცკიზმსა და ახლანდელ ტროცკიზმს შორის.

ჩენი პარტიული ამხანაგების შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ვერ შენიშნეს ეს დროა განსხვავება წინანდელ ტროცკიზმსა და ახლანდელ ტროცკიზმს შორის. მათ ვერ შენიშნეს, რომ ტროცკისტები უკვე დიდხანია აღარ არიან იდეური ადამიანები, რომ ტროცკისტები უკვე დიდხანია გადაიქცნენ შარა გზის ყაჩაღებად, რომლებსაც შესწევთ უნარი ჩაიღონთ ყოველგვარი სი-საძაგლე, შესწევთ უნარი ჩაიღონთ ყოველგვარი საზოგადოება, თვით შიშისა და თავისი სამშობლოს პირდაპირი ლალატე კი, ოღონდ კი აწინა საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა ხელისუფლებას. მათ ეს ვერ შენიშნეს და ამიტომ ვერ შესძლეს დროზე გარდაქმნილიყვნენ იმისათვის, რათა ტროცკისტებთან ბრძოლა ეწარმოებინათ ახლებურად, უფრო გადაჭრით.

აი რატომ აღმოჩნდა ზოგიერთი ჩენი პარტიული ამხანაგისათვის სრულ შოულოდნელობად ტროცკისტების საძაგლობანი უკანასკნელი წლების განმავლობაში.

შემდეგ, დასასრულ, ჩენმა პარტიულმა ამხანაგებმა ვერ შეამჩნიეს ის, რომ, ერთი მხრივ, ახლანდელ მავნებლებსა და დივერსანტებსა, რომელთაგან ფაშოიზმის ტროცკისტი ავენტურები საკმაოდ აქტიურ როლს თამაშობენ, და, მეორე მხრივ, შახტის პერიოდის დროის მავნებლებსა და დივერსანტებს შორის არსებითი განსხვავებაა.

ჯერ-ერთი. შახტელები და სამრეწველო პარტიის წევრები ჩვენდამი აშკარად უტყობად იმდინები იყვნენ. ესენი იყვნენ მეტწილად საწარმოთა ყოველი მფლობელები, ყოფილი მმართველები ძველ მეპატრონეებთან, ძველ საბჭოთა საზოგადოებათა ყოფილი კომპანიონები, ანდა პირდაპირ ძველი ბურჟუაზიული სპეციალისტები, ჩვენდამი პოლიტიკურად აშკარად მტრულად განწყობილი. არცერთ ჩვენს ადამიანთაგანს ეკვი არ ეპარებოდა იმაში, თუ როგორი იყო ამ ეპატარუნების ნამდვილი პოლიტიკური სახე. თვითონ შახტელებიც არ მალავდნენ თავინთ მტრულ დამოკიდებულებას საბჭოთა წყობილებისადმი. არ შეიძლება იგივე ითქვას ახლანდელ მავნებლებსა და დივერსანტებზე, ტროცკისტებზე. ახლანდელი მავნებლები და დივერსანტები, ტროცკისტები, — ეს მეტწილად პარტიული, ჯიბეში პარტიული ბილეთის მქონე ადამიანები არიან, — მასმასა-დამე, ფორმალურად უტყობად იმდინები არ არიან. თუ ძველი მავნებლები ჩენი

ადამიანების წინააღმდეგ მიდიოდნენ, ახალი მავნებლები, პირიქით, ელექტუ-  
ზიან ჩვენს ადამიანებს, ზოტბას ასხამენ ჩვენს ადამიანებს, მლიქვნელობენ მათ  
წინაშე, რათა ნღობა მოიხევეთ. განსხვავება, როგორც ხედავთ. არსებობს

მეორე, შახტელოა და სამრეწველო პარტიის წევრთა ძალა იმაში მდგომარეობს  
მარეოდა, რომ მათ შეტად თუ ნაკლებად გააჩნდათ საჭირო ტექნიკური ცოდ-  
ნა, მაშინ, როდესაც ჩვენი ადამიანები, რომელთაც ასეთი ცოდნა არ ჰქონდათ,  
იძულებული იყვნენ მათგან ესწავლათ. ეს გარემოება შახტის პერიოდის მავ-  
ნებლებს დიდ უპირატესობას აძლევდა, აძლევდა მათ შესაძლებლობას თავი-  
სუფლად და შეუფერხებლად გაეწიათ მავნებლობა, აძლევდა მათ შესაძლებ-  
ლობას მოეტყუებინათ ჩვენი ადამიანები ტექნიკურად. ეს არ ითქმის ახლანდელ  
მავნებლებზე, ტროცკისტებზე, ახლანდელ მავნებლებს არაერთი ტექნიკური  
უპირატესობანი არა აქვთ ჩვენი ადამიანების მიმართ. პირიქით, ტექნიკურად  
ჩვენი ადამიანები უფრო მომზადებულნი არიან, ვიდრე ახლანდელი მავნებლები,  
ვიდრე ტროცკისტები. შახტის პერიოდიდან დღევანდლამდე ჩვენში ათი ათა-  
სობით გაიზარდნენ ნამდვილი, ტექნიკურად გამოწოთობილი ბოლშევიკური  
კადრები. შეიძლება ათასობით და ათეული ათასობით დავგვასაგებებინა  
ტექნიკურად გაზრდილი ბოლშევიკური ხელმძღვანელები, რომლებთან შედა-  
რებით ყველა ეს პიატაკოვები და ლევშიტები, შესტოვები და ბოგუსლავსკები,  
მურალოვები და დრობნისები ტექნიკური მომზადების თვალსაზრისით ფუჭ მო-  
ლაყებებსა და მოსამზადებელი კლასის მოწაფეებს წარმოადგენენ. მაშ ასეთ  
შემთხვევაში რაში მდგომარეობს ახლანდელი მავნებლების, ტროცკისტების ძა-  
ლა? მათი ძალა მდგომარეობს პარტიულ ბილეთში, იმაში, რომ მათ პარტიული  
ბილეთი აქვთ. მათი ძალა მდგომარეობს იმაში, რომ პარტიული ბილეთი მათ  
ანიჭებს პოლიტიკურ ნღობას და გზას უკავფავს მათ ყველა ჩვენი დაწესებულე-  
ბისა და ორგანიზაციისაყენ. მათი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ისი-  
ნი, ჰქონდათ რა პარტიული ბილეთები და მოჰქონდათ რა თავი საბჭოთა ხელი-  
სუფლების მეგობრებად, ატყუებდნენ ჩვენს ადამიანებს პოლიტიკურად, ბორო-  
ტად იყენებდნენ ნღობას, მავნებლობას ეწეოდნენ ჩემქუშად და ჩვენს სახელ-  
მწიფო საიდუმლოებებს უმხელდნენ საბჭოთა კავშირის მტრებს. თავისი პოლი-  
ტიკური და მორალური ღირებულებით საეჭეო „უპირატესობა“, მაგრამ მანც  
„უპირატესობა“. კაცმა რომ სთქვას, სწორედ ამ „უპირატესობით“ აინსნება  
ის გარემოება, რომ ტროცკისტი მავნებლები, როგორც პარტიულითიანი ადა-  
მიანები, რომელთაც ხელი მიუწვდებოდათ ჩვენი დაწესებულებებისა და ორ-  
განიზაციების ყველა ადგილთან, პირდაპირ განძი აღმოჩნდნენ უცხოეთის სა-  
ხელმწიფოთა მშვერავი ორგანოებისათვის.

ზოგიერთი ჩვენი პარტიული აშხანაგის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ  
მათ ვერ შეამჩნიეს, ვერ გაიგეს მთელი ეს განსხვავება ძველ და ახალ მავნებ-  
ლებს შორის, შახტელებსა და ტროცკისტებს შორის და, ვერ შეამჩნიეს რა ეს,  
ვერ შესძლეს დროზე გარდაქმნილიყვნენ, რომ ახლებურად გაეაღებინათ  
ზრძოლა ახალ მავნებლებთან.

IV.

**სამეშურნო წარმატებათა  
ჩრდილომანნი მხარეები**

ასეთია ძირითადი ფაქტები ჩვენი საერთაშორისო და საშინაო მდგომარეო-  
ბის სფეროდან, რომლებიც დაივიწყან ან რომლებიც ვერ შეამჩნია ბევრმა ჩვენმა  
პარტიულმა აშხანაგმა.

თი რატომ აღმოჩნდა სრულიად მოულოდნელი ჩვენი ადამიანებისათვის  
უქანსკენელი წლების ამბები მავნებლობისა და დივერსიების საქმეში.

შეიძლება გვეკითხონ: მაგრამ რატომ ვერ შეამჩნიეს ჩვენმა ადამიანებმა ყო-  
ველივე ეს, რატომ დაავიწყდათ მათ ყოველივე ეს?

საიდან გაჩნდა მთელი ეს გულმავიწყობა, სიბრძავე, უდარდელობა, უხ-  
რუნველობა?

ეს ორგანული მანკი ზომ არ არის ჩვენი ადამიანების მუშაობაში?  
არა, ეს არ არის ორგანული მანკი. ეს — დროებითი მოვლენაა, რომელიც  
შეიძლება სწრაფად იქნას ლიკვიდირებული, თუ ჩვენი ადამიანები ძალღონეს  
რამდენადმე დასემიანენ.

საქმე იმაშია, რომ ჩვენი პარტიული ამხანაგები უკანასკნელ წლებში მთლად ჩაღვლილი იყვნენ სამეურნეო მუშაობაში, ისინი უარესად გატაცებული იყვნენ სამეურნეო წარმატებებით და, გატაცებული იყვნენ რა მთელსაშუალო საქმით, — დღივწყეს სხვა ყველაფერი, თავი მიანებეს ყოველივე დანარჩენს.

საქმე იმაშია, რომ, გატაცებული იყვნენ რა სამეურნეო წარმატებებით, მათ ამ საქმეში იწყეს ყველაფრის დასაწყისისა და დასასრულის დანახვა, ხოლო ისეთ საქმეებს, როგორცაა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, კაპიტალისტური გარემოცვა, პარტიის პოლიტიკური მუშაობის დაძლიერება, ბრძოლა მკენებლობასთან და სხვ. — პირდაპირ აღარ აქცევდნენ ყურადღებას, ფიქრობდნენ რა, რომ ყველა ეს საკითხი წარმოადგენს მეორეხარისხოვან ან მესამეხარისხოვან საქმესაც კი.

წარმატებანი და მიღწევანი, რასაკვირველია, დიდი საქმეა. ჩვენი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის დარგში მართლაც უდიდესია. მაგრამ წარმატებებს, როგორც ყველაფერს ამ ქვეყანად, თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც აქვს. იმ ადამიანებში, რომლებიც ნაკლებად ნაცადნი არიან პოლიტიკაში, დიდი წარმატებანი და დიდი მიღწევანი არაიშვიათად ჰპაღებენ უღარდებობას, უზრუნველობას, თვითკმაყოფილებას, უსაზღვრო თვითრწმენას, თავასუსტობას, მეგობრობას. თქვენ არ შეგიძლიათ უარკყოთ, რომ უკანასკნელ დროს მკვეხბარები ჩვენში ისე მოძრაობდნენ, რომ ვერც ეც დასთვლით. ვასაკვირველი არ არის, რომ სოციალისტური მშენებლობის დარგში დიდ და სერიოზულ წარმატებათა ამ ვითარებაში იქმნებიან ბაქოების განწყობილებანი, ჩვენს წარმატებათა პარალელი მანიფესტაციების განწყობილებანი, იქმნებიან ჩვენი მტრების ძალთა შეფასებლობის განწყობილებანი, თავის ძალთა გადაფასების განწყობილებანი და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, — ჩნდება პოლიტიკური სიბრძავე.

შე აქ უნდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა წარმატებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე, მიღწევებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე.

სიძნელეებთან დაკავშირებულ საფრთხეებს ჩვენ გამოცდილებით ვიცნობთ. აი უკვე რამდენიმე წელიწადია ვაწარმოებთ ბრძოლას ასეთი სახის საფრთხეებთან და, უნდა ითქვას, არც თუ უნაყოფოდ. სიძნელეებთან დაკავშირებული საფრთხენი არამარტყე ადამიანებში ხშირად ჰპაღებენ სასოწარკვეცილობის, საკუთარი ძალებისადმი რწმენის უქონლობის განწყობილებებს, პესიმიზმის განწყობილებებს. და, პირიქით, იქ, სადაც საქმე ეხება იმას, რომ დაძლეულ იქნას სიძნელეებიდან გამომდინარე საფრთხენი, ადამიანები კავდებიან ამ ბრძოლაში და ბრძოლიდან გამოდიან ნამდვილად გასაოკლებელ ბოლშევიკებად. ასეთია სიძნელეებთან დაკავშირებულ საფრთხეთა ბუნება. ასეთია სიძნელეთა დაძლევის შედეგები.

მაგრამ არიან სხვაგვარი საფრთხენი, წარმატებებთან დაკავშირებული საფრთხენი, მიღწევებთან დაკავშირებული საფრთხენი. დიად, დიად, ამხანაგებო, წარმატებებთან, მიღწევებთან დაკავშირებული საფრთხენი. ეს საფრთხენი იმაში მდგომარეობენ, რომ იმ ადამიანებში, რომლებიც ნაკლებად ნაცადნი არიან პოლიტიკაში და რომელთაც ბევრი არაფერი უნახავთ, წარმატებათა ვითარება — წარმატება წარმატებაზე, მიღწევა მიღწევაზე, გეგმების ზედიზედ გადაჭარბებით შესრულება, — ჰპაღებს უღარდებობისა და თვითკმაყოფილების განწყობილებებს, ჰქმნის ზომიერების გრძნობის ჩამკვლევი და პოლიტიკური აღწერის დამზღუნებელი პარალელი ზეიმებისა და ურთიერთი მისალმებების ატმოსფეროს, აღუნებს ადამიანებს და მიაქნებს მათ იქითენ, რომ ვანცხრომას მიეცნენ.

ვასაკვირველი არაა, რომ თავასუსტობისა და თვითკმაყოფილების ამ განაბრუნებელ ატმოსფეროში, პარალელი მანიფესტაციებისა და მყვიარალა თავშეჭების ატმოსფეროში ადამიანები ივიწყებენ ზოგიერთ არსებობის ფაქტს, რომელთაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის ბედობლისათვის, ადამიანები ვეღარ ამჩნევენ ისეთ არასასიამოვნო ფაქტებს, როგორცაა კაპიტალისტური გარემოცვა, მკენებლობის ახალი ფორმები, ჩვენს წარმატებებთან დაკავშირებული საფრთხენი და ა. შ. კაპიტალისტური გარემოცვა? ეს ხომ არაფერია რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს რაღაც კაპიტალისტურ გარემოცვას, თუ ჩვენ მთლიანად და გადაჭარბებით ვასრულებთ ჩვენს სამეურნეო გეგმებს? მკენებლობის ახალი ფორმები, ტროცკიზმთან ბრძოლა? ყოველივე ეს უბრალო რაპაა! რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ყველა ამ წვრილმანს,

როცა ჩვენ მთლიანად და ვადაქრებებთ ვასრულებთ ჩვენი სამეურნეო გეგმებს? პარტიული წესდება, პარტორგანოების არჩენობა, პარტიულ ხელმძღვანელთა ანგარიშგება პარტიული მასის წინაშე? და განა ყოველივე ეს საჭიროა? განა ღირს საერთოდ ამ წვრილმანებზე თავის ტეხა, თუ ჩვენთან მეურნეობა იზრდება, ხოლო მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უმჯობესდება? ყოველივე ეს უბრალო რამაა გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებთ, ჩვენი პარტია კუდი არ არის, არც პარტიის ცენტრალური კომიტეტი კუდი, — კიდევ რაღა ჯანდაბა გვინდა? უცნაური ხალხი ზის ოქ მოსკოვში, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში: იგონებენ რაღაც საკითხებს, ლაპარაკობენ რაღაც მანებლობაზე, თვითონ არ სძინათ, სხეებსაც არ აძინებენ...

აი თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ ადვილად და „უბრალოდ“ ავადდება პოლიტიკური სიბეცით ზოგიერთი ჩვენი გამოუცდელი ამხანაგი სამეურნეო წარმატებებით თავბრუდამხვევი ვატაკების შედეგად.

ასეთია წარმატებებთან, მიღწევებთან დაკავშირებული საფრთხენი.

ასეთია მიზეზები იმისა, რომ ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა, სამეურნეო წარმატებებით ავტაცებულმა, დაივიწყეს საერთაშორისო და საშინაო ხასიათის ფაქტები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ საშუაო კავშირისათვის, და ვერ შეამჩნიეს მთელი რიგი საფრთხენი, რომლებითაც გარემოცულია ჩვენი ქვეყანა.

ასეთია ჩვენი უდარდლობის, გულმაღვიწყობის, უზრუნველობის, პოლიტიკური სიბრმავეის ფესვები.

ასეთია ჩვენი სამეურნეო და პარტიული მუშაობის ნაკლოვანებათა ფესვები.

## V.

### ჩვენი ამოცანები

როგორ მოვსაოთ ჩვენი მუშაობის ეს ნაკლოვანებანი?

რა უნდა გავაკეთოთ ამისათვის?

აუცილებელია განვახორციელოთ შემდეგი ღონისძიებანი.

1) უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია შემოვაბრუნოთ ყურადღება ჩვენი პარტიული ამხანაგებისა, რომლებიც ამათუბმ უწყებების ხაზით ეულობიან „მიმდინარე საკითხებში“, — საერთაშორისო და საშინაო ხასიათის დიდი პოლიტიკური საკითხებისაკენ.

2) აუცილებელია სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ ჩვენი პარტიის პოლიტიკური მუშაობა, ამასთან ქვაკუთხედად გავხადოთ პარტიული, საშუაო და სამეურნეო კადრების პოლიტიკური განათლებისა და ბოლშევიკური გამობრძმედის ამოცანა.

3) აუცილებელია ვუხსნიდეთ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს, რომ სამეურნეო წარმატებანი, რომელთა მნიშვნელობა უდაოდ ძალიან დიდია და რომელთა მიღწევასაც ჩვენ ვეცდებით მომავალშიაც, დღითი-დღე, წლითი-წლითი, — მაინც ვერ ამოსწურავენ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მთელ საქმეს.

ვუხსნიდეთ, რომ ჩრდილოვანი მხარეები, რომლებიც დაკავშირებული არიან სამეურნეო წარმატებებთან და რომლებიც გამოიხატებიან ნუთიკამაოფილურებაში, უდარდლობაში, პოლიტიკურ აღლის დაჩლუნგებაში, შეიძლება ლიკვიდირებულ იქნან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამეურნეო წარმატებანი შეთავსებული არიან პარტიული მშენებლობისა და ჩვენი პარტიის ვაშლილი პოლიტიკური მუშაობის წარმატებებთან.

ვუხსნიდეთ, რომ თვით სამეურნეო წარმატებანი, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია პარტიულ ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებებზე, რომ ამ პირობის გარეშე სამეურნეო წარმატებანი შეიძლება ქვიშაზე აგებული აღმოჩნდეს.

4) აუცილებელია გვახსოვდეს და არასოდეს არ ვივიწყებდეთ, რომ კაპიტალისტური გარემოცვა წარმოადგენს ძირითად ფაქტს, რომელიც განსაზღვრავს საშუაო კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას.

გვახსოვდეს და არასოდეს არ ვივიწყებდეთ, რომ სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, — იარსებებენ მანებლები, დივერსანტები, ჯაშუშები,

ტროცისტები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის ზურგზე გზავნიან უცხოეთის სახელმწიფოთა მხედველი ორგანოები, გვასოვდეს ეს და ვაწარმოოთ ბრძოლა იმ ამხანაგეთან, რომლებიც სათანადოდ ვერ აფასებენ კაპიტალისტური მოცილების ფაქტის მნიშვნელობას, რომლებიც ვერ აფასებენ მათგან გამომდინარე მნიშვნელობას.

ვეხსნიდეთ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს, რომ არავითარ სამეურნეო წარმატებებს, არაიგი დიდი უნდა იყვნენ ისინი, არ შეუძლიან გააბათილონ კაპიტალისტური ვარგისების ფაქტი და ამ ფაქტიდან გამომდინარე შედეგები.

მივიღოთ აუცილებელი ზომები იმისათვის, რომ ჩვენს ამხანაგებს, პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკებს, შესაძლებლობა ჰქონდეთ გაეცნონ უცხოეთის მხედველ ორგანოთა მანებლურ-დივერსიული და ჯაშუშური მუშაობის მიხედვით და ამოცანებს, პრაქტიკისა და ტექნიკის.

5) აუცილებელია განვუმარტოთ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს, რომ ტროცისტები, რომლებიც წარმოადგენენ უცხოეთის მხედველ ორგანოთა დივერსიულ-მანებლური და ჯაშუშური მუშაობის აქტიურ ელემენტებს, უკვე დიდი ხანია აღარ არიან პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში, რომ ისინი უკვე დიდი ხანია აღარ ემსახურებიან რაიმე იდეას, რომელიც შეიძლება შეთავსებულ იქნას მუშათა კლასის ინტერესებთან, რომ ისინი გადაიქცნენ მანებელთა, დივერსანტთა, ჯაშუშთა, მკვლელთა უბრინციბო და უდიდო ბანდად, რომლებიც მუშაობენ უცხოეთის მხედველ ორგანოთა დაქირავებით.

განვუმარტოთ, რომ თანამედროვე ტროცისტიზმთან ბრძოლაში ახლა საქირაო არა ძველი მეთოდები, არა დისკუსიის მეთოდები, არამედ ახალი მეთოდები, ძირაგვიანად ამოგდებისა და განადგურების მეთოდები.

6) აუცილებელია განვუმარტოთ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს განსხვავება ახლანდელ მანებლებსა და შახტის პერიოდის მანებლებს შორის, განვუმარტოთ, რომ თუ შახტის პერიოდის მანებლები ატყუებდნენ ჩვენს ადამიანებს ტექნიკაში, სარგებლობდნენ რა მათი ტექნიკური ჩამორჩენილობით, ახლანდელი მანებლები, რომლებსაც პარტიული ბილეთი გააჩნიათ, ატყუებენ ჩვენს ადამიანებს მათდამი, როგორც პარტიის წევრებისადმი, პოლიტიკური ნდობის წყალობით, სარგებლობენ რა ჩვენი ადამიანების პოლიტიკური უღარდლობით.

ძველ ლოზუნგს ტექნიკის დაუფლების შესახებ, რომელიც შახტის დროის პერიოდს შეესაბამებოდა, აუცილებელია დამატოს ახალი ლოზუნგი კადრების პოლიტიკური აღზრდის შესახებ, ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ და ჩვენი პოლიტიკური გულდანდობის ლიკვიდაციის შესახებ, ლოზუნგი, რომელიც სასესიო შეესაბამება ახლანდელ მიმდინარე პერიოდს.

შეუძლიან გვეკითხონ: ვანა არ შეიძლებოდა ათი წლის წინათ, შახტის დროის პერიოდში, ერთბაშად მიგვეცა ორივე ლოზუნგი, პირველი ლოზუნგიც ტექნიკის დაუფლების შესახებ, და მეორე ლოზუნგიც კადრების პოლიტიკურად აღზრდის შესახებ? არა, არ შეიძლებოდა. ჩვენს მოსაზრებებში პარტიაში საქმეები ასე არ კეთდება. რევოლუციური მოძრაობის მობრუნების მომენტებში ყოველთვის ვაყენებთ ერთ რომელიმე ძირითად ლოზუნგს, როგორც საკანონოს, რათა ხელი ჩავჭედოთ მას და მისი საშუალებით მთელი ჯაჭვი ამოვიწიოთ. ლენინი ჩვენ ასე გვასაუვლიდა: გამოიწიეთ ძირითადი რგოლი ჩვენი მუშაობის ჯაჭვში, ხელი ჩასჭიდეთ მას და ამოსწიეთ იგი, რათა მისი საშუალებით ამოსწიოთ მთელი ჯაჭვი და წინ გაემართოთ. რევოლუციური მოძრაობის ისტორია გვიჩვენებს, რომ ეს ტექტიკა ერთადერთი სწორი ტაქტიკაა. შახტის პერიოდში ჩვენი ადამიანების სისუსტე მათს ტექნიკურ ჩამორჩენილობაში მდგომარეობდა. არა პოლიტიკური, არამედ ტექნიკური საკითხები შეადგენდნენ მათს ჩვენთვის სუსტ ადგილს. რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკურ დამოკიდებულებას მაშინდელ მანებლებთან, იგი სასებით ნათელი იყო, როგორც ბოლშევიკების დამოკიდებულება პოლიტიკურად უცხო ადამიანებთან. ჩვენ მოვახსენებთ ამ ჩვენი ტექნიკური სისუსტის ლიკვიდაცია იმით, რომ წამოვაყენეთ ლოზუნგი ტექნიკის დაუფლების შესახებ და განვლილ პერიოდში ათეული და ასეული ათასობით ახალრდად ტექნიკურად გამოწრთობილი ბოლშევიკური კადრები. სხვა საქმეა ახლა, როდესაც ჩვენ უკვე გვყავს ტექნიკურად გამოწრთობილი ბოლშევიკური კადრები და როდესაც მანებელთა როლში გამოდიან არა აშკარად უცხო ადამიანები, რომელთაც ამასთანავე ჩვენს ადამიანებთან შედარებით არავითარი ტექნიკური უპირატესობანი არა აქვთ, არამედ ადამიანები, რომლებიც გააჩნიათ პარტიული ბილეთი და რომლებიც პარტიის წევრთა ყველა უფლებით სარგებლობენ. ახლა ჩვენი ადამიანების სისუსტეს შეადგენს არა ტექნიკური

ჩანორჩენილობა, არამედ პოლიტიკური უდარდელობა, ბრძა ნდობა ადამიანებისადმი, რომელთაც პარტიული ბილეთი შემთხვევით მიუღიათ, ის ვაგონს მოსება, რომ ადამიანთა შემოქმედება ხდება მათი პოლიტიკური დეკლარაციების მიხედვით და არა მათი მუშაობის შედეგების მიხედვით. ახლა საკენძო საპროცედურის ჩვენთვის წარმოადგენს არა ლიკვიდაცია ჩვენი კადრების ტექნიკური ჩანორჩენილობისა ვინაიდან იგი ძირითადად უკვე ლიკვიდირებულია, არამედ ლიკვიდაცია პოლიტიკური უდარდლობისა და პოლიტიკური გულდამდობისა მავნებლებისადმი, რომლებსაც შემთხვევით ჩაუვლიათ ხელში პარტიული ბილეთი.

ასეთია ძირეული განსხვავება შახტის დროის პერიოდში კადრებისათვის ბრძოლის საქმეში საკენძო საკითხსა და ახლანდელი პერიოდის საკენძო საკითხს შორის.

თი რატომ არ შეგვეძლო და არც უნდა წამოგვეყენებინა ათი წლის წინათ ერთბაშად ორივე ლოზუნგი, ლოზუნგიც ტექნიკის დაუფლების შესახებ და ლოზუნგიც კადრების პოლიტიკური აღზრდის შესახებ.

თი რატომ არის აუცილებელი, რომ ძველ ლოზუნგს ტექნიკის დაუფლების შესახებ ახლა დავუმატოთ ახალი ლოზუნგი ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ, კადრების პოლიტიკური აღზრდისა და ჩვენი პოლიტიკური უდარდლობის ლიკვიდაციის შესახებ.

7) აუცილებელია დავამსხვრიოთ. და უკუშავდით დამპალი თეორია იმის შესახებ, რომ ყოველ ჩვენს წინწაწევასთან ერთად კლასობრივი ბრძოლა ჩვენში თითქოს უფროდაუფრო უნდა ქრებოდეს, რომ ჩვენს წარმატებებთან ერთად კლასობრივი მტერი თითქოს უფროდაუფრო მოთინიერებული ხდებოდეს. ეს არა მარტო დამპალი თეორიაა, არამედ საშიში თაორიაც არის, ვინაიდან იგი აძინებს ჩვენს ადამიანებს, ხაფანგში აბამს მათ, კლასობრივ მტერს კი შესაძლებლობას აძლევს წელში გაიმართოს საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლველად.

პირიქით, რაც უფრო წინ წაიწევით, რაც უფრო მეტი წარმატებანი გვექნება, მით უფრო გაზორტდებიან განადგურებული ექსპლუატატორული კლასების ნაშთები, მით უფრო მალე წაივლენ ისინი ბრძოლის უფრო მწვავე ფორმებზე. მით უფრო ავნივან ისინი საბჭოთა სახელმწიფოს, მით უფრო ჩასქიბდებიან ხელს ბრძოლის ყველაზე უფრო გააფთრებულ საშუალებებს, როგორც განწირულთა უკანასკნელ საშუალებებს.

შედეგობაში უნდა ვიქონიოთ, რომ განადგურებული კლასების ნაშთები სსრ კავშირში მარტონი არ არიან. მით პირდაპირ დახმარებას უწყევნ ჩვენი მტრები სსრ კავშირის ფარგლებს იქით. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კლასობრივი ბრძოლის სფერო განსაზღვრულია სსრ კავშირის ფარგლებით. თუ კლასობრივი ბრძოლის ერთი ბოლო მოქმედებს სსრ კავშირის ფარგლებში, მეორე მისი ბოლო გაქმულია ჩვენს გარემომცველ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ფარგლებში. ეს არ შეუძლიანთ არ იცოდნენ განადგურებული კლასების ნაშთებმა. და სწორედ იმიტომ, რომ მათ ეს იციან, მომავალშიაც განაგრძობენ თანთან გააფთრებულ გამოლაშქრებებს.

ასე გვასწავლის ჩვენ ისტორია. ასე გვასწავლის ჩვენ ლენინიზმი. აუცილებელია ყველაფერი ეს გვასხივდეს და ფხიზლად ვიყოთ.

8) აუცილებელია დავამსხვრიოთ და უკუშავდით მეორე დამპალი თეორია, რომელიც ამბობს, თითქოს მავნებელი არ შეიძლება იყოს ის, ვინც ყოველთვის არ მავნებლობს და ვინც თუნდაც ხანდახან გვიჩვენებს წარმატებებს თავის მუშაობაში.

ეს უნაშური თეორია ამხელს მის ავტორთა გულუბრყვილობას. არცერთი მავნებელი ყოველთვის არ გასწევს მავნებლობას, თუ მას არ სურს გამოაშკარავებულ იქნას ფრიად მოკლე ვადაში. პირიქით, ნამდვილმა მავნებელმა დროადად უნდა გვიჩვენოს წარმატებანი თავის მუშაობაში, ვინაიდან ეს ერთადერთი საშუალებაა, რომ თავი შეინახოს, როგორც მავნებელმა, ნდობა მოიხვეწოს და განაგრძოს თავისი მავნებლური მუშაობა.

რატომ, რომ ეს საკითხი ნათელია და შემდგომს განმარტებებს არ საჭიროებს.

9) აუცილებელია დავამსხვრიოთ და უკუშავდით მესამე დამპალი თეორია, რომელიც ამბობს, რომ სამეურნეო გეგმების სასტიმატორი შესრულება თითქოს არარად აქცევს მავნებლობას და მავნებლობის შედეგებს.



ჩვენს მუშაოთა საუწყებო თავმოყვარობას, დაამშვიდოს ისინი და შესუსტოს მათი ბრძოლა მავნებლობასთან.

რას ნიშნავს — ჩვენი სამეურნეო გეგმების სისტემატური შესრულება? ჯერ ერთი, დამტიკებულია, რომ ყველა ჩვენი სამეურნეო გეგმა დასატარებელია, ვინაიდან ისინი არ ითვალისწინებენ იმ უღიდავ რეზერვებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც ჩვენი სახალხო მეურნეობის წიაღში იმალება.

მეორე, სახალხო კომისარიატების ხაზით მთლიანად სამეურნეო გეგმების ჯამობრივი შესრულება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ზოგიერთ ფრიალ მნიშვნელოვან დარგშიც ასევე სრულდებოდეს გეგმები. პირაქით, ფაქტები გვეუბნებიან, რომ მთელი რაგი სახალხო კომისარიატები, რომელთაც მთლიანად და გადაჭარბებითაც კი შესარულეს წლიური სამეურნეო გეგმები, სისტემატურად არ ასრულებენ გეგმებს სახალხო მეურნეობის ზოგიერთ ფრიალ მნიშვნელოვან დარგში.

მესამე, არ შეიძლება ექვი შეგვეპაროს იმაში, რომ მავნებლები მხილებულნი და გაძევებულნი რომ არ ყოფილიყვნენ, სამეურნეო გეგმების შესრულების მხრივ საქმე ბევრად უფრო უარესად იქნებოდა, რაც უნდა დაიხსომონ განხილული თეორიის ბეჭედი ავტორებმა.

მეოთხე, მავნებლები ჩვეულებრივ თავის მთავარ მავნებლურ მუშაობას უფარდებენ არა მშვიდობიანი დროის პერიოდს, არამედ ომის წინახანის ან თვით ომის პერიოდს. ვთქვათ, ჩვენ დავეწყუო თავის დამშვიდება დამპალი თეორიის „სამეურნეო გეგმების სისტემატური შესრულების“ შესახებ და ხელი არ გვეხლო მავნებლებისათვის. წარმოდგენილი აქვთ თუ არა ამ დამპალი თეორიის ავტორებს, თუ რა კოლოსალურ ზიანს მიაყენებდნენ მავნებლები ჩვენს სახელმწიფოს ომის შემთხვევაში, მათთვის რომ საშუალება მიეცეცა დარჩენილიყვნენ ჩვენი სახალხო მეურნეობის წიაღში „სამეურნეო გეგმების სისტემატური შესრულების“ შესახებ დამპალი თეორიის საფარველ ქვეშ?

განა ცხადი არ არის, რომ თეორია „სამეურნეო გეგმების სისტემატური შესრულების“ შესახებ არის მავნებლებისათვის ხელსაყრელი თეორია?

10) აუცილებელია დავამსგვროთ და უკუუვადლოთ მეოთხე დამპალი თეორია, რომელიც ამბობს, რომ სტახანოვეური მოძრაობა თითქოს წარმოადგენს მავნებლობის ლიკვიდაციის ძირითად საშუალებას.

ეს თეორია გამოგონილია იმისათვის, რომ სტახანოველებზე და სტახანოვეურ მოძრაობაზე ლაყბობის ხმაურში დარტყმა ააშროონ მავნებლებს.

ამ. მილოტოვმა თავის მოხსენებაში დაასახელა მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც გვეუბნებიან, რომ ტროცკისტი და არატროცკისტი მავნებლები კუზბასსა და დონბასში, ბოროტად იყენებდნენ რა ჩვენი პოლიტკურად უღაღღელი ამხანაგების ნდობას, სისტემატურად ატყუებდნენ სტახანოველებს, ბორბლებში ვოხებს უყრიდნენ მათ, ხელოვნურად უქმნიდნენ მთელ რიგ დაბრკოლებებს მათს წარმატების მუშაობას და, ბოლოს, მიღწეის იმას, რომ შემალეს მათი მუშაობა. რა შეუძლიანთ მართო სტახანოველებს, თუ კაპიტალური მშენებლობის მავნებლურ გაძლოას. ვთქვათ, დონბასში, მოჰკევა ვაითიშეა ქვანახშირის ამოღების მოსამზადებელ საშუალებას, რომელიც ტკმების ჩამორჩებიან, და ყველა სხვა სამუშაოს შორის? განა ცხადი არ არის, რომ თვითონ სტახანოვეური მოძრაობა საქიროებს ჩვენი მხრივ რეალურ დახმარებას მიენებლების ყველა და ყოველგვარი მაქინაციის წინააღმდეგ, რათა წინ წასწიოს საქმე და შესარულოს თავისი დიდი მისია? განა ცხადი არ არის, რომ ბრძოლა მავნებლობასთან, ბრძოლა მავნებლობის ლიკვიდაციისათვის, მავნებლობის აღაგმვა წარმოადგენს აუცილებელ პირობას, რათა სტახანოვეურმა მოძრაობამ შესძლოს მთელი სიგრძე-სიგანით გაშლა?

მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხიც ნათელია და შემდგომს განმარტებებს არ საქიროებს.

11) აუცილებელია დავამსგვროთ და უკუუვადლოთ მეხუთე დამპალი თეორია, რომელიც ამბობს იმას, რომ ტროცკისტულ მავნებლებს თითქოს უკვე აღარა ჰყავთ რეზერვები, რომ ისინი თითქოს აგროვებენ თავინთ უკანასკნელ კადრებს.

ეს არ არის მართალი, ამხანაგებო. ასეთი თეორიის გამოგონება მხოლოდ გულუბრყვილო დამიანებს შეეძლოთ. ტროცკისტ მავნებლებს ჰყავთ თავიანთი რეზერვები, ისინი ოწინარის ყოფილსა მისიობიან სსრ კავშირში გადღ-



ქოთა კავშირისადმი მტრული მთელი რბივ ჯგუფებისა და ორგანიზაციებისა-  
გან სსრ კავშირის ფარგლებს იქით.

ავილოთ, მაგალითად, ტროცკისტული კონტრრევოლუციური IV ინტერნა-  
ციონალი, რომლის ორ მესამედს ჯაშუშები და დივერსანტები შეადგენენ. რიგგარეშე  
თი არ არის ეს რეზერვი? განა ცხადი არ არის, რომ ეს ჯაშუშური ინტერ-  
ნაციონალი გამოჰყოფს კადრებს ტროცკისტთა ჯაშუშურ-მანებლურ მუშაო-  
ბისათვის?

ანდა კიდევ, ავილოთ, მაგალითად, ნორვეგიაში გაიძვერა შეფლოს ჯგუფი,  
რომელმაც თავშესაფარი მისცა ობერ-ჯაშუშ ტროცკის და რომელიც ესმარე-  
ზოდა მას საბჭოთა კავშირისათვის ზიანის მიყენებაში. რითი არ არის ეს ჯგუფი  
რეზერვი? ვის შეუძლიან უარყოფს, რომ ეს კონტრრევოლუციური ჯგუფი მო-  
მავალშიც არ გაუწევს სამსახურს ტროცკისტ ჯაშუშებსა და მანებლებს?

ანდა კიდევ, ავილოთ, მაგალითად, ისეთივე გაიძვერის, როგორც შეფლოა,  
მეორე ჯგუფი, სუვარინის ჯგუფი საფრანგეთში. რითი არ არის იგი რეზერვი?  
განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ გაიძვერათა ეს ჯგუფიც დახმარებას გაუ-  
წევს ტროცკისტებს მათს ჯაშუშურ-მანებლურ მუშაობაში საბჭოთა კავში-  
რის წინააღმდეგ?

ხოლო ყველა ეს ვაებატონები გერმანიიდან, ყოველგვარი რუტ ფიშერება,  
მასლოვები, ურბანსები, რომლებმაც სული და სხეული თაშისტებს მიჰყიდეს, —  
რითი არ არიან ისინი რეზერვი ტროცკისტული ჯაშუშურ-მანებლური მუშა-  
ობისათვის?

ანდა, მაგალითად, ამერიკელ მწერალთა ცნობილი ურდო ცნობალი ჟუ-  
ლიკის ისტმენის მეთაურობით, კალოის ყველა ეს ავაზაკნი, რომლებაც სწო-  
რად იმით ცხოვრობენ, რომ ცილს სწამებენ სსრ კავშირის მუშაო კლასს, —  
რითი არ არიან ისინი რეზერვი ტროცკიზმისათვის?

არა, უნდა უკუევაგდოთ დამპალი თეორია იმის შესახებ, რომ ტროცკისტები  
თითქოს აგროვებენ უკანასკნელ კადრებს.

12) ბოლოს, აუცილებელია დაეამსხვროთ და უკუევაგდოთ კიდევ ერთი  
დამპალი თეორია, რომელიც ამბობს იმას, რომ ვინაიდან ჩვენ, ბოლშევიკები,  
ბევრნი ვართ, ხოლო მანებლები ცოტანი არიან. ვინაიდან ჩვენ, ბოლშევიკებს,  
მხარს გვიჭერენ ათეული მილიონობით ადამიანები, ტროცკისტ მანებლებს კი  
მხოლოდ ერთეულები და ათეულები, ჩვენ, ბოლშევიკებს, შეგვიძლო არც კი  
ძიგვექცია ყურადღება რაღაც ერთი მუჟა მანებლებისათვის.

ეს არ არის სწორი, ამხანაგებო. ეს უცნაურზე უცნაური თეორია გამო-  
ვინლია იმისათვის, რომ ანუგეშოს ზოგიერთი ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგი,  
რომლებმაც მარცხი განიცადეს მუშაობაში მანებლობასთან ბრძოლის უნარის  
უქონლობის გამო, და მიაძინოს მათი სიხიზნე, მისცეს მათ საშუალება დამ-  
შვიდებით იძინონ.

ტროცკისტ მანებლებს რომ მხარს უჭერენ ერთეულები, ხოლო ბოლშე-  
ვიკებს ათეული მილიონობით ადამიანები — ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგ-  
რამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარობს, რომ მანებლებს არ შეუძლიათ  
უარესად სერიოზული ზიანი მიაყენონ ჩვენს საქმეს. საქმი რომ გაგვიფე-  
კონ და ზიანი მოგვაყენონ, ამისათვის სრულიადაც არ არის საჭირო ადამიანთა  
დიდი რაოდენობა. დნებრომშენის ასაშენებლად საჭიროა ათეული ათასობით  
მუშების გამოყენება. ხოლო იგი რომ აფეთქო, ამისათვის შეიძლება საჭირო  
იყოს რამდენიმე ათეული კაცი, მეტი არა. იმის დროს რომ ბრძოლა მოიგო,  
ამისათვის შეიძლება საჭირო იყოს წითელარმიელთა რამდენიმე კორპუსი. ხო-  
ლო ეს მოგება რომ ჩაშალო ფრონტზე, ამისათვის საკმარისია რამდენიმე ჯა-  
შუში მადე არამის შტაბში ან თუნდაც დივიზიის შტაბში, რომელთაც შეუ-  
ძლიანთ მოიპარონ ოპერატიული გეგმა და გადასცენ იგი მოწინააღმდეგეს.  
რკინიგზის დიდი ხიდი რომ ავაო, ამისათვის საჭიროა ათასობით ადამიანი.  
მაგრამ იგი რომ ააფეთქო, ამისათვის საკმარისია სულ რამდენიმე კაცი. ასეთი  
მაგალითები შეიძლება მოგვეყვანა ათობით და ასობით.

მამასადამე, არ შეიძლება თავი ვინუგეშოთ იმით, რომ ჩვენ ბევრნი ვართ.  
ხოლო ისინი, ტროცკისტი მანებლები, ცოტანი.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ისინი, ტროცკისტი მანებლები, სრულიად  
არ იყვნენ ჩვენს რიგებში.

ასეთია საქმის ვითარება იმ საკითხის თაობაზე, თუ როგორ მოეპოვა ჩვენი  
მუშაობის ნაკლოვანებანი, რომლებიც საერთოა ყველა ჩვენი, როგორც სამეურ-



ასეთია ლონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ მოვლას  
პოთ ეს ნაკლოვანებანი.

რაც შეეხება სპეციალურად პარტიულ ორგანიზაციებს და ნაკლოვანე-  
ბებს მათს მუშაობაში, ამ ნაკლოვანებთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე საკ-  
მაოდ დაწვრილებითაა ლაპარაკი რეზოლუციის იმ პარაგრაფში, რომელიც თქვენს  
განსახილველად იქნება წარმოდგენილი. ამიტომ მე ვეჭვობ, რომ არ არის  
საჭირო ბევრი ვილაპარაკოთ აქ საქმის ამ მხარეზე.

მინდოდა მხოლოდ რამდენიმე სიტყვა მეთქვა ჩვენი პარტიული კადრების  
პოლიტიკური მომზადებისა და გაუცხოების საკითხზე.

მე ვეჭვობ, ჩვენ რომ შევძლებდეთ, ჩვენ რომ მოვახერხებდეთ ჩვენი პარ-  
ტიული კადრები, თავიდან ბოლომდე, იდეოლოგიურად მოვამზადოთ და იმეა-  
რად გამოვაწრთოთ ისინი პოლიტიკურად, რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად  
გარკვევა სწინაო და საერთაშორისო ვითარებაში, ჩვენ რომ შევძლებდეთ გავ-  
ხადოთ ისინი სასვებით მომწიფებულ ლენინელებად. მარქსისტებად, რომელთაც  
ექნებათ უნარი გადასჭრან სერიოზული შეცდომების დაუშვებლად ქვეყნის  
ხელმძღვანელობის საკითხები, ჩვენ ამით გადავჭრიდით ყველა ჩვენი ამოცანის  
ცხრა მეათედს.

როგორ არის ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობის საქმე?

ჩვენი პარტიის შემადგენლობაში, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ხელ-  
მძღვანელ ფენებს, არის 3 — 4 ათასამდე უმაღლესი ხელმძღვანელი. ეს არის,  
მე ვიტყვდი, ჩვენი პარტიის გენერალიტეტი.

შემდეგ მიდის 30 — 40 ათასი საშუალო ხელმძღვანელი. ეს არის ჩვენი პარ-  
ტიული ოფიცრობა.

შემდეგ მიდის დაბალ პარტიულ მეთაურთა შემადგენლობის 100 — 150  
ათასი კაცი. ეს არის, ასე ვთქვათ, ჩვენი პარტიული უნტეროფიცრობა.

ავამჯობლო მეთაურთა ამ კადრების იდეოლოგიური დონე და პოლიტიკე-  
რი გამოწრთობა, შემგზავთ ამ კადრებს ახალი ძალები, რომელნიც ელიან თა-  
ვის დაწინაურებას, და ამგვარად გავაფართოოთ ხელმძღვანელთა კადრების შე-  
მადგენლობა, — აი ამოცანა.

რა არის საჭირო ამისათვის?

უწინარეს ყოვლისა აუცილებელია წინადადება მივცეთ ჩვენს პარტიულ  
ხელმძღვანელებს, დაწესებული უჯრედების მდივნებით და გათავებული საოლქო  
და რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციების მდივნებით, შეირჩიონ გან-  
სახვრული პერიოდის განმავლობაში ორ-ორი კაცი, ორ-ორი პარტიული მუ-  
შაკი, რომლებიც შესძლებენ იყონ მათი ნამდვილი მოადგილეები. შეიძლება  
საქვან: სად მოეხსობთ ისინი, ორი მოადგილე თვითეულისათვის, ჩვენ არ გვეყვან  
სად ასეთი ადამიანები, არ გვეყვანან სათანადო მუშაკებო. ეს არ არის სწორი,  
ამხანაგებო. უნარიათ ადამიანები, ნიჭიერი ადამიანები ჩვენ ათეული ათასობით  
გვეყვანან. ოღონდ საჭიროა იცნობდე მათ და დროულად აწინაურებდე, რათა  
მათ ძველ ადგილზე ხავსი არ მოეკიდოთ და ლბობა არ იწყონ. ეძიებდეთ და  
პოუვებდეთ.

შემდეგ უჯრედთა მდივნების პარტიული სწავლებისა და გადამზადებისა-  
თვის აუცილებელია შევქმნათ თვითეულ საოლქო ცენტრში ოთხთვიანი „პარ-  
ტიული კურსები“. ამ კურსებზე უნდა გაიზაწონოთ ყველა პირველადი პარტიუ-  
ლი ორგანიზაციის (უჯრედების) მდივნები, მერე კი, მათ მიერ კურსების გაე-  
ლისა და ადგილზე დაბრუნების შემდეგ, — მათი მოადგილენი და პირველადი  
პარტორგანიზაციების ყველაზე ნიჭიერი წევრები.

შემდეგ, რაიონულ ორგანიზაციათა პირველი მდივნების პოლიტიკური გა-  
დამზადებისათვის აუცილებელია შევქმნათ სსრ კავშირში, ვთქვათ, 10 ყველა-  
ზე მნიშვნელოვან ცენტრში, რვათვიანი „ლენინური კურსები“. ამ კურსებზე  
უნდა გაიზაწონოთ რაიონულ და საოკრუგო პარტიულ ორგანიზაციათა პირველი  
მდივნები, მერე კი, მათ მიერ კურსების გაელისა და ადგილზე დაბრუნების შემ-  
დეგ, — მათი მოადგილენი და რაიონულ და საოკრუგო ორგანიზაციათა ყველა-  
ზე ნიჭიერი წევრები.

შემდეგ, საქალაქო ორგანიზაციათა მდივნების იდეოლოგიური გადამზადე-  
ბისა და პოლიტიკური სრულყოფისათვის აუცილებელია შევქმნათ საკ. კ. პ. (ბ)  
ც. ჟ-თან ექვსთვიანი „პარტიის ისტორიისა და პოლიტიკის კურსები“. ამ კურ-



სებზე უნდა გაიგზავნონ საქალაქო ორგანიზაციათა პირველი ან მეორე მდივანები, მერე კი, მათ მიერ კურსების გავლისა და ადგილზე დაბრუნების შემდეგ; — საქალაქო ორგანიზაციათა ყველაზე ნიჭიერი წევრები.

ბოლოს, აუცილებელია შეექმნათ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ექვსთვიანი „ოათიზიო საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე“. აქ უნდა გაიგზავნონ საოლქო და სამხარეო ორგანიზაციებისა და ნაციონალური კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივანები. ამ ამხანაგებმა უნდა მოგვეცნენ არა ერთი, არამედ რამდენიმე ცვლა, რომლებიც შესძლებენ შესცვალონ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელები. ეს აუცილებელია და ეს უნდა გაკეთდეს.

**მე ვამთავრებ, ახანაგებო!**

ამრიგად ჩვენ აღენიშნეთ ჩვენი მუშაობის ძირითადი ნაკლოვანებანი, როგორც ისინი, რომლებიც საერთოა ყველა ჩვენი ორგანიზაციისათვის, სამეურნეო, ადმინისტრატიული, პარტიული ორგანიზაციისათვის, ისე ისინიც, რომლებიც ახასიათებენ მხოლოდ სპეციალურად პარტიულ ორგანიზაციებს, ნაკლოვანებანი, რომელთაც იყენებენ მუშათა კლასის მტრები თავისი დივერსიულ-მაგენბლური და ჯაშუშურ-ტერორისტული მუშაობისათვის.

შმიდეკ, ჩვენ ოაისახით ძირითადი ღონისძიებანი, რომელნიც აუცილებელია იმისათვის, რომ მოვსპოთ ეს ნაკლოვანებანი და უვნებელვყოთ უკუბოიის მხვერავი ორგანოების ტროცკისტ-ფაშისტ გაენტთა დივერსიულ-მაგენბლური და ჯაშუშურ-ტერორისტული გამოლაშქრებანი.

იბადება კითხვა, შეგვიძლიან თუ არა განვახორციელოთ ყველა ეს ღონისძიება, გვაქვს თუ არა ამისათვის ყველა აუცილებელი შესაძლებლობა?

უთუოდ, შეგვიძლიან. შეგვიძლიან, რადგან ჩვენს განკარგულებაში გვაქვს ყველა საშუალება, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ განვახორციელოთ ეს ღონისძიებანი.

**რალა გვაკვია ჩვენ?**

გვაკვია მხოლოდ ერთი რამ: მზადყოფნა მოვსპოთ ჩვენი საკუთარი უღადრდელობა, ჩვენი საკუთარი უზრუნველობა, ჩვენი საკუთარი პოლიტიკური სიბეცე.

**ამაშია დაბრკოლება.**

მაგრამ ნუთუ ჩვენ ვერ შევძლებთ ბოლო მოვედოთ ამ სასაცილო და იდიოტურ ავადმყოფობას, ჩვენ, რომლებმაც დაეახმეთ კაპიტალიზმი, ავაშინეთ ძირითადად სოციალიზმი და აღემართეთ მსოფლიო კომუნისზმის დიადი დროშა?

ჩვენ საფუძვლი არა გვაქვს ეჭვი შევიტანით იმაში, რომ უსათუოდ ბოლოს მოვეუღებთ მას, თუ, რა თქმა უნდა, ამას მოვიწადინებთ. ბოლოს მოვეუღებთ არა უზარლოდ, არამედ ბოლშევიკურად, როგორც წესი და რიგია.

და როდესაც ჩვენ ბოლოს მოვეუღებთ ამ იდიოტურ ავადმყოფობას, ჩვენ შევძლებთ სრული რწმენით ვთქვათ, რომ ჩვენთვის საშიში არ არიან არავითარი მტრები, არც შინაორნი. არც გარეშინი. ჩვენთვის საშიში არ არის მათი გამოლაშქრებანი, ვინაიდან ჩვენ მათ მომავალში ისევე დავაზარცხებთ, როგორც ვამარცხებთ მათ აწმყოში, როგორც ვამარცხებდით მათ წარსულში. (ტაში).

**ამხანაგ სტალინის საბოლოო სიტყვა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმში 1927 წლის 5 მარტს**

**ამხანაგებო!**

მე ჩემს მოსხენებაში ვლაპარაკობდი განსახილველი საქმის ძირითად საკითხებზე. კამათმა გვიჩვენა, რომ ჩვენ ახლა გვაქვს სრული სიცხადე, გვაქვს ამოცანების გაგება და არის მზადყოფნა მოვსპოთ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი, მაგრამ კამათმა გვიჩვენა აგრეთვე, რომ არის ჩვენი ორგანიზაციულ-პოლიტიკური პრაქტიკის ზოგიერთი კონკრეტული საკითხი, რომელთა საცესებში ნათელი გაგება ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს. ასეთი საკითხები მე დავითვალე შეიდი.

ნება მიბოძეთ ვთქვა რამდენიმე სიტყვა ამ საკითხებზე.

1) უნდა ვიფიქროთ, ახლა ყველამ ვაიგო, შეიგნო, რომ სამეურნეო კამპანიებითა და სამეურნეო წარმატებებით უზომოდ გატაცებმა პარტიულ-პოლიტიკური საკითხების შეუფასებლობისა და დავიწყებისას — ჩიხისკენ მივე-

2014

ვართ. მაშასადამე, აუცილებელია მუშაკების ყურადღება მოვაბრუნოთ პარტიულ-პოლიტიკური საკითხებისაკენ, რათა სამეურნეო წარმატებანი შევამტკიცებოდნენ და მიდიოდნენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებების გვერდით.

როგორ განვხორციელოთ პრაქტიკულად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების ამოცანა, სამეურნეო წვრილმანებისაგან პარტიული ორგანიზაციების განთავისუფლების ამოცანა? როგორც კამათიდან სწნს, ზოგიერთი ამხანაგი მზად არის გამოიყვანოს აქედან უმართებულო დასკვნა იმის შესახებ, რომ ახლა ვითომ მოგვიხდება სრულიად ჩამოვშორდეთ სამეურნეო მუშაობას. ყოველ შემთხვევაში იყო ხმები: ახლა კი, მაღლობა ღმერთს, განთავისუფლებით სამეურნეო საქმიანობისაგან, ახლა შესაძლებელია პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობასაც მოვიკიდოთ ხელი. სწორია თუ არა ეს დასკვნა? არა, არ არის სწორი. როდესაც ჩვენი პარტიული ამხანაგები, სამეურნეო წარმატებებით გატაცებულნი, შორდებოდნენ პოლიტიკას, ეს იყო უკიდურესობა, რომელიც ჩვენ დიდ მსხვერპლად დაგვიჯდა. თუ ახლა ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი, ხელს მოჰკიდებს რა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას, განიზიანებს ჩამოვშორდეს უკიდურესობას, მაშინ ეს იქნება მეორე უკიდურესობა, რომელიც ჩვენ არა ნაკლებ მსხვერპლად დაგვიჯდება. არ შეიძლება ერთი უკიდურესობიდან მეორის აწვდობილი. არ შეიძლება პოლიტიკის გამოყოფა მეურნეობისაგან. ჩვენ არ შეგვიძლიან ჩამოვშორდეთ მეურნეობას ისევე, როგორც არ შეგვიძლიან ჩამოვშორდეთ პოლიტიკას. შესწავლის ვასაადვილებლად ადამიანები ჩვეულებრივ მეურნეობის საკითხებს მეთოდოლოგიურად გამოჰყოფენ ხოლმე პოლიტიკის საკითხებისაგან. მაგრამ ეს ხდება მხოლოდ მეთოდოლოგიურად, ხელოვნურად. მხოლოდ შესწავლის ვასაადვილებლად. ცხოვრებაში, პირაქით, პრაქტიკულად პოლიტიკა და მეურნეობა განუყოფელი არიან. ისინი არსებობენ ერთად და მოქმედებენ ერთად. და ის, ვინც ფიქრობს ჩვენს პრაქტიკულ პოლიტიკაში ჩამოაშოროს მეურნეობა პოლიტიკას, გააძლიეროს სამეურნეო მუშაობა პოლიტიკური მუშაობის დამცირების ფასად ან, პირაქით, გააძლიეროს პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო მუშაობის დამცირების ფასად, — იგი აუცილებლად ჩიხში ექცევა.

სამეურნეო წვრილმანებისაგან პარტიული ორგანიზაციების განთავისუფლებასა და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების შესახებ რეზოლუციის პროექტის ცნობილი პუნქტის აზრი მდგომარეობს არა იმაში, რომ ჩამოვშორდეთ სამეურნეო მუშაობას და სამეურნეო ხელმძღვანელობას, არამედ მხოლოდ იმაში, რომ მეტად აღარ დავეშვათ სამეურნეო ორგანოების, მათ შორის და განსაკუთრებით სამიწათმოქმედლო ორგანოების, შეცვლისა და გაუტვირთვების პრაქტიკა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მიერ. მაშასადამე, აუცილებელია შევითვისოთ სამეურნეო ორგანოებისადმი ბოლოშევიკური ხელმძღვანელობის მეთოდი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სისტემატურად დაეცხმართ ამ ორგანოებს, სისტემატურად განვამტკიცოთ ისინი და ვუხეზოთ მათი განვითარებისათვის არა ამ ორგანოების გვერდის ავლით, არამედ მათი საშუალებით. საჭიროა მივცეთ სამეურნეო ორგანოებს და უწინარეს ყოვლისა სამიწათმოქმედლო ორგანოებს საუკეთესო ადამიანები, საჭიროა შევავსოთ ეს ორგანოები ახალი საუკეთესო მუშაკებით, რომლებსაც უნარი შესწევთ შესარტყლონ მათზე დაკარგებული ამოცანები. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს მუშაობა შესრულდება, შეიძლება იმის იმედი ვიქონიოთ, რომ პარტიული ორგანიზაციები სასესიო განთავისუფლებული იქნებიან სამეურნეო წვრილმანებისაგან. ვასაგებია, რომ ეს საქმე სერიოზულია და ერთგვარ დროს მოითხოვს. მაგრამ სწამს ეს არ გაეკეთებულა, პარტიულ ორგანიზაციებს კვლავაც დასჭირდებათ, განსაზღვრული მოკლე ვადის მანძილზე, პირისპირ მუშაობდნენ სასოფლო-სამეურნეო საქმეებზე მთელი მათი წვრილმანებით, ხნით, თესვით, მოსავლის აღებით და სხვ.

2) ორი სიტყვა მაგნებლებზე, დივერსანტებზე, ჯაშუშებზე და სხვ. მე ვფიქრობ, ახლა ყველასათვის ნათელია, რომ ახლანდელი მაგნებლები და დივერსანტები, რა ბიარლითაც უნდა ინიღბებოდნენ ისინი, ტროცკისტულია თუ ბუხარინული, უკვე დიდი ხანია აღარ არიან პოლიტიკური მიმდინარეობა მუშაობა მოძრაობაში, რომ ისინი გადაიქცნენ პროფესიულ მაგნებელით, დივერსანტთა, ჯაშუშთა, მკვლელთა უბრინციო და უიდეო ბანდად. ვასაგებია, რომ მოგვიხდება ამ ეკატატონების უღმობელოდ განადგურება და ამოფხვრა, რო-

გორც მუშათა კლასის მტრებისა, როგორც ჩვენს სამშობლოს მოლატეებისა. ეს ნათელია და შემდგომ განმარტებებს არ საჭიროებს.

მაგრამ აი ხაიკობი: როგორ განვახორციელოთ პრაქტიკულად ტროცკის იაბონელ-გერმანელი აგენტების განადგურებისა და აღმოფხვრის ამოცანა? ნაშრომის ნაეს თუ არა ეს იმას, რომ უნდა დავცხოთ და აღმოფხვრათ არა მარტო ნამდვილი ტროცკისტები, არამედ ისინიც, რომლებიც ოდესღაც მერყეობდნენ ტროცკიზმისაკენ, შემდეგ კი უკვე დიდიხანია, მოშორდნენ ტროცკიზმს, არა მარტო ისინი, რომლებიც ნამდვილად არიან მანენგლობის ტროცკისტული აგენტები, არამედ ისინიც, რომლებსაც ოდესღაც ჰქონიათ შემთხვევა გველით იმ ქუჩაზე, რომელზედაც ოდესმე ამითომ ტროცკისტს გაუვლია? ყოველ შემთხვევაში ასეთი ხმები გაისმოდა აქ პლენუმზე. შეიძლება თუ არა სწორად ჩაითვალოს რეზოლუციის ასეთი გაგება? არა, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. ამ საკითხში, ისე როგორც ყველა სხვა საკითხში, აუცილებელია ინდივიდუალური, დიფერენცირებული მიდგომა. არ შეიძლება ყველას ერთნაირად გაკრევა. ასეთ ხელშეწყობის მიდგომას შეუძლიან მხოლოდ აენოს ნამდვილ ტროცკისტ მანენგლობებთან და ჯამუშებთან ბრძოლის საქმეს.

ჩვენს პასუხისმგებელ ამხანაგებს შორის არის ყოფილი ტროცკისტების განსაზღვრული რაოდენობა, რომლებიც უკვე დიდიხანია ჩამოშორდნენ ტროცკიზმს და ტროცკიზმთან ბრძოლას აწარმოებენ არა უფრო ცუდად, არამედ უკეთესად, ვიდრე ზოგიერთი ჩვენი პატრეცეპული ამხანაგი, რომელთაც არ ჰქონიათ შემთხვევა გამოეჩინათ მერყეობა ტროცკიზმისაკენ. სისულელე იქნებოდა ახლა ჩირქი მოგვეცხო ასეთი ამხანაგებისათვის.

ჩვენს ამხანაგებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც იდეოლოგიურად მუდამ ტროცკიზმის წინააღმდეგ იდგნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცალკეულ ტროცკისტებთან ჰქონდათ პირადი კავშირი, რომელიც მათ დაუყოვნებლივ მოსპეს, როგორც კი ნათელი გახდა მათთვის ტროცკიზმის პრაქტიკული ფიზიონომია. რა თქმა უნდა, ვერ არის კარგი, რომ მათ თავისი პირადი მეგობარული კავშირი ცალკეულ ტროცკისტებთან შესწყვიტეს არა ერთბაშად, არამედ დაგვიანებით. მაგრამ სისულელე იქნებოდა ასეთი ამხანაგები ტროცკისტებთან ერთ ტაფაში მოგვექცია.

3) რას ნიშნავს — სწორად შევარჩიოთ მუშაკები და სწორად გავეანაწილოთ ისინი სამუშაოზე?

ეს იმას ნიშნავს, რომ შევარჩიოთ მუშაკები, ჯერ-ერთი, პოლიტიკური ნიშნის მიხედვით, ე. ი. ღირსი არიან თუ არა ისინი პოლიტიკური ნდობისა და, მეორე, საქმიანი ნიშნის მიხედვით, ე. ი. გამოსადეგი არიან თუ არა ისინი ამჟამად კონკრეტული მუშაობისათვის.

ეს იმას ნიშნავს, რომ არ გადავაქციოთ საქმიანი მიდგომა საქმისნურ მიდგომად, როდესაც ადამიანებს ანტერესებთ მუშაკთა საქმიანი თვისებანი, მაგრამ არ ანტერესებთ მათი პოლიტიკური ფიზიონომია.

ეს იმას ნიშნავს, რომ არ გადავაქციოთ პოლიტიკური მიდგომა ერთადერთ და ამოწურავ მიდგომად, როდესაც ადამიანებს ანტერესებთ მუშაკთა პოლიტიკური ფიზიონომია, მაგრამ არ ანტერესებთ მათი საქმიანი თვისებანი.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ამ ბოლშევიკურ წესს ასრულებენ ჩვენი პარტული ამხანაგები? სამწუხაროდ, ამის თქმა არ შეიძლება. აქ პლენუმზე უკვე ილაპარაკეს ამის შესახებ. მაგრამ ყველაფერი არ უთქვამთ. საქმე ისაა, რომ ეს ნაცადი წესი ჩვენს პრაქტიკაში ირრვევა ძალიან ხშირად და მასთან მტრად უთემა. უფრო ხშირად მუშაკთა შერჩევა ხდება არა ობიექტური ნიშნების მიხედვით, არამედ შემთხვევითი, სუბიექტური, ობიექტულურ-მეშანური ნიშნების მიხედვით. უფრო ხშირად შეარჩევენ ხოლმე ეგროტონდულულ ნაც-ნობებს, მეგობრებს, თავისმხრისანებს, პირადლ ერთგულ ადამიანებს, თავისი შეფერის შექების ოსტატებს — დამოუკიდებლად მათი პოლიტიკური და საქმიანი გამოსადეგობისა.

გასაკებია, რომ პასუხისმგებელ მუშაკთა ხელმძღვანელი ჯგუფის ნაცვლად ვლბულობთ ახლობელ ადამიანთა ოჯახს, არტელს, რომლის წევრებიც ცდილობენ იცხოვრონ თანხმობით, არ აწყენინონ ერთმანეთს. არ გაიტანონ ნავაჯი ქიხიდან, შეაქონ ერთმანეთი და ხანგამოშვებით გზაწინ ცენტრში გამოფიტულ-ცალიერი და გულისამრევი პატაკები წარმატებითა შესახებ.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ასეთი შინაურულობის ვითარებაში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს არც მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკას, არც მუშაობის ხელმძღვანელთა თვითკრიტიკას.

გასაგებია, რომ ასეთი შინაურული ვითარება ჰქმნის ხელსაყრელ წრეს მოქმედებას, ისეთ ადამიანთა გამოსაზრდელად, რომლებიც მოკლებული არიან თავისი ღირსების გაძნობას და რომლებსაც ამიტომ საერთო არაფერი ბოლშევიზთან.

ველოთ, მაგალითად, ამხანაგები მირზოიანი და ვაინოვი. პირველი მათგანი არის კახასტანის სამხარეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მეორე — იაროსლავლის საოლქო პარტიული ორგანიზაციის მდივანი. ეს ადამიანები ჩვენს წრეში — უკანასკნელი მუშაკები როდი არიან. ხოლო როგორ აწარმოებენ ისინი მუშაკების შერჩევას? პირველმა თან გადაიყვანა კახასტანში ახერბი-ჯანიდან და ურალიდან, სადაც იგი წინათ მუშაობდა, 30 — 40 „თავისი“ კაცი და განაწილა ისინი პასუხსაგებ პოსტებზე კახასტანში. მეორემ თან გადაიყვანა იაროსლავლში ღონისაგან, სადაც იგი წინათ მუშაობდა, ათეულზე მეტი აგრეთვე „თავისი“ კაცი და განაწილა ისინი აგრეთვე პასუხსაგებ პოსტებზე. მაშასადამე, ამხანაგ მირზოიანს თავისი არტელი აქვს. აქვს იგი ამხანაგ ვაინოვსაც. ვანა არ შეიძლებოდა მუშაკთა შერჩევა ადგილობრივი ადამიანებისაგან, ეხელმძღვანელებნათრა ცნობილი ბოლშევიკური წესით ადამიანთა შერჩევისა და განაწილების შესახებ? რა თქმა უნდა. შეიძლება მათ, რატომ არ მოიქცნენ ისინი ასე? იმიტომ, რომ მუშაკთა შერჩევის ბოლშევიკური წესი გამოირჩევა ობიექტულურ-მეშაინური მიდგომის შესაძლებლობას, გამორიცხავს შინაურულობისა და არტელობის ნიშნებით მუშაკთა შერჩევის შესაძლებლობას. ამას გარდა, არჩევდნენ რა მუშაკებად პირადად ერთეულ ადამიანებს, ამ ამხანაგებს, ალბათ, უნდოდათ შეექმნათ თავისთვის ერთგვარი დამოუკიდებლობის ვითარება როგორც ადგილობრივ ადამიანთა მიმართ, ისე პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართაც. დაეუშვათ, რომ ამხანაგები მირზოიანი და ვაინოვი ამათუომ გარემოებათა გამო მათი ახლანდელი მუშაობის ადგილიდან გადაიყვანეს რომელიმე სხვა ადგილას, როგორ უნდა მოიქცნენ ისინი ასეთ შემთხვევაში თავიანთი „კულების“ მიმართ? ნუთუ მათ კვლავ მოუხდებათ მათი გადაჩაჩაღება თავიანთი მუშაობის ახალ ადგილას?

აი რა აბსურდამდე მივყვართ მუშაკთა სწორად რეშევისა და განაწილების ბოლშევიკური წესის დარღვევას.

4) რას ნიშნავს — მუშაკთა შემოწმება, დავალებათა შესრულების შემოწმება?

მუშაკთა შემოწმება, ეს ნიშნავს მათს შემოწმებას არა მათი დაპირებისა და დეკლარაციების მიხედვით, არამედ მათი მუშაობის შედეგების მიხედვით. დავალებათა შესრულების შემოწმება, ეს ნიშნავს მათს შემოწმებას არა მარტო კანკალიარიაში და არა მარტო ფორმალური ანგარიშების მიხედვით, არამედ უჩინარეს ყოვლისა მათს შემოწმებას მუშაობის ადგილას შესრულების ფაქტური შედეგების მიხედვით.

საჭიროა თუ არა საერთოდ ასეთი შემოწმება? უსათუოდ, საჭიროა. საჭიროა, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთი შემოწმება გვაძლავს საშუალებას გამოვივინოთ მუშაკი, გამოვარკვიოთ მისი ნამდვილი თვისებანი. მეორე — საჭიროა იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთი შემოწმება იძლევა საშუალებას გამოვარკვიოთ შემსრულებელი აპარატის ღირსებანი და ნაკლოვანებანი. მესამე — საჭიროა, იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთი შემოწმება იძლევა საშუალებას გამოვარკვიოთ თვითონ დავალებათა ღირსებანი და ნაკლოვანებანი.

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ ადამიანთა შემოწმება შეიძლება მხოლოდ ზემოთან, როდესაც ხელმძღვანელები ამოწმებენ ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფთ მათი მუშაობის შედეგების მიხედვით. ეს არ არის სწორი. ზემოდან შემოწმება, რასაკვირველია, საჭიროა, როგორც ადამიანთა შემოწმებისა და დავალებათა შესრულების შემოწმების ერთერთი ნამდვილი ზომა. მაგრამ ზემოთან შემოწმება სრულიადაც ვერ ამოსწორავს შემოწმების მთელ საქმეს. არსებობს კიდევ სხვა სახის შემოწმება, შემოწმება ქვემოდან, როდესაც მასები, როდესაც ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფნი ამოწმებენ ხელმძღვანელებს, აღნიშნავენ მათს შეცდომებს და მიუთითებენ მათი გამოსწორების გზებს. ასეთი სახის შემოწმება წარმოადგენს ადამიანთა შემოწმების ერთერთ უნამდვილეს საშუალებას.

პარტიული მასები თავიანთ ხელმძღვანელებს ამოწმებენ აქტივებზე, კონფერენციებზე, ყროლობებზე მათი ანგარიშების მოსმენის გზით, ნაკლოვანებათა კრიტიკის გზით, ბოლოს, ხელმძღვანელ ორგანოებში ამა თუ იმ ხელმძღვანელის ამხანაგების არჩევისა თუ აპარატის გზით. დემოკრატიული ცენტრალ-

ლიზის ზუსტად გატარება პარტიაში, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი პარტიის წესდება, პარტიული ორგანიზების უქვევლი არჩევნება, კანდიდატთა წამოყვანებისა და აცილების უფლება, დახურული კენჭისყრა, კრატისა და თვითკრიტიკის თავისუფლება, — ყველა ეს და ამის მსგავსი ღონისძიებანი ცხარეობაშია, სხვათა შორის, იმისათვის უნდა გავატაროთ, რომ გავაადვილოთ პარტიის ხელმძღვანელთა შემოწმება და კონტროლი პარტიული მასების მხრივ.

უპარტიო მასები თავიანთი სამეურნეო, პროფესიულ და სხვა ხელმძღვანელების ამოწმებენ უპარტიო აქტივებზე, ჟოველგვარ მასობრივ თათბირებზე, სადაც ისინი ისმენენ თავიანთ ხელმძღვანელთა ანგარიშებს, აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს და სახავენ მათი გამოსწორების გზებს.

ბოლოს, ხალხი ამოწმებს ქვეყნის ხელმძღვანელებს საბჭოთა კავშირის ხელისუფლების ორგანოების არჩევნების დროს საყოველთაო, თანასწორო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის გზით.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შევეერთოთ ზემოდან შემოწმება და ქვემოდაც შემოწმება.

5) რას ნიშნავს — ვასწავლოთ კადრებს მათი საკუთარი შეცდომების მიხედვით?

ლენინი გვასწავლიდა, რომ პარტიის შეცდომათა კეთილსინდისიერი გამოკვლევანება, ამ შეცდომათა წარმომშობი მიზეზების შესწავლა და ამ შეცდომათა გამოსასწორებლად საჭირო გზების დასახვა, წარმოადგენს პარტიული კადრების სწორად სწავლებისა და აღზრდის, მუშათა კლასისა და მშრომელთა მასების სწორად სწავლებისა და აღზრდის ერთერთ უსწორეს საშუალებას. ლენინი ამბობს:

„პოლიტიკური პარტიის დამოკიდებულება მისი შეცდომებისადმი არის პარტიის სერიოზულობისა და თავისი კლასისა და მშრომელი მასებისადმი მისი მოვალეობის ნამდვილად შესრულების ერთერთი უმნიშვნელოვანესი და უაღრესად სწორი კრიტერიუმი. შეცდომის აშკარად აღიარება, მისი მიზეზების გამოვლინება, მისი წარმომშობი ვითარების ანალიზირება, შეცდომის გამოსწორების საშუალებათა ყურადღებით განხილვა — აი ეს არის სერიოზული პარტიის ნიშანი, აი ეს არის მის მიერ თავისი მოვალეობის შესრულება, აი ეს არის კლასის, ხილო შემდეგ მასის აღზრდა და სწავლება.“

ს. ნინუავსი, რომ ბოლშევიკების მოვალეობას წარმოადგენს არა თავისი შეცდომების მიჩქალვა, არა მათი შეცდომების საკითხისათვის გვერდის ავლა, როგორც ეს ხშირად ხდება ჩვენში, არამედ თავისი შეცდომების პატიოსნად და აშკარად აღიარება, პატიოსნად და აშკარად დასახვა გზებისა ამ შეცდომების გამოსასწორებლად, თავისი შეცდომების პატიოსნად და აშკარად გამოსწორება.

მე ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი ამხანაგებიდან ბევრი სიამოვნებით თანხმდება ამ საქმეს. მაგრამ ბოლშევიკებმა, თუ მათ ნამდვილად სურთ იყენენ ბოლშევიკები, უნდა გამოიჩინონ ვაჟაკობა და აშკარად აღიარონ თავისი შეცდომები, გამოავლინონ მათი მიზეზები, დასახონ მათი გამოსწორების გზები და მით დაეხმარონ პარტიას მისცეს კადრებს სწორი სწავლა და სწორი პოლიტიკური აღზრდა. ვინაიდან მხოლოდ ამ გზით, მხოლოდ აშკარა და პატიოსანი თვითკრიტიკის პირობებში შეიძლება აღვზარდოთ ნამდვილად ბოლშევიკური კადრები, შეიძლება აღვზარდოთ ნამდვილი ბოლშევიკური ლიდერები.

ორი მაგალითი, რომლებიც ცხადჰყოფენ ლენინის დებულების სისწორეს.

ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი შეცდომები საკოლმეურნეო მშენებლობაში. თქვენ, ალბათ, გახსოვთ 1930 წელი, როდესაც ჩვენი პარტიული ამხანაგები ფიქრობდნენ გადაეჭრათ რაღაც 3 — 4 თვეში საკოლმეურნეო მშენებლობაზე გეზობის გადაყვანის ურთულესი საკითხი და როდესაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა შეეკავებინა ვატაცებული ამხანაგები. ეს იყო ერთერთი ყველაზე უფრო სახიფათო პერიოდთაგანი ჩვენი პარტიის ცხოვრებაში. შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა დაივიწყეს საკოლმეურნეო მშენებლობის ნებაყოფლობა, დაივიწყეს, რომ არ შეიძლება გლეხების გადაყვანა საკოლმეურნეო გზაზე ადმინისტრაციული დაძალებით, დაივიწყეს, რომ საკოლმეურნეო მშენებლობა მოითხოვს არა რამდენიმე თვის, არამედ რამდენიმე წლის გულმოდგინე და მოფიქრებულ მუშაობას. მათ დაივიწყეს ეს და არ უნდოდათ აღიარებინათ თავისი შეცდომები. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, რომ ცენტრალური კომიტეტის მითითებას წარმატებებისაგან თავებუდახვევითა და იმის შესახებ, რომ აღვი-

ლუბე მომუშავე ჩვენი ამხანაგები წინ არ უნდა ვარბოდნენ, რეალურ ვითარებას არ უნდა უგულებელყოფდნენ, — ნიშტებით შეხედნენ. მაგრამ ამას არ შეიძლება ცენტრალური კომიტეტი იმისაგან, რომ წასულიყო მდინარებზე, წინააღმდეგ და მოებრუნებინა ჩვენი პარტიული ამხანაგები სწორ გზაზე, და შეკრება? ახლა ყველასთვის ნათელია, რომ პარტიამ მიაღწია თავისსა, მიიპარა რა ჩვენი პარტიული ამხანაგები სწორ გზაზე, ამჟამად ჩვენ გვყავს ათითათობით საუცხოო კადრები ვლენებიდან საკოლმეურნეო მშენებლობისა და საკოლმეურნეო ხელმძღვანელობის საქმეში. ეს კადრები აღიზარდნენ და გაიწირონ 1930 წლის შეცდომებზე. მაგრამ ეს კადრები არ გვეყოლებოდა ახლა, რომ პარტიას მაშინ არ შეეგნო თავისი შეცდომები და დროულად არ გამოესწორებინა ისინი.


მეორე მაგალითი უკვე სამრეწველო მშენებლობის დარგიდან. მე მხედველობაში მაქვს ჩვენი შეცდომები შახტის მშენებლობის პერიოდში. ჩვენი შეცდომები იმაში მდგომარეობდნენ, რომ ჩვენ ვერ ვითვალისწინებდით ჩვენი კადრების ტექნიკური ჩამორჩენილობის მიუღს საფრთხეს მრეწველობაში, ჩვენ ვუბრუნდებოდით ამ ჩამორჩენილობას და ვფიქრობდით ფართო სოციალისტური სამრეწველო მშენებლობა გაგვიჩალებინა მტრულად განწყობილი სპეციალისტების დახმარებით, ვაკისრებდით რა ჩვენს სამეურნეო კადრებს ცუდი კომისიების როლს ბურჟუაზიულ სპეციალისტებთან. თქვენ, ალბათ, ვახსოვთ, თუ რა უხალისოდ აღიარებდნენ მაშინ ჩვენი სამეურნეო კადრები თავიანთ შეცდომებს, თუ რა უხალისოდ აღიარებდნენ ისინი თავიანთი ტექნიკურ ჩამორჩენილობას და რაოდენად მძიმედ ითვისებდნენ ისინი ლოზუნგს — „დავეუფლოთ ტექნიკას“. და მერე რა? ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ლოზუნგმა „დავეუფლოთ ტექნიკას“ თავისი გველენა მოახდინა და თავისი კადრები შედგებოდა მოგვცა. ახლა ჩვენ გვყვანან ათეულ და ასეულ ათასობით საუცხოო ბოლშევიკური სამეურნეო კადრები, რომლებიც უკვე დაეუფლნენ ტექნიკას და წინ წევიან ჩვენს მრეწველობას. მაგრამ ეს კადრები ჩვენ ახლა არ გვეყოლებოდა, პარტიას რომ იარაღი დაეყარა იმ სამეურნეო მუშეთა ჯგუფების წინაშე, რომლებსაც არ სურდათ ეცნოთ თავიანთი ტექნიკური ჩამორჩენილობა. პარტიას რომ არ შეეგნო მაშინ თავისი შეცდომები და ისინი დროულად არ გამოესწორებინა.

ზოგი ამხანაგი ამბობს, რომ მიზანშეუწონელია აშკარად ვილაპარაკოთ ჩვენს შეცდომებზე, ვინაიდან ჩვენი შეცდომების აშკარად აღიარება შეიძლება ჩვენმა მტრებმა შეაფასონ ჩვენს სისუსტედ და შეიძლება გამოიყენონ კიდევ. ეს არაუფერია. ამხანაგებო, სრულიად არაუფერია. ჩვენი შეცდომების აშკარად აღიარებასა და მათს პატიონად გამოსწორებას, პირიქით, შეუძლიან მხოლოდ ვაძლიეროს ჩვენი პარტია, ამაღლოს ჩვენი პარტიის ავტორიტეტი მეშვების, ძალახების, მშრომელი ინტელიგენციის თვალში, ამაღლოს ჩვენი სახელმწიფოს ძალა და ძლიერება. ეს კი თავიდათავია. ილონდ მუშები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენცია იყვნენ ჩვენთან და ყველაფერი დანარჩენი მოგვარდება.

სხვა ამხანაგები ამბობენ, რომ ჩვენი შეცდომების აშკარად აღიარებას შეუძლიან მოვიყვანოს არა ჩვენი კადრების სწავლებასა და განმტკიცებამდე, არამედ მათს შესუსტებასა და არევაში, რომ ჩვენ უნდა დავინდოთ და გავუფრთხილდეთ ჩვენს კადრებს, რომ ჩვენ უნდა დავინდოთ მათი თავმოყვარობა და სიმშვიდე. ამისათვის ისინი წინადადებას იძლევიან მივჭქალოთ ჩვენი ამხანაგების შეცდომები, შევასუსტოთ კრიტიკის ძალა, და რაც უფრო უკეთესია, — გვერდი ავუაროთ ამ შეცდომებს. ასეთი გეზი არა თუ ძირუფლად უსწორია, არამედ უღირსად საშიშიცაა, საშიშია უწინარეს ყოვლისა კადრებისათვის, რომლების „დანდობა“ და „გაფრთხილება“ სურთ. კადრების დანდობა და შენარჩუნება მათი შეცდომების მიჩქალების შემწეობით, — ეს ნიშნავს თვით ამ კადრების აუცილებლად დაღუპვას. ჩვენ აუცილებლად დავლუპავდით ჩვენს საკოლმეურნეო ბოლშევიკურ კადრებს, რომ არ გამოგვემტკიცებინა 1930 წლის შეცდომები და არ გვესწავლებინა მათთვის ამ შეცდომებზე, ჩვენ აუცილებლად დავლუპავდით ჩვენს სამრეწველო ბოლშევიკურ კადრებს, ჩვენ რომ არ გამოგვემტკიცებინა ჩვენი ამხანაგების შეცდომები შახტის მშენებლობის პერიოდში და არ გვესწავლებინა ჩვენი სამრეწველო კადრებისათვის ამ შეცდომებზე. ვინც ფიქრობს ჩვენი კადრების თავმოყვარეობის დანდობას მათი შეცდომების მიჩქალების გზით, იგი ღუპავს კადრებსაც, კადრების თავმოყვარეობასაც, ვინაიდან იგი მათი შეცდომების მიჩქალებით აადგილებს ახალ, შეიძლება უფრო სერიოზულ შეცდომათა განმეორებას, რომლებიც, უნ-



და ვიჭიკროთ, მიგვიყვანს კადრების სრულ მარცხამდე მათი ბისა“ და „სიმშვიდის“ სახიანოდ.



6) ლენინი გვასწავლიდა ჩვენ არა მარტო ვასწავლოთ მასებს, აწავლოთ კიდევ მასებისაგან.

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, ხელმძღვანელები, არ უნდა გავმედიდურდით და უნდა გვესმოდას, რომ თუ ჩვენ ცენტრალური კომიტეტის წევრები ან სახალხო კომისარები ვართ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მოვლევინებთ ყველა ცოდნა, აუცილებელი იმისათვის, რათა სწორად ვუხელმძღვანელოთ. ჩინი თავისთავად არ იძლევა ცოდნასა და გამოცდილებას. სახელწოდება — მით უმეტეს.

ეს ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ მარტო ჩვენი გამოცდილება, ხელმძღვანელთა გამოცდილება არ კმარა იმისათვის, რომ სწორად ვუხელმძღვანელოთ. რომ, მამასადამე, აუცილებელია შევავსოთ ჩვენი გამოცდილება, ხელმძღვანელთა გამოცდილება, მასების გამოცდილებით, პარტიული მასის გამოცდილებით, მუშათა კლასის გამოცდილებით, ხალხის გამოცდილებით.

ეს ნიშნავს იმას, რომ ერთი წუთითაც არ შევასუსტოთ და მით უმეტეს არ გავწყვიტოთ ჩვენი კავშირი მასებთან.

ბოლოს, ეს ნიშნავს იმას, რომ გულისხმიერად დავუვლოთ ყური მასების ხმას, პარტიის რიგითი წევრების ხმას, ეგრეთწოდებული „პატარა ადამიანების“ ხმას, ხალხის ხმას.

რას ნიშნავს სწორი ხელმძღვანელობა?

ეს სრულიადაც არ ნიშნავს კანცელარიაში ჯდომას და ღირეკტივების წერას.

სწორად ხელმძღვანელობა — ეს ნიშნავს:

ჯერ-ერთი, გამოვინახოთ საკითხის სწორი გადაწყვეტა, ხოლო სწორი გადაწყვეტის გამოიხატვა შეუძლებელია მასების გამოცდილების გათვალისწინებლად, რომლებიც თავიანთ საკუთარ ზურგზე განიცდიან ჩვენი ხელმძღვანელობის შედეგებს;

მეორე, მოვაწყუთ სწორი გადაწყვეტილების შესრულება, რისი ვაკეთებაც; ამავე დროს, შეუძლებელია მასების მხრივ პირდაპირი დახმარების გაჩეხვა; მესამე, მოვაწყუთ ამ გადაწყვეტილების შესრულების შემოწმება, რისი ვაკეთებაც ისევ შეუძლებელია მასების პირდაპირი დახმარების გარეშე.

ჩვენ, ხელმძღვანელები, საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს ცხედავთ მხოლოდ ერთი მხრით, მე ვიტყვოდი — ზემოდან, ჩვენი მხედველობის არე, მამასადამე, ცოტად თუ ბევრად შეზღუდულია. მასები, პირიქით, საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს ხედავენ მეორე მხრით, მე ვიტყვოდი — ქვემოდან, მათი მხედველობის არეც, მამასადამე, ერთგვარად შეზღუდულია. საკითხის სწორი გადაჭრა რომ მივიღოთ, საჭიროა გავაერთიანოთ ეს ორი გამოცდილება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება ხელმძღვანელობა სწორი.

აი რას ნიშნავს არა მარტო ასწავლო მასებს, არამედ ისწავლო კიდევ მასებისაგან.

ორი მგაღლითი, რომელნიც ცხადყოფენ ლენინის ამ დებულების სისწორეს.

ეს იყო რამდენიმე წლის წინათ. ჩვენ, ცენტრალური კომიტეტის წევრები, ვიხილავდით დონბასის მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი ლონისიძეებისა აშკარად არადაამაჟაყოფილებელი იყო. სამჯერ დავაბრუნეთ პროექტი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში. სამჯერ ვლუბოვდით მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატისაგან სულ სხვადასხვა პროექტს. და მაინც შეუძლებელი იყო მათი მიჩნევა დაამაჟაყოფილებლად. ბოლოს, ჩვენ გადაწყვიტეთ გამოგვეყვია დონბასიდან რამდენიმე მუშა და რიგითი სამუშაოელი აპროფესიული მუშაკები. სამ დღეს ესაუბრობდით ამ ამხანაგებთან. და უკვლას ჩვენ, ცენტრალური კომიტეტის წევრებს, უნდა გველიარებინა, რომ მხოლოდ მათ, ამ რიგითმა მუშაკებმა, ამ „პატარა ადამიანებმა“, შესძლეს ეკარნახათ ჩვენთვის სწორი გადაწყვეტილება. თქვენ ალბათ გასცოთ ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს ცნობილი გადაწყვეტილება დონბასში ქვანახშირის ამოღების გაძლიერების ლონისიძეებთან შესახებ. და აი ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს ეს გადაწყვეტილება, რომელიც ყველა ჩვენმა ამა-

ნავა აღიარა სწორ და განთქმულ გადაწყვეტილებადაც კი, ჩვენ გვიკარნახეს უბრალო ადამიანებმა ქვემოდას.

მეორე მაგალითი. მე მხედველობაში მაქვს ახხ. ნიკოლაენკოს ქალის მკვლელობა. ვინ არის ნიკოლაენკო? ნიკოლაენკო — ეს პარტიის რიგითი წევრის იგი — მკვლელობის „პატარა ადამიანი“. იგი მთელი წლის განმავლობაში იძლეოდა სიგნალებს, რომ კიევის პარტიულ ორგანიზაციაში საქმე როგორც ვერ არის, ამოღებენდა შინაურულობას, მუშაებისადმი მეშინურ-ობივადტელურ მდგომარეობას, თვითკრიტიკის ჩახშობას, ტროცკისტ მენებელთა მომხაერებას. მას იგერიებდნენ, როგორც აბეზარ ბუხს. ბოლოს, თავიდან რომ მოეშორებინათ იგი, აღეს და გარიცხეს პარტიიდან. არც კიევის ორგანიზაცია, არც უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი არ დაეხმარა მას სიმართლის აღდგენაში. მხოლოდ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩარევამ გახალა შესაძლებელი ამ დახლართული კვანძის გახსნა. ხოლო რა გამოირკვა საქმის გარჩევის შემდეგ? გამოირკვა, რომ ნიკოლაენკო მართალი იყო, ხოლო კიევის ორგანიზაცია მართალი არ იყო. არც მეტი, არც ნაკლები. ხოლო ვინ არის ნიკოლაენკო? იგი, რა თქმა უნდა, არ არის ცენტრალური კომიტეტის წევრი, იგი არ არის სახალხო კომისარი, იგი არ არის კიევის სოლქო ორგანიზაციის მდივანი, იგი რომელიმე უჯრედის მდივანიც კი არ არის, იგი მხოლოდ პარტიის უბრალო რიგითი წევრია.

როგორც ხედავთ, უბრალო ადამიანები ზოგჯერ გაცილებით უფრო ახლოს არიან ქეშმარიტებასთან, ვიდრე ზოგიერთი მაღალი დწესებულემა.

შეიძლებაოდა კიდევ ათობით და ასობით მოვეყვანა ასეთი მაგალითები. ამგვარად გამოიღის, რომ ჩვენი საქმის ხელმძღვანელობის გასაწყვად სრულიად არ ემარა მხოლოდ მარტო ჩვენი გამოცდილება, ხელმძღვანელთა გამოცდილება. იმისათვის, რომ სწორად ვუხელმძღვანელოთ, აუცილებელია ხელმძღვანელთა გამოცდილება შევავსოთ პარტიული მასის გამოცდილებით, მუშათა კლასის გამოცდილებით, მშრომელთა გამოცდილებით, ეგრეთწოდებულ „პატარა ადამიანთა“ გამოცდილებით.

ხოლო როდის არის ეს შესაძლებელი?

ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელები მკიდროდ არიან დაკავშირებული მასებთან, თუ ისინი დაკავშირებული არიან პარტიულ მასებთან, მუშათა კლასთან, გლეხობასთან, მშრომელ ინტელიგენციასთან.

მასებთან კავშირი, ამ კავშირის განმტკიცება, მზადყოფნა იმისათვის, რომ ყური დაუვდოს მასების ხმას, — აი რაშია ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ძალა და უძლეველობა.

შეიძლება წყსად აღვიაროთ, რომ სანამ ბოლშევიკები ინარჩუნებენ კავშირს ხალხის ფართო მასებთან, ისინი უძლეველი იქნებიან. და, პირიქით, საკმარისია ბოლშევიკები მოსწყდნენ მასებს და დაჰკარგონ მათთან კავშირი, საკმარისია მოედოს მათ ბიუროკრატიული ენგი, რომ დაჰკარგონ ყოველგვარი ძალა და არარაობად გადაიქცნენ.

ძველ ბერძნებს თავიანთი მითოლოგიის სისტემაში ჰყავდათ ერთი სახელგანთქმული გმირი — ანთოსი, რომელიც, როგორც მითოლოგია გადმოგვცემს, იყო პოსეიდონის — ზღვათა ღმერთისა და გეის — მიწის ქალღმერთის შვილი. იგი განსაკუთრებულ სიყვარულს განიცდიდა თავისი დედის მიმართ, რომელმაც იგი შობა, გამოჰკვება და გამოზარდა. არ იყო ისეთი გმირი, რომელიც არ დემარცხებინოს მას — ამ ანთოსს. იგი უძლეველ გმირად ითვლებოდა. რაში მდგომარეობდა მისი ძალა? იგი მდგომარეობდა იმაში, რომ ყოველთვის, როცა დესაც მას მოეწინააღმდეგესთან ბრძოლაში გაუჭირდებოდა, იგი ეხებოდა მიწას, თავის დედას, რომელმაც ჰშობა და გამოჰკვება იგი, და ახალ ძალას ღებულობდა. მაგრამ მას მაინც ჰქონდა თავისი სუსტი ადგილი — ეს იყო მიწისაგან რამენაირად მოწყვეტის საშიშროება. მტრები ითვალისწინებდნენ მის ამ სისუსტეს და უღარაჯებდნენ მას. და აი გამოჩნდა მტერი, რომელმაც გამოიყენა ეს მისი სისუსტე და დაამარცხა იგი. ეს იყო ჰერკულესი. მაგრამ როგორ დაამარცხა მან იგი? მან მოსწყვიტა იგი მიწას, აიყვანა ჰერკულესი, დაუკარგა მას მიწის შეხების საშუალება და ამრიგად დაახრჩო იგი ჰერკულესი.

ფიქრობ, რომ ბოლშევიკები მოგვაგონებენ ბერძნული მითოლოგიის გმირს, ანთოსს, ისინიც, ისევე, როგორც ანთოსი, ძლიერნი არიან იმით, რომ კავშირი აქვთ თავის დედასთან, მასებთან, რომლებმაც ისინი შობეს, გამოჰკვე-

ბეს და გამოზარდეს. და სანამ მათ კავშირი აქვთ თავის დელატთან, მათ ყველა შანსი აქვთ იმისა, რომ უძლეველი დარჩნენ.



ამასმა ვასალები ბოლშევიკური ხელმძღვანელობის უძლევლობი

7) ბოლოს, კიდევ ერთი საკითხი. მე მხედველობაში მაქვს საკითხი ერთი ჩვენი პარტიული ამხანაგის ფორმალური და უსულგულო-მიზრობრილი დამოკიდებულებისა პარტიის ცალკეული წევრების ბედისადმი, პარტიიდან პარტიის წევრების გარიცხვის საკითხისადმი, ან პარტიის წევრთა უსლგებში გარიცხულთა აღდგენის საკითხისადმი. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ჩვენი პარტიული ხელმძღვანელი დაავადებულა უყურადღებობით ადამიანებისადმი, პარტიის წევრებისადმი, მუშაკებისადმი. მეტიც, ისინი არ სწავლობენ პარტიის წევრებს, არ იციან რითი ცხოვრობენ და როგორ იზრდებიან ისინი, არ იცნობენ საზოგადოდ მუშაკებს, ამიტომ მათ არა აქვთ ინდივიდუალური მიდგომა პარტიის წევრებისადმი, პარტიის მუშაკებისადმი. და სწორედ იმიტომ, რომ მათ არა აქვთ ინდივიდუალური მიდგომა პარტიის წევრებისა და პარტიული მუშაკების შეფასების დროს, — ისინი ჩვეულებრივ მოქმედებენ ანგარიშითუ-ცემლად: ან აქებენ მათ ხელაღებით, უზომოდ, ან ურტყამენ მათ აგრეთვე ხელაღებით და უზომოდ, რიცხავენ მათ პარტიიდან ათასობით და ათათასობით. ასეთი ხელმძღვანელები საზოგადოდ ცდილობენ იაზროვნონ ათეული ათასებით, არ ზრუნავენ რა „ერთეულებზე“, პარტიის ცალკეულ წევრებზე, მათს ბედობაზე. პარტიიდან ათასობით და ათეული ათასობით ადამიანთა გარიცხვა მათ მიაჩნიათ იოლ საქმედ, ინუგეშებენ რა თავს იმით, რომ ჩვენი პარტია ორმილიონიანი და ათეული ათასობით გარიცხულთ არ შეუძლიან შესცვალონ რამე პარტიის მდგომარეობაში. მაგრამ პარტიის წევრებისადმი ასეთი მიდგომა შეუძლიანთ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებიც, არსებიათ, ღრმად ანტიპარტიულნი არიან.

ადამიანებისადმი, პარტიის წევრებისა და პარტიული მუშაკებისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულების შედეგად ხელოვნურად იქმნება უქმაყოფილება და გაბზორობება პარტიის ერთ ნაწილში, ხოლო ტროცკისტი თვალთმაქცები მარჯვენა აიყოლებენ ხოლმე ასეთ გაბზორობებულ ამხანაგებს და ოსტატურად ითრევენ მათ ტროცკისტული მანებლობის ჯაშუში.

თავისთავად ტროცკისტები არასოდეს არ წარმოადგენდნენ ღიღ ძალას ჩვენს პარტიაში. გაიხსენეთ უკანასკნელი დისკუსია ჩვენს პარტიის 1927 წელს. ეს იყო ნამდვილი პარტიული რეფერენდუმი. პარტიის 854 ათასი წევრიდან მათინ ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო პარტიის 730 ათასმა წევრმა. ამთვან ბოლშევიკებს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ტროცკისტების წინააღმდეგ ხმა მისცა 4 პარტიის 724 ათასმა წევრმა, ტროცკისტებს — პარტიის 4 ათასმა წევრმა, ესე-იგი დაახლოებით ნახევარმა პროცენტმა, და თავი შეიკავა პარტიის 2.600 წევრმა. ხმის მიცემაში მონაწილეობა არ მიუღია პარტიის 123 ათას წევრს. მათ მონაწილეობა არ მიუღიათ ან იმიტომ, რომ სხვაგან იყვნენ გამგზავრებული, ან იმიტომ, რომ ცვლებში იყვნენ. თუ 4 ათასს, რომელთაც ხმა მისცეს ტროცკისტებს, მივუმატებთ ყველა იმთ, ვინც თავი შეიკავა, — ვეარაუდობთ რა, რომ ისინიც თანაუგრძობდნენ ტროცკისტებს, — და თუ ამ ჯამს მივუმატებთ არა ნახევარ პროცენტს, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია ხმის მიცემაში, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია, ესე-იგი პარტიის 6 ათასამდე წევრს, მივიღებთ პარტიის დაახლოებით 12 ათას წევრს, რომლებიც ისე თუ ისე თანაუგრძობდნენ ტროცკიზმს. აი ბატონ ტროცკისტების თეობი ძალა. დაუმატეთ ამას ის გარემოება, რომ ბევრს ამ რიცხვიდან იმედი გაუცურა ტროცკიზმმა და ჩამოშორდნენ მას, და თქვენ მიიღებთ წარბოცდენას ტროცკისტული ძალების არარაობაზე. და თუ, მიუხედავად ამისა, ტროცკისტ მანებლებს მინც ჰყავთ ერთგვარი რეზერვები ჩვენი პარტიის ახლოს, ეს იმიტომ, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის არასწორი პოლიტიკა პარტიიდან გაოცხვია და გარიცხულთა აღდგენის საკითხში, ზოგიერთი, ჩვენი ამხანაგის უსულგულო დამოკიდებულება პარტიის ცალკეული წევრებისა და ცალკეული მუშაკების ბედობისადმი ხელოვნურად ამრავლებს უქმაყოფილთა და გაბზორობებულთა რაოდენობას და, ამრიგად, უქმნის ტროცკისტებს ამ რეზერვებს.

მეტწილად რიცხავენ ეგრეთწოდებულ პასივიზისტთს. რა არის პასივიზიზმი? თორემ ფიქრობენ, რომ თუ პარტიის წევრმა ვერ შეითვისა პარტიის პროგრამა, იგი პასიურია და უნდა გაირიცხოს. მაგრამ ეს ხომ სწორი არ არის, ამ-

ხანაგებო. ხომ არ შეიძლება ასე ასოჩაიკრიტებით ვაგივით ჩვენი პარტიის წევრ-  
დება. პარტიის პროგრამა რომ შეითვისო, უნდა იყო ნამდვილი მემოწმებული,  
შემოწმებული და თეორიულად მომზადებული მარქსისტი. მე ვარ მემოწმებული,  
ბევრი მოინახება თუ არა ჩვენი პარტიის წევრი, რომელსაც უკვე  
შეთვისებინოს ჩვენი პროგრამა, გამსდარიყოს ნამდვილი მარქსისტი, თეო-  
რიულად მომზადებული და შემოწმებული. თუ ამ გზას გავყევით, ჩვენ მო-  
გვიხდებოდა დაგვეტოვებინა პარტიაში მხოლოდ ინტელიგენტები და საერთოდ  
სწავლული ადამიანები. ეს რად უნდა ასეთი პარტია? ჩვენ გვაქვს პარტიდან  
წვერობის შესახებ შემოწმებული ლენინური ფორმულა, რომელმაც ყველა გა-  
მოცდა დაიჭირა. ამ ფორმულის მიხედვით პარტიის წევრად ითვლება ის, ვინც  
**ალიარგებს** პარტიის პროგრამას, შემოაქვს საწევრო გადასახადი და მუშაობს  
ერთად მის ორგანიზაციაში. ყურადღება მიაქციეთ: ლენინური ფორმულაში  
ლაპარაკია არა პროგრამის **შეთვისებაზე**, არამედ პროგრამის **ალიარგებაზე**. ეს  
ორი სრულიად სხვადასხვა საგანია. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ აქ მართა-  
ლია ლენინი და არა ჩვენი პარტიული ამხანაგები, რომლებიც ტყუილ-უბრა-  
ლოდ ლაყბობენ პროგრამის შეთვისებაზე. ეს გასაგებიცაა. პარტია რომ პარტიდან  
გამოდიოდეს, რომ პარტიის წევრებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ ისეთი ამხა-  
ნაგები, რომლებმაც უკვე შეითვისეს პროგრამა და გახდნენ თეორიულად მომ-  
ზადებული მარქსისტები, იგი აღარ შექმნიდა პარტიაში ათასობით პარტიულ  
წევრებს, ასობით პარტიულ სკოლებს, სადაც პარტიის წევრებს ასწავლიან მარქ-  
სიზმს და ეხმარებიან მათ შეითვისონ ჩვენი პროგრამა. საესებით ცხდია, რომ  
თუ პარტია აწყობს ასეთ სკოლებსა და წევრებს პარტიის წევრებს შორის, ეს  
იმიტომ, რომ მან იცის, რომ პარტიის წევრებმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს შე-  
თვისებინათ პარტიული პროგრამა, ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს გამხდარიყვნენ  
თეორიულად მომზადებულ მარქსისტებად.

მაშასადამე, რომ გამოვასწოროთ ჩვენი პოლიტიკა პარტიის წევრობისა და  
პარტიიდან გარიცხვის საკითხში, აუცილებელია ბოლო მოვუღოთ პასივობის  
საკითხის ახლანდელ უთაურ გაგებას.

მაგრამ ჩვენ კიდევ გვაქვს სხვა შეცოდება ამ დარგში. საქმე ისაა, რომ  
ჩვენი ამხანაგები არ სცნობენ შუათანობას ორ უკიდურესობას შორის. საკმა-  
რისია მუშამ, პარტიის წევრმა ჩაიდინოს სულ მცირე დანაშაული, ერთხელ-  
ორჯერ დივიციანოს პარტიულ კრებაზე, არ შეიტანოს რაიმე მიზეზის გამო სა-  
წევრო გადასახადი, რომ იგი მყისვე გაამეფონ პარტიიდან. არ აინტერესებთ მისი  
დანაშაულის ხარისხი, კრებაზე დაუსწრებლობის მიზეზი, საწევრო გადასახა-  
დის შეუტანლობის მიზეზი. ბიუროკრატიზმი ამ საკითხებში პირდაპირ უმაჯა-  
ლითია. მწელი არ არის იმის გაგება, რომ სწორედ ასეთი უსულგულო პოლი-  
ტიკის შედეგად პარტიიდან იქნენ გაყრილი კადრის შესანიშნავი მუშები, სა-  
უცხოო სტახანოველები. და მერე განა არ შეიძლებოდა, ვიდრე პარტიიდან გა-  
რიცხვადნენ, ჯერ მეტად ვაფრთხილება, და თუ ეს არ იმოქმედებდა — მიე-  
ცათ შერიშენა, ან გამოეცხადებინათ საყვედური, ხოლო თუ არც ეს იმოქმე-  
დებდა — დაენიშნათ ვადა გამოსწორებისათვის ან, უკიდურეს შემთხვევაში,  
გადაეყვანათ კანდიდატად, მაგრამ არ გაერიცხათ პარტიიდან ერთი ხუროს და-  
კვროთ? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. მაგრამ ამისათვის საჭიროა უტრადლება  
ადამიანებისადმი, პარტიის წევრებისადმი, პარტიის წევრთა ბედობისადმი.  
მაგრამ სწორედ ეს აკლია ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს.

ღროა, ამხანაგებო, დიდხანია ღროა, ბოლო მოვუღოთ ამ უმშავესობას.

(ტაში).

# ხელოვნების გუბაქთა გამოსაგაუჩება დიდი სვალინის ისვორიულ მოხსენებაზე

ნაგა პანეაძე

იაკობ ნიკოლაძე

რესპ. დამსახ. არტისტი, ორდენისანი

ორდენისანი სახალხო მოქანდაკე

დიდი სვალინის მოხსენება და საბოლოო სიტყვა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. მარტის პლენუმზე, ეს არის უდიდესი ეპოქალური დოკუმენტი, რომელიც თავისი სისადაით და ბრძნული მითითებებით განაცვიფრებს ჩვენს შემდეგაც დამაინათა მრავალ თაობას. ამ შესანიშნავი მოხსენების ყოველი წინადადება, ყოველი ცალკე აზრი წარმოადგენს სახელმძღვანელო პროგრამას ჩვენს შემდგომ მუშაობაში.

შეხება რა დიდი ბელადი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრების ძირითად საკითხებს, არაჩვეულებრივი დამაჯერებლობით და ბრძნული განჭკვრებით მოახდინა ჩვენი მუშაობის ღრმა ანალიზი, მიგვიითთა მუშაობის ცალკე ნაკლოვანებებზე და კონკრეტული მითითებებით დაგვისახა კონკრეტული გზები მათი ლიკვიდაციისათვის.

უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანები დგას თვითულ ჩვენგანის წინაშე. დიდი პასუხისმგებლობაა იდეოლოგიურ ფორმებზე, ხელოვნების ყოველ მუშაკს კარგად უნდა ჰქონდეს შესწავლილი დიდი ბელადის ეს გენიალური მითითებანი და გააათეკოს ბოლშევიკური სიფხილუე ხელოვნებაში მავნებლური თეორიების შემომტანთა წინააღმდეგ. მთელი ჩვენი ძალღონე უნდა მოვახმართ თანმიმდევრობითი და დაუნდობელ ბრძოლას ტროცკისტულ — ფაშისტურ „ესთეტიკის“ უმსგავსი და მავნებლური თეორიების კონტრბანდისტებთან. ჯერ კიდევ შარშან „პრავდამ“ გაგვაფრთხილა თავისი სტატეებით ფორმალიზმისა და უხეში ნატურალიზმის, გაუმბრალოებისა და მანკვა-გრების წინააღმდეგ ბრძოლის გააზრებისათვის. ხელოვნების მუშაკათათვის ეს იყო დიდი ვაკეეთილი, რათა გაგვეძლიერებია რევიოლუციურ-ბოლშევიკური სიფხილუე ასეთი თეორიების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი იდეოლოგიით გამომდინარეობს ლობობადი კაპიტალიზმის ბუნებიდან და თავიანთი სოციალური შინაარსით წარმოადგენენ ყველაზე უფრო მოდულატურ მიმართულებას საბჭოთა ხელოვნებაში.

საკვარელმა ბელადმა, ბრძენმა სვალინმა ბოლშევიკური თვითკრიტიკის მთელი სიმძლავრით ამჟღავნა ის შეცდომები, რომლებსაც ადვილი ჰქონდა ჩვენს მუშაობაში; მანვე დასახა ის გზები, რომლებიც ჩვენ საშუალებას მოგვცემს აღმოვფხვრათ ეს შეცდომები.

ეს მოხსენება თავისი ბრძნული მითითებებით გეროზმავს პოლიტიკური უღარდებლობისა და ვულუბრკელოობის წინააღმდეგ.

სულ ახალი პერსპექტივები გადაიშალა ჩვენს წინაშე ამ ისტორიულ მოხსენების შემდეგ; საჭიროა მთელი ძალღონის დაქიმა დაუნდობელი ბრძოლის გასახლებულად თვითკმაყოფილებისა და პოლიტიკური უღარდებლობის წინააღმდეგ, აი, რა გეჭირდება ჩვენ, და რაც მთავარია, მეტად დაინებით უნდა ვიბრძოლოთ ბოლშევიზმის დაუფლებებისათვის, რათა ბოლშევიკური თანმიმდევრობით მივაღწიოთ ახალ მწვერვალს ჩვენს შემოქმედების მუშაობაში.

## პროფ. ი. პალიუვიჩი

ორდენისანი მხატვარი

ხალხთა ბელადის დიდი სვალინის მოხსენება და საბოლოო სიტყვა საქ. კომ. პარტიის ც. კ. (ბ) პლენუმზე თავისი მკაფიობით, გენიალური უბრალოებით და კონკრეტული მითითებებით წარმოადგენს ეპოქის უღადეს დოკუმენტს, როგორც საბრძოლო პროგრამა ჩვენს შემდგომ მუშაობაში.

დიდმა ბელადმა ბოლშევიკური თვითკრიტიკის სთელი სიძლიერით გამოამჟღავნა ჩვენი ორგანიზაციული მუშაობის ნაკლოვანებები და თავისი ბრძნული დარიგებებით დაგვისახა სწორი ბოლშევიკური გზები ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ყველა ჩვენგანს უნდა ახსოვდეს ბელადის მიერ წარმოასქმული გენიალური და უბრალო სიტყვა „ვიც შე-

დაიკვას ჩვენი კადრების თავმოყვარეობა, შეცდომების დაშლვის საშუალებით, ის დაღუპავს ირც კადრებს ისე მათ თავმოყვარეობას, რადგან კლდომების გამოუმყვანებლობა აადვილებს უფრო ადნ და სერიოზულ შეცდომების ჩადენას. რითაც შესაძლებელია მიხვიდეთ კადრების სრულ დარბევამდე“.

ჩვენ, საქ. საბჭოთა მხატვრები, უნდა დავიარაზოთ ამ უდიდესი და გენიალური მითითების ირგვლივ, ვასაკეცებული სიფხიზით მოვეკიდოთ ჩვენს შემოქმედებითი გზებს, ბოლშევიკური კრიტიკითა და თვითკრიტიკით ვავსწმინდოთ ჩვენი რიგები, ყველა ჯურის თვალმამკეტისა და მოვალატური თვითრიგების კონტრბანდისტებისაგან და მაქსიმალური ენერგიის დაძაბვით ვამყვანებთ და ვინავეურთი მანებებულ-არამზადები გესტაპო-ბოტროკის კონტრევოლუციურ ბანდიდან. ჩვენ გვაქვს ყოველგვარი შესაძლებლობანი მუშაობისათვის, ჩვენ გვაქვს უდიდესი მზრუნველობა და სიყვარული პარტიისა და მთავრობის მხრივ, ჩვენ უნდა გავამართლოთ ეს პრაქტიკულად, ჩვენი მუშაობის რეალური ეფექტით და ბოლშევიზმის დაუფლებებისათვის ბრძოლის გაჩაღებით.

## გიორგი კიკაძე

ორდენისანი კომპოზიტორი

დიდი სტალინის ეს ისტორიული მოხსენება ქვეკუთხედად დადიო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შემდგომ მშენებლობას, ის ვადაიქვა ჩვენი მუშაობის საბრძოლო პროგრამად.

ხალხთა ბელადმა ამომწურავი ანალიზი გაუკეთა ჩვენს დღევანდელ ვითარებას და არაჩვეულებრივი სიცხადით გამოამჟღავნა იმ დამახინჯებათა და შეცდომათა მიზეზები, რომელნიც ჯერ კიდევ მრავალდ მოიპოვება ყოველი ჩვენგანის პრაქტიკულ მუშაობაში.

იმას, რასაც დიდმა ბელადმა დაარქვა იდიოტური ავადმყოფობა: — გულურბყვილობას, თვითმკაყოფილებას და პოლიტიკური სიბეცეს ჩვენსა—მუსიკოსების წრეშიაც აქვს ადგილი.

საჭიროა კომპოზიტორთა კავშირმა რადიკალურად გარდაქმნას თავისი მუშაობა ბელადის მითითებათა საფუძველზე, აღმოფხვრას ჩვენს წრეში პოლიტიკური უყვებობა და უღარდებლობა; აღუბრუნოს ბოლშევიზმის მტკაერი იარაღით ჩვენი კავშირის წევრები და ჩააყენოს ისინი კაცობრიობის საუკეთესო იდელებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

ჩვენს წრეში კრიტიკა და თვითკრიტიკა ჯერ კიდევ ვერ არის ვაშლილი საჭირო სიმძლავრით; ზოგს სხვისი კრიტიკა უფრო „ემბრაჯება“, ზოგი ცილიობს კრიტიკა თავისი მიზნებისათვის ვამოიყენოს, — ხოლო იმაზე კინაკლებს ფიქრობენ, რომ მხოლოდ თვითკრიტიკის საშუალებით და იდეური დონის უფრო და უფრო ამაღლებით შეიძლება თავის საკუთარი შეცდომათა არის შეცნობა და მისი დაძლევა. თავისი შეცდომების პატიოსნად და აშკარად აღიარებულ, პატიოსნად და აშკარად დასახვა გზებისა ამ შეცდომების გამოსწორებლად, თავისი შეცდომების პატიოსნად და აშკარად გამოსწორება“ — არა აქვთვენ მოგვიწოდებს ჩვენ გენიალური სტალინი, აი, ეს უნდა გახდეს ჩვენი შემდგომი მუშაობის მამოძრავებელ ძალთ.

და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჯეროვნად ვმლოთ ის გრანდიოზული ამოცანები, რომელთაც ჩვენ გვეყენებს სოციალიზმის აღმავლობა ჩვენს ქვეყანაში რომელთაც გვეყენებს ჩვენი საყვარელი ბელადი ჩვენს ხანავი სტალინი.

## მინა თოიძა

ორდენისანი მხატვარი

დიდი გულმოდგინებით და ყურადღებით წაიკითხე ჩვენი საყვარელი ბელადის, დიდი სტალინის მოხსენება საქ. კომ. პარტიის (ბ) ც. კ. მარტის პლენუმზე. ბელადის ყოველი მოხსენება მუდამ ახალ პროგრამას ვისახავდა ჩვენი სამშობლოს მშენებლობის მუშაობის განვითარებისათვის. ამ შემთხვევაშიაც უდიდესი სიბრძნით სავსე მითითებებს გვაძლევს ბელადი.

ეს ისტორიული მოხსენება უმდიდრესი პროექტორია, რომლის შუქის ქვეშ აშკარავდება სამშობლოს მოვალატეთა — ხალხის მტკრების უსასაგლესი მეთოდები, ეს გენიალური მოხსენება არაჩვეულებრივი სიბრძნით გვისახავს ამ მანებებულ გარეუარათა წინააღმდეგ ბრძოლის გზებს.

დიდი ბელადის ეს დიდი მოხსენება პირდაპირი და სწორ-უპოვარი პროგრამა სამშობლოს დაცვისა და დღიერების განვითარებისათვის სოციალისტური მშენებლობის ყველა ფორტზე.

ხელოვნების მუშაებმა ზედმიწევნით ბეჯითად უნდა შეისწავლონ ეს უძვირფასესი მითითებანი და სათანადო გაცივებით უნდა გამოიტანონ თავიანთ დარგებში შემდგომი მუშაობისათვის.

რა არის დრამა? ჰეგვაძემ განმარტავს დრამატული ხელოვნების ამ ფანრს: „დრამა სულისა და გულის ცხოვრებაა, სულისა და გულის დიდ ძვირახა ასაველილი და ასაშენებელი“<sup>11</sup>. ცოტა ჰეგვით ამაზე აზრს ასე გამოხატავს: „დრამა უსთუოდ სულისა და გულის უდიდეს ძვირზე უნდა იყოს აუბუბო და აშენებელი, და ეს უდიდესი ძვირ სულისა და გულისა ერთადერთი საგანია დრამის, ერთადერთი ბუნებაა მისი. ამით იცნობება იგი დრამად. სხვა საწყაო არა აქვს და არც სხვა მიზეზი არსებობს“<sup>12</sup>.

„ამ თვალსაზრით აღებურვილ ჰეგვაძემს სრულებითაც ვერ აკმაყოფილებს ის ორი დრამა „ქართვის დედა“ ციარლისა და „მეტრავალი“ მასწავლებელ ლაზარიაშვილისა, რომელსაც იგი არჩევს.

„ამ მხრით რომ დრამა გეგუბნიოთ სხენებულ დრამებს,—სწერს ილია,—რა თქმა უნდა—ვერც ერთი თავს ვერ გაიმართლებს, ვერც ერთი ვერ შეირჩეს ამაოდ დაჩემებულ დრამის სულისა“. რატომ, რა ნაკლის გამო? „ორსაც სავნად აქვს—განაგრძობს ჰეგვაძემ,—მამულის-შვილობა და ვაქცაკობა ქართველობისა და არც ერთს მამულის-შვილობა და ვაქცაკობა სადრამო განსაცდელიც არ ჩაუტვია, რომ გრძნობათა ჭილიდ გვიჩვენოს, რა ქართველში ჩავარდნილა და გრძნობათა შივნებელი კაცი, რა წვა-დაგვა გამოუვლია და ამ განსაცდელიან ქართველიდამ როგორ გამოუტანია თავი გამორჯვებულ გრძნობას“<sup>13</sup>. ეს აზრი დასახებულ პიესებსაც ახასიათებს და დრამის რაობის ახსნასაც კიდევ უფრო აღრმავებს. გრძნობათა ქართველში ჩავარდნა, გრძნობათა ჭილიდი, სადრამო განსაცდელი და ყოველივე ამიდან გამორჯვებულ გრძნობის გამოსვლა.—არ როგორია ილიას აზრით დრამატული ფანრის ბუნება. დრამის საგანი ღრმა აზრთა და გრძნობათა ჭილილია.

დრამის გავლას და გრძნობათა ბოლოქრობის დრამატული ნაწარმოების საშუალებით ჩვენთვის თავის შესაფერი ისტატობა უნდა, თავის ფორმას და ტექნიკური მხარე აქვს. ეს გარემოება ილია ჰეგვაძემამაც მშვენიერად იცის. „გული დრამისა,—ამბობს ილია,—უნდა გამოხსნას თითოეულმა სცენამ, თითოეულმა მოქმედებამ იგი, როგორც გორაკის ძაფს წყერმა და, საცეცხე ვიგორავს არ არის; ან ავტორის ამ დაუხვევია, იქ ამოა დაფების ტყუილბრალი ცოდვილობა, წვეა და გრძნება. შინაგანი ძალი დრამისა უნდა გამომეტყველებდეს გარეთ და არა ავტორი შიგ ჩასახილდეს გარედამ“<sup>14</sup>.

ილიას კრიტიკიუმს დასახელებული დრამები ვერც ამ მხრივ ამაყოფილებს. „არც ერთ დრამაში (ნაგლეღის-ნევიას ზეოთაღინისელი“ ორი პიესა ვ. ხ.) — სწორედ ილია, — სული და გული ადამიანის თავისი არ მოქმედებს, თავისდა ბუნებისამებრ არ იშლება, არ იხსნება მოქმედებაში. თითონ ავტორები მოქმედობა პირთ გვეუწვნენ, ხოლო, ეს ასეა, ეს ისეა, მაშინ, როდესაც ავტორს თითონ უნდა ეხედოდეთ, ჩვენ თითონ უნდა ვგვრძნობდეთ — ლოდნით საქმითა და არა ავტორების სიტყვითა. კაცი თუ ქალი თავიანთ ავ-კარგიანობას თვითონვე მოვეთხოვრებენ — მე ასეთი და ისეთი ვარო და თავიანთ ასეთისებობას ან სულ არ გვაჩვენებენ საქმითა, ან ძალიან იშვიათად, ისიც მეტის-მეტად მტრათადად და გაკვირვებით, თითქო დრამისთვის ამისათვისა მერტ ბარგი იყოს. ეს ამისთანა ქვედა მოქმედება პირთა, ან მთავრებისათვის უფრო ჰგავს, ვიდრე ხასიათების გამოხსნას და გამოშლას; და ისე უამბურად და საწყენად მოქმედობს მასურებელზე, როგორც ცუდ-უბრალო კეცხანა, თავის-თავის ქება და წინდაუხედავი ფაქტობა-ფურცობა ჰქარაფშობა კაცისა“.

„დრამის შექმნა, — ილიას რწმენით, — ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელი და ყველა მწერალი — თუნდ ნიჭიერიც — ვერ ჰბადებს ხელი შეპატიოსნო... მეტის-მეტე მჭერელი, მეტის-მეტე მიზლივი ნიჭი უნდა, მეტის-მეტე ნათელი გონება, რომ კაცი მისწვდეს, შუჭი რამ მიჰვიწიოს იმ საოცარს, იმ უტყაურს საიდუმლოებას, რომელსაც ადამიანის სულისა და გულის ძვრა ჰქვია, და რომელიც იმდენად უფრო ახლად აღმოვაჩინა გვევლინება, რამდენადაც უფრო ახლო მიუვალთ...“ ჩვენში ეს საქმე, — ილიას სიტყვით, — მეტად ადვილად არის მიჩნეული. ოღონდ თხზულებას მონილოვებით და დილოვებით იყოს დაწერილი, სცენებად და მოქმედებად დაყოფილი, შუგ ორიოდ ალაგას ქალისა თუ კაცის სიკვილიც ჩავერებულ იქნას და ავტორს არ უჭირდება სთქვას „დრამა არისო“ და ამ სახელით მოედინებუ გამოიტანოს. ის-კი ავიწყდება, რომ გარკვენი სახე დრამისა ვერსაოდეს ვერ დაზღვარავს შინაგანის ცარილობას, ფეჟსავეტობას, არარაობას“.

ი. ჰეკევაძემ „ქართვის დედას“ და „მტარვალს“ მრავალი სხვა ნაწილი მოუწინა.

„ორივე ხეობა-დასახელებული დრამა ისტორიულია, — ხოლო იმ სუბთით კი არა, რომ თვალწინ გავგებტაროს ან ისტორიული კაცი ვინმე თავის ავ-კარგიანობითა, ან თითონ ცხოვრება, კერძო თუ საზოგადოებური, რომელსამე წარსულის დროსი და ეპოქისა; გვაჩვენებს, რა აზრით, რა გულმსკეცილი, რა სწრაფვა სულისა, რა გონება-გახსნილობა, რა ზნე-ჩვეულება ხელთ ჰქონია მაშინდელობას კერძო ცხოვრების თუ საზოგადოებურის ასე თუ ისე წასამართავად. არც „მტარვალს“, არც „ქართვის დედას“ არც ერთი იმისთანას სახეს ადამიანისა, თუ ცხოვრებისას, არ გვიხატავს, რომ მხანველმა სთქვას: აი, ამ დროს რა შესძლებია, რა კაცები შეუქმნია, რა ავ-კარგობა, მეტრავლებობა ჰქონია; აი, მაშინდელი კაცი, რა აზრით, რა ფიქრით, რა გრძნობით, რა ძლიერებით თუ უძლურებით შეჰპიბია თავის საკუთარს თუ საქვეყნო საქმეს და ზნე-ჩვეულებას უტარებია დროთა ვითარების გზაზე“.

გაიგონილი არაქმი (ფაბულა) „სული და გული ეპოქისა... ჩანასკვის, ჩანასხოს და დრამის სხვაში დადგენისას, ვადაგეზალოს საფრთხობელად და დასაზნაზნადად ვადა...“ მაგარი დრამატურის ისტორიკოსის ვერა მანუილას ხოვით, „დრამატურის ისტორიკოსი ხომ არ არის, რომ ისტორია გვაწავლოს, ისტორიული ქრონიკა გვაწავლოს“.

„არცერთის სხენებულ დრამაში“ ჰეკევაძემ ვერ ხედავს იმ თე-სებებს, რომელთაც იგი ისტორიული დრამისაგან მოითხოვს; ილიას მიერ ასე შესანიშნავად დადგენილ ისტორიული ნაწარმოების კრიტიკიუმს ვერც ერთი ამ დრამათაგანი ვერ ამართლებს. „აქ ისტორიული მარტო ის არის, — სწერს ჰეკევაძემ, — რომ ავტორები გვეუბნებიან: საქართველოს თავის წარმოსდგომა მტერის და ყოველგან მესრის ავლებსო... ის დრამები ამით თუ არიან ისტორიულნი, თორემ სხვა თვისება მართლა ისტორიულისა, ჩვენის ფიქრით, არ მოეპოვება არც ერთ მათგანს“.

შემდეგ ილია აღნიშნავს, რომ დრამების ავტორებმა არ იციან ადამიანის ფსიქოლოგია. „ორსაც დრამაში — რა თქმა უნდა — მტერნი კაცის-მკამელი არიან, ქართვლების სისლის მსმელი, ყოვლად ადამიანობაზე ხელ-აღებულნი, და ქართველები კი — ყოვლის ადამიანობით სრულნი. ასე ყოვლად მხეცობა მტრისა, ყოვლად სისრულად და სავება ქართველებისა, ბავშვური წადილია... ბუნება ადამიანისა — ქართველია თუ გერმანიელი — ავკარგიანობით არის სავეს და ქვეყანაზე არ არის იმისთანა ერი, რომ მიწყული ჰქონდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი“; დასკვნის ჰეკევაძემ.

თავის შესანიშნავ „მწერლებში“ ქართულ ლიტერატურაში ილია ზოგად შეფასებას აძლევს ჩვენი კომედილის საფუძველმდებლებს — გიორგი ერისთავს და ზურაბ ანტონოვიც. გ. ერისთავს იგი ასე აფასებს: „მეორე ღვაწლი (პირველი „ციციანს“ დაარსება იყო) გ. ერისთავის ის იყო, რომ შექმნა ქართული თეატრი და სა-თეატრო მწერლობის მამამთავრად მოგვევლინა. ამით მარტო სიყვარულის და ტრფიალების მორგული მთარეული გული ჩვენი და მარტო განტოლივი ფიქრული წა-სული გონება (ამ სიტყვებით ილია ახასიათებს ალ. ჰეკევაძეს, გრ. ორბელიანს და ნ. ბარათაშვილს — ჩვენს რომანტიკოსებს. ვ. ხ.) ჩვენს შინაცხოვრებას დააკერვა, მიახება; მისი „გაყარა“ ამისი მავალითა“. ანტონოვის ჰეკევაძე ასე გვიხასიათებს: ერისთავის მიერ „ფრთა ას-ხმელმა ანტონოვმა, რაკი იგრძნო, რომ მე ჩემი საკუთარი ფრთები მისხია, თავის ოსტატს გაასწრო, მის ვი-წრო მოვლანს ლოდნები შორს გაუდგა, სარბილი გაუ-დიდა და ვერც წოდებულ მდამბო ხალხის ყოფა-ცხოვ-რებას, ავ-კარგიანობას, მისი ზნე-ჩვეულება ცოცხად თუ ბევრად დაგვანახა. მისი „მზის დაბნელება“, „ხეცსურთა ქორწილი“, თუ ყოველ ამის სრული სურათი არ არის, მწერლობის ამ მზივი მიმართულების მავალითი ხომ არის და არის“.

ამ სიტყვებთან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰეკევაძეს ერისთავისა და ანტონოვის კომედიები, როგორც დრამატული ნაწარმოებნი, გამართლებულად მიანიჩნა, წინააღმდეგ შემთხვევაში. „მტარვალს“ და „ქარ-

თელის დედის“ მსგავსად“, კრიტიკის ქარცეცხლს არც ამ კომედიებს მოაკლებდა. თემატიკის მხრით, როგორც სჩანს, უპირატესობას ილია ანტონოვს ანიჭებს „მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრების, ავ-კარგიანობის და ზნე-ჩვეულებების ცოტად თუ ბევრად ასახვისათვის“.

თვითონ ილიას, რომელიც ასეთ სერიოზულ მოთხოვნის ნიღბას უყენებდა დრამატიული ნაწარმოების ავტორს, ეტყობა შემოქმედების ეს ქანრი მაინც და მაინც არ იზიდავდა, შეიძლება შეგნებულადაც კი გაურბოდა. მისი

„ქართლის დედა“ და „გლეხია განთავისუფლების პირველ დროების სცენები“ არ შეიძლება ჩაითვალოს <sup>სერიოზული</sup> დრამატიულ თხზულებებად, ამიტომაც <sup>მათაგან</sup> მათგან სცენებს უწოდებს. „დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი — თუნდ ნიჭიერიც — ვერა ჰბედავს ხელი შეჰპართოს“. ეს სიტყვები ილიას ეკუთვნის. დიდი მწერალი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობითაც იყო აღჭურვილი.



# ილია ჭავჭავაძე უნის შესახებ

ჩენი მიზანია ამ სტატიაში გავცეთ პასუხი კითხვაზე: რა თეორიულმა საენათმეცნიერო კონცეფციებმა პოველი გამოხატავენა ენის შესახებ კამათში ძველს თაობასა და ილია ჭავჭავაძეს შორის და რა ადგილი უჭირავს ამ კონცეფციებს ენათმეცნიერული აზროვნების ისტორიაში.

მაგრამ სამადის კამათის ანალოზს<sup>1</sup> შეგუდებოდეთ, ორიოდ წინიშენა კამათის საგნის შესახებ. ისტორიული პერსპექტივის დაკვა არაფერს ისე არ სჭირდება, როგორც წარსული კულტურულ-ისტორიული პრობლემების სწორად გაგებას.

ახალი ქართული სალიტერატურო ენა მიღებულია ძველი ქართულის გადამუშავების შედეგად ქართლ-კახეთის ცოცხალი მეტყველების საფუძველზე. ეს როდეთ პროცესი არსებითად უკვე დათავრებული იყო XVII საუკუნის დამთავრების<sup>2</sup>. სამეფო კანცელარია და სასამართლო, ისტორიული თხზულებანი, მხატვრული ლიტერატურა ამ ენის საბაზისს წარმოადგენდა. მეტყველებე საუკუნის დიდი მწერლის დეიდა გურამ-მეფის ენა (მორფოლოგია, სინტაქსი, დექსიკა-ფარსეოლოგიაი კი) ახალი სალიტერატურო ქართული ნიმუშს წარმოადგენს. მისი ორთოგრაფია უფრო მარტივია, ვინემ მეტყველებე საუკუნის მესამოდე წლების ახალი ქართულისა: არც ერთი ზედმეტი ასო (ტ, ც, ა, ჯ, ზ) მასთან არ გვხვდება. მართალია, არის ჯ, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ საამისო ბგერა იმ დროის ცოცხალ მეტყველებას გაჩნდა...

ახალი სალიტერატურო ქართულის ნორმალურ განვითარებას გზა გადაუღობა ანტონ კათალიკოზმა და მისმა სკოლამ; ეს სკოლა განაგებდა სალიტერატურო ქართულის ბედს მთელი საუკუნის მანძილზე — მეტყველებე საუკუნის მესამოდე წლებიდან მეცხრამეტე საუკუნის მესამოდე წლებამდის. სამი სტილის თეორიამ<sup>3</sup> მცენერებისა და ლიტერატურის საბიძგილიდან განდევნა ენა „დედითანისა, სამასი, პაპუნა ორბელიანისა“<sup>4</sup>. ამ დარგებში დამკვიდრდა ენა ღვრიანობის, რთულ წინადადებათა მოტრფილვე; მიმოუბნებთ მდიდარი, ზმნებით ღარიბი, ვასაგებად ძნელი, — ძველი ქართულის თავისებური სუროვარტი. ლიტერატურისა და მცენერების ენას ანტონის სკოლამ მიატოვებინა ხალხური მე-

ტყველების მიწაზე სიარული და სქოლასტიკური რიტორიკის ორიფენაზე შეყენა.

არ იყო ეს ადგილი საქმე. არიან ისეთნი — ამობოს ანტონი — რომელნიც „სხულოდენ და სიმწარით ვარემიექციენ ბრწყინვალეზას ფრასისასა, როცა რიტორიკისა მაქებელნი და მეტყველნი: უმჯობეს არს წერილთა შინა, რათა იყენენცა ესე ვითარნი სისტემანი ლექსთა და პაზრთანი, რომელნი დიდოა შრომითა გულისხმა იყოფებინანო“... არაჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო ანტონის ავტორიტეტი, რომ „ფრასის ბრწყინვალეზის სიმწარეს“ შერგებოდენ იმ ხანების მწიგნობარნი. ანტონის ავტორიტეტის ძალა ნათლად იგრძნობა ერთი საუკუნის შემდეგაც ილია ჭავჭავაძის სიტყვებში: „ნურაინ ნუ გაიფიქრებს, რომ მე არ მესძოდეს დიდი შნა-შენელობა ანტონ კათალიკოზისა. ანტონი დიდს ალაგს დაიქვს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმოდგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა“... („პასუხი“, — ილიას „კრიტიკული წერილებში“, წ. კ. გ. ს. ხ. გამოცემა 1909 წ., ტფილისი, გვ. 62).

ამას ავბობდა ანტონის სტილის ნათლად უარმყოფელი, ანტონის სკოლის დაუნდობელი მოწინააღმდეგე. რალა ითქმის თანამოაზრეთა ანდა ნეიტრალური წრეების შესახებ!

შეწყდა თუ არა ახალი ქართულის ისტორია ანტონის სკოლის ზეგავლენით? არა. ახალ ქართულს მაშინ წაართვეს ლიტერატურა და მცენერება, მაგრამ მას დარჩა „უდაბლ მატრიათა“<sup>5</sup> სამყარო; აი განჩინების წიგნი, ახალი ქართული „მეწარმელებული“:

1801, აპრილის 29. ქ. ციხისთვისშვილის ოსების ეზოში ღორი გავრეკა ამისი სახლის კაცის შერმაზინის მელორეს. ამ ოსების შვილს გამოერეკა; ამ შერმაზინს გავლახა ის ყმაწვილი; ეს ოსები შინ არ ყოფილიყო. როდესაც მოსულიყო და შეეტყო, თავის სახლის კარზედ გამოსულიყო და ლანძღვა დაეწყო, რათ მომიკლეს შვილიო. მას უჟან ის შერმაზინ თავის ენასში ყოფილიყო, გადმოხტარყო და მისულიყო ოსებთან თავის სახლის კარზედ. ქვემოდამ შვილი გაქციულიყო და მიხდომოდენ და ორთავ მამა-შვილი გავლახათ თავის კარზედ. მოვიდა, იჩივლა ოსებმა; ისიცი მოვყავანიეთ და ვალსაბარაკეთ და ასე ყოფილიყო მათი შფითი. ვეც ეს სა-

<sup>1</sup> ამ დებულების დასაბუთება აქ შეუძლებელია; ის მოცემული იქნება ნარკვევში „ახალი ქართულის გენეზისისათვის“.

<sup>2</sup> ამ თეორიის თანახმად, როგორც ცნობილია, ენა უნდა ყოფილიყო განსხვავებული იმსად მიხედვით, თუ რაგან საგანზედ გვეშწინება მსჯელობა: „მახალ მატრიებზე“ — „მახალი მტრეული“ უნდა გველაპარაკა, უფრო ორდინარულ მოკლენებს საშუალო ენა („შვილი“) შეეფერებოდა, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საქირებისათვის „მახალი სტილი“ იყო განკუთვნილი.

სამ სტილის თეორია ჯერ კიდევ ძველმა რომანტიკოსებმა სავალი ჭკნადა მას საშუალო საუკუნეებში იმ შემდ

მეტად — აღორძინების ხანაში. რუსეთში მას დიდი პატივი მოუპოვე ლომონოსოვმა; მისი „განსჯა საეკლესიო წიგნების სარცემლობისათვის“ მოკლულად 1757 წ. გამოქვეყნდა.

ანტონ კათალიკოსი 1762 წ. დაბრუნდა რუსეთიდან, სადაც ის ხუთი წლის განმავლობაში ვლადიმერის ეპარქიას მღვდელმთავრობდა.

ლომონოსოვის გავლენა ანტონ კათალიკოზზე სამი სტილის საკითხში უდავოა, თუმცა ამის ვარჯშეტი; ადრევე, მისთვის მისამდე ნიმუშს წარმოდგენდა იოანე პეტრიწის რთული და მძიმე ჭაყველება. დაწვრილებით — ცალკე.

მართალი მიეცე საქართველოს სამართლის ძალით: შინ მიხლდომისათვის მთელი სისხლი გაუჩნდა, მაგრამ ზოგი ლანდლეში ჩაუტარებ, ზოგი სამართალმა იპაუა (sic!) და თვეცმეტრ თუინი კი დაედო არადან ახსნარძვილეთი კი არიან. ეს თვეცმეტრ თუშანი — ორი წლიი ვეკი უნდა მისცეს და მესამედი — თეთრი შერძახსა ამ იოსებს. აპრილის კოქს (შპო). შეივანბევი სვიონ. (იხ. „საქ. სიძველენი“, ტ. 1, გვ. 199).

ამ განჩინების ენა ხალხურია, სანიშნუშო თავისი სიხადეით — არა მხოლოდ სასამართლოს კანცელარიისათვის, — მასთან სასკებით გამართული წერის ენა: არც ერთი მორავოლოგური თუ სინტაქსური შეცოთა (ახალი ქართულის ნორმათა თვალსაზრისით)! ეკუთვნის ეს განჩინება 1801 წ., როცა ანტონის სკოლა მჭვივარებდა. ასეთივე სადა ენით წერს თვით კათალიკოზის კანცელარიაც:

1797, თებერვლის 18. ქ. ყოვლისა საქართველოს კათალიკოს პატრიარქი მეფის ირავლიც ან ანტონი გიმრძანებ არხიმანდრიტო ხოვისავ დოსითოესი მერე ეგ ხოვის საარქიმანდრიტო ზომ ჩეგნი სამწესო არის, რომელზედაც რომ არხიმანდრიტად ჩეენ გაკურთხედ (sic!) შენ და დაგადგინეთ და ინისი ყმ და მამულ ყოველივე შენ გარქმუხეთ და მოგეცია. ახლაც შენ მასალა უნდა იზოვნო და ან, რაც ეკალესიას კურთხევაში ესაქიროება, ისინიც და ეგ ხოვის ეკკლესიაც უნდა განახლო. შენთვის ენბა მოგეცია და ჩეგნის შენდობით აკურთხე. და ან რაც ეკკლესიას რაც ევტრება, წიგნით თუ შესამოსლით, ყოველითავე უნდა სისრულე მისცე და კარგად მოუარო და გაუძღვე მავ ეკკლესიას. და შესნას და მავ ეკკლესიის საქმეს, რაც გეიჭირებოდესთ, ყოველსავე ჩეენ უნდა მოგეახსენებედ დაუყოვნებულად და ყველას ჩეენ განმართავეთ კარგათ და სისრულეს მიეცევი, ეს ჩეგნი ბრძანებულის ასრე უნდა აღსრულო ყოველივე. თებერვალს იხ, წელსა ჩლჳ. კათალიკოზი ანტონი 1. (საქართვ. სიძველენი“, II, გვ. 465).

მართლწერა ორივესი — სადაა. ზედმეტი ასოები არ იხმარება. კათალიკოზის კანცელარია გარკვეულ შემთხვევაში მართლად მეტყველებს, მაგრამ ერთსაკი ყოველგვარ ეკლესიურ „მალა შტოს“ გადააქარბებს, თუ „სავანი ამას მოითხოვს“; აი სამიმირის წერილი ფარნაოზ ბატონიშვილისა გიორგი ქსნის ერისთავის გარდაცვალების გამო:

„არა ვუწყო, თუ ვისდა შევასწორო ეამი ესე გოდებისა და მწუხარებისა, ანუ რაამი ხმა გლოვისა აღმოუტეო და ანუ ვითარ ცტრეშლეოდ დავციოებულისა ამისა საქმისათვის. გონებად მოვიღებ დღეს ეამს მას საგოდებელსა და საბავთოსა განსვენებულისა მამისა შენისა აღსასრულისა, რომელი სწორი იყო მშობელისა მამისა ჩემისა აღსასრულისა და რამეთუ ჩემად ეგვრთ სასუხებელა და საგლოვებელ არს, ეამი ესე არა არს ნამდვილ ნაკულუევან მწუხარება ჩემად, ვითა დღე იგი, ოღეს უმედურ ვეცმენ სანატრელისა მშობელისა მამისა ჩემისა აღსასრულისათა: ვისა შევასწორო ესე არა თუ მისსა, სადათა მოვიდნენ ცრემლნი საგოდებელნი, არაინ არს ნუგეშისნი მემეტლ ჩემად და უმეტეს ადგილისა ამის

ძლით, ვითარ შევრაცხო, რომელ არლა იყოს ტელი მოუბარი ენა დედისა ჩემისა მზავისისა, ვითარ დავსდა ორითავე ცერმოდთ ობლობა ბრწყინვალეებისა თქვენისა? ნეტარ თუქცა ვიყო მახლობელსა მამისა, რათა არა წერილით, არამედ ცხოველობა ხნითა განვაცხადო შინაგან მდებარე მწუხარება ჩემი“... (საქართვ. სიძველენი“, ტ. 1, გვ. 224).

საკმაოდ ხელოვნურად ბერის მეორე ბატონიშვილის თემიურაის ქართულად, როცა ის საქართველოს ისტორიის შესახებ მოგვითხრობს:

„შედგომად დიდისა მის მეფისა თამარისა შოთა რუსთაველი, რომელიც იყო მთავარი რუსთავისა ქალაქისა და თამარ მეფის მეტურქულეთ-უხუცესი, იყო იგი კაცი განსწავლული და ყოვლითა კეთილ-ხეობითა, სრული ფილოსოფოსი და უსწორო ჰიტიკოსი...“

ესე უტეტ რუსთაველი შოთა მოხუცებულობისა თვისა ეამა მისრულ არს წმინდას ქალაქსა იერუსალიმს; ჯგერის მონასტრისა შინა ქართველთა და უსხადურებო... და თვითაც ვიდრე გარდაცვალებამდე თვისა ყოვლილარს და მუნვე ჯგერის მონასტრისა შინა დაფლულ არს, სადაცა სახეცა მისი არს მუნვე ქედელსა ზედა დახატული და ჰევის ვიდრე მოდუნდლად დღემდე“<sup>1</sup> (იხ. „ისტორია დაწვებითან ივერიისა, ე. ი. გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველი“, სპბ. 1844 წ., გვ. 284, 285; ძველი დაწერილი 1843 წ.).

ეს არ არის პირველი რანგის ენა „მალაი შტილი“, მაგრამ მისი განსხვავება ბუნებრივი სადა ახალი ქართულისაგან ცხადია.

ეს ბუნებრივი ახალი ქართული „ციცკის“ პირველი ნომრებშივე შეგვივდება, როცა მხვედლობის სავანი ამის ნებას იძლევა. ამ ენით არის მავ, დაწერილი „სიფილური სახლის ბატონობა“, რომელიც სხვადასხვა სამეურნეო საკითხების შესახებ დარიგებას იძლევა და გაჰყვება მთელ რიგ ნომრებს.

„ციცკის“ № 2 1852 წ., მავ, ლენის გაკეთების შესახებ ვითხობულობთ:

„ციცკის ქვევრმა თუ რომ ცული სუნი მისცეს, უტეოსი არა იქნება რა ნახშირისა. დანაყთ ნახშირი თილისა ანუ სხვა ხისცა წმინდად. შევკრეთ პარეტი ტლისი, რომ ზოლო წერილი ძაბრივით იყოს, ჩაყარეთ პარეტი ნახევრამადისნი ნახშირი, დაასბით წყალი ამდენი, მაგრამ წმინდა წყალი არ გამოვიდეს ბოლოდან; როცა წყალი წმინდა გამოვიდეს, მერე ლენი დაასბით. რაც უნდა ცული სუნი ჰქონდეს, ნახშირი გამოიტანს. ეს თვიონ მუ ვცადო... ავრთვე დაობებულ ქვევრში ჩასხმულ ლენოს, რომელიც სრულებით არ დალოვდა, ნახშირით გამოვიდა გემე. ეს თითორ მუ ვცადო. თთირ ლენის ეძლევა საუცხოვე ყვივილი და წმინდა ლენი, ძალას კი ართმეც ცოტას“...

<sup>1</sup> სანტერესოა, რომ ზედმეტი ასოები აქცე არ არის ნახმარი.

<sup>2</sup> შდრ. მეფთრამეტე საუქუნის ისტორიული თხრობის ენა: „გამოვიდა რუსის ცლიი ყანდნა მისასცელვად. მოვიდა შიამნება კან-ბატონის მეფის ერეკლეს. ქართლისა და კახეთიდან აიასის კაცი აარჩიე და წინ მივიგებო“. შექმნის შიამნება ქართველია და კახთა, წარბანდა მეფე ერეკლე აიასის კაციი თუისის ელჩის წინ მისი... ახლად. ქართველი ბატონიც თან გაყავა ყახხანდის და უნდა“...

არც მართლწერაა ანტიონისტული, არც სტილი. არც არაის აწყობები. **ნორმალურია ასე იყოს და იმიტომ!** ამასთან დაკავშირებით თავისებური გაშუქება ძელგვა იმ ფაქტს, რომ გიორგი ერისთავის კომედიები სადა ქართულ ინტერპრეტაციას. 1862 წელს „ცისკარი“ — მარტის ნომერი — მოთავსებულია მოლიერის კომედია „ცოლის შერთვევინება“, დიმიტრი ყვიფინის თარგმანი, 1860 წლის დეკტემბრის ნომერში კომედიის ვოდევილი „ცოლები სევერავა!“, გადმოკეთებული ი. კერესელის მიერ: ამ თარგმანთა ენა ისეთივეა, როგორც გ. ერისთავის კომედიებში.

ეს ვადაგებობა, თუ მივივლინებთ რა აზრისა იყვნენ სამი სტილის თორეტეტიკოსები კომედიის ენის შესახებ; ლომონოსოვი, მაგალ., პირდაპირ ამბობდა: „დაბალი შტილი“ მხოლოდ წმინდა რუსულ სიტყვებს ხმარობს (და არა საეკლესიო ლექსიკას); დაბალი შტილით იწერება: კომედიები, ეპიგრამები, სიმღერები; პროზაში — მეგობრული წერილები და ჩვეულებრივი საქმების აღწერილობა“ (მოკლევს ი. გრატოს მიხედვით; იხ. მისი: „Правильное чтение русских книг“. СПб 1873, т. 5, 8 ამიტომ კომედიებში ახალი ენის შემოღება კიდევ არ ნიშნავს სალიტერატურო ქართულისათვის ამ ენის ხმარებას.

შემოთქმულის მიხედვით უნდა დაეასკვნათ: მესამოცე წლებში ვაჩაღებული ბრძოლა ახალი ქართულისათვის ობიექტურად იყო ბრძოლა არა ახალი ენის შექმნისათვის, არამედ შექმნილისა უხევე არსებულის განმყენებისათვის ლიტერატურაში; ეს იყო ბრძოლა ახალი ქართულის უფლებისათვის, ისტორიულ ასპექტში — ბრძოლა (სამი სტილის თეორიის წყალობით) დაკარგული უფლებისათვის აღდგენისათვის.

ეს როგორ ესმოდა ეს უფლება? მესამოცე წლებში ანტიონის სკოლის მიმდევრთა შორის ენის საკითხში რიგიზონისტულმა მიდრეკილებამ იჩინა თავი: ანტიონის ობიექტიანი სიარული შეუძლებელი იყო. სამგვარი ენის გამოყენება რთული და საძნელო. ეს ცხადად ჩანს ალ. ჯამბაყურ-ორბელიანის წერილში: „ქართული უბნობა ანუ წერა“ („ცისკარი“, 1860, ტ. II, მისი).

„ცისკარში“ ერთნაირი წერა უნდა იყოს, ამბობს ავტორი. სახელდობრ როგორი? წერა სამგვარია: ეკლესიური, დარბაისლური და გლეხკაცური. აქედან ერთნაირი უნდა ამოვარჩიოთ, იმაზე შემოვიღოთ წერა და დაპარაკი... ეკლესიური ძნელია, მას ვერ შემოვიღებთ. „მე საშუალოა ენას ამოვარჩევ, დარბაისელი ენას“... ამ ენაზე უწერიდათ „უწინდელი საერო წიგნები“; „რუსულნიანი, ცისკარნიანი, დავრიშანი, სიბრძნე-სიკრულევი, ყარამიანი... ვეფხვის-ტყაოსანი“...

„ჩტენი ლაპარაკი და წერა, კვალად ვიძევ ერთგვარი უნდა იყოს: რა გუაროდ ილაპარაკებ, ისე დაიწეროს და რა გუარად დაიწეროს, ისე ილაპარაკებ. ამისთვის ჩტენი საშუალო ანუ დარბაისელი ენა ასეთი უწყალოდ უნდა არის, რომ დიად ადვილად შეიძლება რომ ესე, რაც უნდა მაილაღ საგანი იყოს, იმაზეტად და კარგადაც გამოვა ყოველი ქართული სიტყვებება“ (გვ. 97. ხაზი ჩვეინა — ა. ჩ.).

ნუ იქნება სიტყვე „ცისკარში“. არა სამი სტილი, სამი უფლები ენა, არამედ — ერთი; იმ ერთი ენაობა-

კით, იმ ერთი ეწვიოთ. ამ ენად დარბაისლური ენა იყოს; მისი გრამატიკა, ესთხოვით, ბაქარ ქართულს, რომ შეგვიდგინოს...

ბაქარ ქართული (დომ. ბაქრაძე) გამოეხებებოდა ჯამბაყურ-ორბელიანის ამ წერილს, სასებით ვაიზიარა ერთი ენის საჭიროება, ოღონდ შენიშნა: ეფხვის ტყაოსნის ენას ვერ დაგებურდებდით, ეს ისტორიის კუთვნილებაა. ისევე, როგორც ბერძნები არ უბრუნდებენ ჰომეროსის ენას... ჩვენ საშუალო ენა უნდა დაეკანონოთ („უკეთესი საზოგადოების ენა“, როგორც ის ამბობს). „ცისკარი“, 1860, II, მისი, გვ. 329). როგორც ალ. ჯამბაყურ-ორბელიანის, ისე დიმიტრი ბაქრაძისათვის უღაია, რომ გლეხკაცის ენა არ გამოედება სალიტერატურო ენა:

„ჩტენს საშუალს ქართულს ენას, როგორც გენებათ ისე მიზობით, ისე მიმოაქცევთ და გამოთქმას ხომ ისე ლბილად გავგონებს ყური, მეტე სამო იყოს სმენისათვის მაშინ, როდესაც რომ გლეხკაცების ენაზედ ეს არ შეიძლება. მართალია, გლეხკაცების ლაპარაკი მარტივი ენა არის და ადვილ ენაგონი, მაგრამ მაღალი საგანი რომ ვერ გამოვა რიგინად, არა ყურის საამოდ, რადგან მოშტტებული ენა არის გლეხების ლაპარაკი“ — ასე მსჯელობს ალ. ჯამბაყურ-ორბელიანი.

კიდევ უფრო კატეგორიულია დომ. ბაქრაძის დეკლარაცია: „დაბალი ანუ გლეხური ენა სათქმელი არ არის. გლეხების საუბარი ვერ შეიძლება მაღალთა საგანთა გამოხატვისა შემადგელობას“ („ცისკარი“, 1862, ტ. II, 329).

იშვიათად თუ გამოვლინებულა ოდესმე აშკარად კლასობრივი თვალსაზრისი სალიტერატურო ენის პოლიტიკისა და, კერძოდ, სტილის საკითხებში: „სალიტერატურო ენად უკეთესა საზოგადოების ენა უნდა იყოს — გლეხური ენა სათქმელი არ არის!“. ტყვილად იკ არ ამბობს ამ სიტყვების ავტორი: „როგორათაც ერთი. და იგივე ნათესაობა (ე. ი. ხალხი — ა. ჩ.) იყოფა ტომებითა; ავტრთვე იყოფა ენაც; თუ ერთი და იგივე ტომი განწინა-

1 ამ წერილში დომ. ბაქრაძე აყენებს, სხვათა შორის სინტრესო დებულებებს ენისა და გრამატიკის ურთიერთობის შესახებ (მას მხედველობა აქვს ანტიონის ნორმატული გრამატიკა — ანტიონის გრამატიკა ისევე ვერ ვგასწავლის ენას, როგორც ლოგია — ანტიონის გრამატიკის ენის შესასწავლად „ორი წყარო“ გვაქვს: ცხოველი სსზოგადოთა თუ დარბაისლური ენა“ და „საზოგადოებრივი კითხვა იმ ავტორისა, რომელიც შეიცვალს უკეთესი გრამატიკა სუბრანს“.

ავტორის რეგიზონისტული განწყობილებისათვის დამახასიათებელია მისი მსჯელობა:

„გრამატიკა უნდა იქნება ჩტენში პირტვლად მეფთვამეტე საუკუნეში და პირველ გრამატიკოსად აღმოვიჩინა ანტიონი პირველი გამრწინებელი მაღალის ნიჭითა და დიდი მამტრებით; მისი შევადინებობი სხილასტკის გაღვენს გახსნა გზა საქართველოს. ეს იყო იმ დროს, ოდესაც თუთი ევროპაში იგრძნეს სხილასტკის უსარგებლობა. შემდეგ ანტიონისა გრამატიკული დავეწერეს უფალო — დოდეკაგმა, იოსელიანმა, ჩუბინივმა. თუთი იმათი კანონები არ არიან ქართულ ენის თუხუბად დაშარებულნი. არ შეუძელია არ ერთნაირი რომ ამ შემტრად ამო შრომა დაუფუძო, თუ ვიძიებებთ, რომ იმათი კანონებს არაგინ კითხულობს გარდა ახალ მისწავლეთა ყრმათა, რომელთაც იძულებული აკითხებენ და რომელნიც მიერსაგად დღის ივიწყებენ მსგავსად რომელთამე ფრთხილნი“ („ცისკარი“, 1860 წ., ტ. II, გვ. 327, მისი).

ამ სტრქონების დამწერელი ენობის სამი სტილის თეორიას: „თქმენ (ე. ი. ალ. ჯამბაყურ-ორბელიანი — ა. ჩ.) ჰყოფთ უპირატესს ქართულ ენას სა ნაწილთა: სადმოთი წერილად ანუ ეკლესიურად, მდამიურად ანუ დარბაისელი უბნობად და გლეხკაცების ენად. ეს კეშმარტება“ (იქვე).

1 თვით ამ ბრძოლის ზოგ მონაწილეს საქმის ვითარება სხვა რაოდ ესმოდა.

წოდება მაღალსა და დაბალს კლასებათა, აგრეთვე მისი საუბარი განწაფილება მეტათ თუ ნაკლებათ!" (იხ. დ. ბაქრაძის ხსენებული წერილი, იქვე, გვ. 320).

მაგრამ იღ. ჯამბაყურ-ორბელიანი და დიმი. ბაქრაძე ანტონის მიმართ მიანიჭ იყვნენ რევოლუციონისტულად განწყობილი. მოაბოებოდნენ ანტონის ორტოდოქსალური მიმდევრებიც, ეს ნათელი გახდა ილია ჭავჭავაძის „კრიტიკული წერილის“ („შემოწმების“ თარგმანის გარჩევად) და „პასუხის“ შემდეგ:

„ოჰ, ღმერთო! რა მესმის! ქართველი კაცის სამხედრო იმედან როგორ უნდა შეიცვალოს, რომ ანტონ კათალიკოსის მაღალ-ნიჭიერ სიტყვაობას წყნარდღეს და რას სახელდობო: მის წყობილ-სიტყვაობას, მის აკროსტიხულებას და მის იამბიკობას. ან რა გასაკვრველია, ვისაც ოლტერის (I) მოძღვრება თანახმა მარხბუდა და მუდღანობა არ მოსწონის, იმას არც ანტონის ქრულება მოეწონება!“ — სწერდა ილია ჭავჭავაძის საბასუხოდ „ზემოური იმერელი, გორისელი წერიტელი ფთვიკემ“ — ასეთი სრული წოდებულებით წარუდგა იგი ისტორიას — „ცისკარში“ 1862 წ., თებერ. გვ. 204).

უდიდესი მოქალაქობრივი გამბედაობა და დემოკრატიული რადიკალიზმი იყო საჭირო, რომ ასეთ პირობებში კაცს წამოეყენებინა დებულება: ხალხის ენა, ე. ი. „გუგუნიკის შეტყველება“ უნდა იყოს სალიტერატურა ენა.

ენობილია, რომ ილია ჭავჭავაძე არ დაერიდა ამას, თეორიულად და იცავდა პრაქტიკულად გზა გაუყავდა ხალხურ ენას ლიტერატურაში, დაანახა ყველას, რომ ამ „დაშვებული ენით“ შეიძლება უდიდესი მხატვრული ღირებულების ნაწარმოებთა შექმნა, მეცნიერებისა და პოლიტიკის ურთულეს საგნებზე მსჯელობა.

მხადერ იყო შემოტრიალნი მის წინააღმდეგ, კრიტიკა მისი სალიტერატურო პრაქტიკისა და თეორიისა. პოეტისა და ენის საკითხები იყო დავის შთავარი საგანი. რას ამტკიცებდა ძველი თაობა?

1. ენა სამეგარია: მაღალი, საშუალო, მდაბალი; თითოეული ცალკე საგანს შეეფერება.

2. ენის ცოდნისათვის საჭიროა ვიცოდეთ „საზოგადო და განსხვავებით იმის ნიშატი“. პირველს გვასწავლის გრამატიკა, ხოლო განსხვავებულ თვისებათა ცნობისათვის, „საჭირო არიან კანონი აზრთა განწყობილებითათვის... რომელთაც გავსწავლის როტორება“.

ამრიგად, გრამატიკა და რიტორიკა ენის საკითხებს რომ წყვეტს. აღსანიშნავია, რომ ეს გრამატიკა მოწოდებულია ენის საზოგადო ნიშნები წარმოგვიდგინოს.

ამის უტოდლობის უციერებდნენ ილია ჭავჭავაძეს: „თუ გვცოდნობა, რა არის ენა, რა არის სიტყვიერება, მწერალს რა ზრდილობიანი თუხუბა ეჭირება... არასოდეს არ ეცდებოდით ასე ენის წახედნის და მამა-პაპათ დამდებლბებასო!“ — წერს ბარბარე ჯორჯაძეს (იხ. „პასუხის პასუხი“ „ცისკარში“ 1861, სექტემბერი, გვ. 92).

ანტონის მიმდევართა კონცეფცია ენისა ანტიტორიულია: მისთვის არ არსებობს გარკვეული ენა გარკვეულ ისტორიულ პირობებში. არც გრამატიკა, ან კერძო ისტორიული მონაცემის შემსწავლელი; ის ლაპარაკობს საერთოდ ენისა და გრამატიკის შესახებ.

გრამატიკა ამ ვაგებთ **ნორმატული** დისციპლინაა. რიტორიკასთან ერთად ის გვასწავლის, როგორ უნდა მოვიხმაროთ ენა,

რის საფუძველზე იქმნება გრამატიკის კანონები? ანტონის კატეგორიებზე დაყრდნობით. ანტონის კატეგორიები ურთვე საფუძველია ასევე ურთვე, გრამატიკული წესებისათვის. არც მეტყველება და არც სწავლება არ განიხილება ცვალებადობაში; ერთიც და მეორეც დროისა (და-სივრცის) გარეშეა აღებული.

ასეთი ვაგებთი გრამატიკა წინარემეცნიერული გრამატიკა. ისტორიულად ცნობილი ორი მისი ვარიანტი: ფილოლოგიური და რაციონალური გრამატიკა, რომელიც სწორად ფილოსოფიური გრამატიკის სახელწოდებითაც გვევლინება.

ანტონის გრამატიკა იყო არსებითად ფილოლოგიური. მაგრამ რაციონალური გრამატიკის მომენტებიც არ იყო მისთვის უცხო.

ეს გრამატიკა მართლწერისა და წესიერ-უბნობის ნორმებს აწესებდა. საუკუნეთა ტრადიცია ზურგს უმაგრებდა ამგვარ გრამატიკას. ამ ტრადიციის ძალა ისე დიდი იყო, რომ დღესაც ვრამატიკაზე რომ ლაპარაკობენ, ამგვარი ნორმატული დისციპლინა აქვთ მხედველობაში, და ხშირად ვერც კი წამოიზღვევიათ, რომ შეიძლება არსებობდეს გრამატიკა, რომელიც ნორმებს კი არ აწესებს, არამედ ენის მოქმედ კანონზომიერებას არკვეს, იმას კი არ ამბობს — **რა უნდა იყოს**, არამედ იმას გვაჩვენებს, **რა გვაქვს** ენაში და როგორ არის მიღებული ის, რაც გვაქვს<sup>1</sup>.

ისტორიულად ცნობილი ფაქტი, რომ გრამატიკა მეცნიერულ დისციპლინად მას შემდეგ იქცა, რაც მიზნად დასახა ენის შესწავლა მის განვითარებაში ისე, როგორც ეს არის და ისე, როგორც ეს უნდა იყოს. ერთი სიტყვით, მის შემდეგ, რაც გრამატიკა **ნორმატული** დისციპლინიდან იქცა **პოზიტიურ დისციპლინად**.

ამგვარად ესმის გრამატიკისა და ენის ურთიერთობა ილია ჭავჭავაძესაც: „ენას კანონს თვითვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორიტიკა“. სხვანაირად რომ ვთქვათ, ენაში კი არ შეგვაქვს კანონი, არამედ კანონები ენიდან გამოგვაქვს, ენაში გვაულობთ მას...“

როგორია ბუნება ამ კანონისა: გარდაუვალი, ზედროულია თუ ცვალებადი ხასიათი აქვს მას? რაკი კანონს ენა ქმნის, ცხადია, ამ კანონის ბუნება ენის ბუნებით იქნება განსაზღვრული: თუ ენა უცვლელია, კანონიც უცვლელი იქნება, თუ ენა ცვალებადია, კანონიც ცვალებადი იქნება. ენის ცვალებადობის პრინციპი ამოსავალი დებულებაა ენათმეცნიერებისა; ენის უცვლლობის თეზისზე იყო დაფუძნებული ნორმატული არამეცნიერული გრამატიკა და ამ უქანსენელის დამცველი ანტონის სკოლის არგუმენტაცია.

ილია ჭავჭავაძე ამ შემთხვევაშიც ენის მეცნიერულის ვაგების ნიადაგს დებს: „კაცის ენა კერძო პირისათვის იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც წვეწ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე. სწორად იქნება, რომ **კანონები, ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უფარგისნი არიან ხოლმე**. ამიტომაც ახალი ენა ძველს ენას არ ჰაგვს, როგორც ახალი კაცი არა ჰაგვს ძველს კაცს. მამასადამე, თუ მიბრძანებთ, რომ, რადგანაც ძველ წიგნებში ხმარებულია, ამიტომ ახლაც ვინმართ ევ ასო, ევ

<sup>1</sup> ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მეცნიერული გრამატიკა ნორმების დიდგნისათვის გამოუსდევარია; პირაქით, ის ქმნის მტკიცე მეცნიერულ საფუძველს ნორმატული ხასიათის დასკვნებისათვის.



უსაფუძვლო ბრძანება იქნება“... („პასუხი“, გვ. 49—50. ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ენა იზრდება, ვითარდება; ენის კანონებიც იცვლება; ძველი კანონი ახალ ვითარებას არ გამოხატავს; ენის კანონი ისტორიული უფლებებით ვერ დასაბუთდება...

ეს დღებულმა მტკიცე და თანმიმდევრული საენათმეცნიერო მსჯელობის გამოხატულებაა. ის ძალაში რჩება დღემდის. ერთად ერთ უმნიშვნალო იწვევს ანალოგია ენასა და კაცს შორის, ენის ზრდასა და კაცის ზრდას შორის. ისიც არა ამ მოცემული მსჯელობის ფარგლებში, არამედ მაშინ, თუ ანალოგია განვავრცობთ. ადამიანი იბადება, იზრდება, შემდეგ ბერდება და კვდება. ენაჲ კი ასეთი დაბერება და კვდება არ იცის.

ჩვენ არ გვექნებოდა უფლება ილია ჭავჭავაძე გავგეხადო პასუხისმგებელი ასეთი დასკვნისათვის, რომ ერთი ვარაუდობა არა: გასული საუკუნის მესამე წლებში ენათმეცნიერებაში დიდ პატეჯში იყო ენის შედარება ორგანიზმთან და ენაზე გადატანა ყველა იმ თვისებისა, რაც ორგანიზმს ახასიათებს. ილიას ანალოგიაში ენასა და კაცს შორის თითქოს მოჩანს ამ ბიოლოგისტურ გაგების ცვალი.

როგორ ეძებს ენაში კანონს ილია ჭავჭავაძე? ვისი შეტყობება აქვს შედეგულობაში, ორდესაც ენის კანონს მივყავნება ლამობს?

**ხალხის მეტყველება**, „გლექსაკის ენა“ საიშელო საყრდენი და სააპელაციო ინსტანცია მისთვის.

„სრულიადი აჲ მესმის რა განსხვავება არის ამ ასოთ შორის. ც და იე, ა და ი, ჳ და ივი, ჭ და ჰოი“... თუ ხედავს ვინმე განსხვავებას, „ანანთ თეორეტიკით კი ნუ ცილობს დაბტკიცებას, არამედ ყურადღება მიაქციოს დაკარგვებით ხალხის სიტყვის გამოტყჳასა, ხალხის ენაში მონახოს ფაქტი, დამანახოს და მაშინ დადეთანხმები“... („პასუხი“, გვ. 50 — ხაზი ჩვენია. ა. ჩ.).

და მერე: ჟ-ს საკითხის განხილვისას ილია ჭავჭავაძე ამბობს: „ეჲ ასო ახალი შემოღებულია, არ ვციკი კი რისთვის. ეჲ ასო ქართულს ენაზე ფ-ად იცვლებოდა ზოლმე, მაგ., ფილოსოფია. ამის გარდა ქართველ გლეხ-კაცს (თუ ბატონთან არ არის ნამყოფი) მაგ ასოს ხმას ვერც კი გამოარქმევიანებო. ჟ-ს მაგიერით სულ ფ-გამოსტყჳებას, შინაშინ ბევრჯერ აღ ვაგაიერებინებო. მსჩანს ეჲ ასო ჩვენი ენის თვისებისა არ არის და რაღათა ხმარობა“ („პასუხი“, გვ. 51, ხაზი ჩვენია. ა. ჩ.).

„...ამბობენ: „ჩემის თვალით ენაზეო, ჩემის ფეხით მოვედი“; ნუთუ მართლა ერთის „ფეხით“ მიხტადნენ და ერთის თვალით ხედავდნენ. სულაც არა! მაგრამ ამბობენ კი! მაშასადამე, ჯერ ხალხს მოაშუღვივინო ეგრეთი ულოლოკო ლანაზაკი და მერე ეჲ. წინათ მოგახსენებო: „ხალხია ენის კანონის დამდებია და არა ანანთ თეორეტიკა“ („პასუხი“, გვ. 52, ხაზი ჩვენია ა. ჩ.).

**ხალხის მეტყველება, ქართველი გლეხკაცის ენა** — აი ვინ მოჲყავს მითარსოვლედ ილიას! შეიძლება ეს სახეიდანო რადიკალიზმად გვეჩვენოს: სალიტერატურო ენის საკითხებია მოსაგვარებელი; ხალხი სალიტერატურო ენით არ მეტყველებს, მის მეტყველებაში ბევრი რამაა უცხო, მიუღებელი სალიტერატურო ენისათვის. როგორ შეიძლება ასეთი მოსამართლის არჩევა? ილია ჭავჭავაძე მინც მართალია და აი რატომ, ჯერ ერთი, ენის კანონი ენის თვისებას უნდა გამოხატავდეს; ენა ბუნებრივი, მართალი სხიით ცოცხალ ხალხურ მეტყველებაშია მოცემული თანამედროვე ენათმეცნიერების ერთი

ძირითადი დებულებათაგანია ის, რომ ენათმეცნიერების შესასწავლ ობიექტს ცოცხალი მეტყველება წარმოადგენს და არა წიგნის ენა, და ეს იმიტომ, რომ წიგნის ენის განვითარება შეზღუდულია, მის განვითარებას მხოლოდ იწვევა, მასზე გავლენას ახდენენ. ცოცხალი ხალხური მეტყველების განვითარება კი ასეთი ზეგავლენისაგან თავისუფალია. ამიტომ, ენის დამახასიათებელი თვისება, ენის განვითარების კანონზომიერება ცოცხალ მეტყველებაში უნდა ვეძებო. ამ მოვლილიას მსჯელობა მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე დგას.

სალიტერატურო ენის ვითარება, მართალია, ჯერ თვით ამ სალიტერატურო ენის არეში უნდა იქნეს განხილული, მაგრამ თუ ეს საკითხს არ სწევდა, ისევე ხალხურ ცოცხალ მეტყველებას უნდა მივმართოთ. **საბოლოო ანგარიშში** წიგნის ენა უტყუფენაა ცოცხალი მეტყველები-სა. წიგნის ენა ამ უკანასკნელს ეყვარება, მას ასახავს, ზოგჯერ ზუსტად, ზოგჯერ მიახლოებით. წიგნის ენის განვითარება ცოცხალი მეტყველების განვითარებას მიყვება, ჩვეულებრივად — ნელა, ტატიო, მაგრამ მინც მიყვება, ვინაიდან სხვა საყრდენი მას არ გააჩნია, თუ კი უნდა ცოცხალი ენა იყოს. ილიას დროს წიგნის ენა განსაკუთრებით ცოდვილი იყო; მასში ისეთი რამ ბოგინობდა, რაც ქართული ენის ბუნებრივ ნაკარახევი არ იყო, და ამიტომ მეცნიერულ დმტკიცე და გამართლებულ ილიას მოთხოვნა: **ხალხის მეტყველებაში დამისაბუთეთ და დაგიჯერებთ**, ანანთ თეორეტიკა, ე. ი. სქოლასტიკური ფილოსოფია, აჲ მოსამართლედ არ გამოცნებო.

ამ დეცნიერული სწორი დებულების წამოყენება საზოგადოებრივად გადატრიალებას მოასწავებდა. ამგვარ რადიკალიზმს, ცხადია, ვერ აპატებდენ მას ვერც ანტონის აკროტიკების მაღიდებლები და ვერც დარბაი-სულერი „უტყუთესი საზოგადოების“ ენის მოხრებები. მით უფრო, რომ ილიას ქაღილი ლიტონ სიტყვიერო როლი იყო; თვით მისი წერილები ლიტერატურულ ენად ხალხური ენის გამოცხადებას მოასწავებდა; დაბალი კატეგორიის მოვლენისათვის განკუთვნილი ენა მაღალი საგნების გამოხახატავად შემოჰქონდა, ლიტერატურიდან განდევნილი ახალი ქართული უფლებებში ადღვენას ლამობდა.

ენობლია, რა მამფერი რეაქცია მოჲყვა ამას: ატყდა განგაში — ილია ჭავჭავაძე ქართულ ენას ამანაჩვენსო. სარდიონ ალექსიე-მესხილი დინჯავა შენისნაედა: „უწყალობე ამანხეგებ და ამდალბე ქართულ სიტყვიერებას“... „შუფუერებლობა ლექსთ-თხუზულებისა დღელად აუშენიებს ენას და მქენჯინს სასმენლობა“...

„რატუნს დელდა-ენას ოქტქსნი უფებურად ოა შუფუნებლად ოქტქსნეჲ ტიზიკებარ ჳოკოდან და ამანხენიებო დო ჳნენობითა ჳრყენით და აუფლურებოთ“. („ციკსარი“, 1861, იფნის, ტ. I, 257 — 258).

მაშათოვი ნიშნის მოგებით ამბობდა ილიას და მისი თანამორბეების შესახებ: „ეს გუნდნი ჩიჯილის ნახშირის მოედანზე შუა ბაჳარში და იჲ ჳკრფეს ნამდღლს ქართულს სიტყვეს, რომელშიაჲც (?) შუამესებს თჳსს ლექსიკონს და დღისს ქეჲ-ქუხილით დაეციჲდა საბარლო ქართველების შურსლად...“ („ციკსარი“, 1861, იფნ., გვ. 163).

„...ზოგნი პოულობდენ უფ. ჭავჭავაძის კრიტიკაში ნ. დვლს ენას და ცილობდენ დაბტკიცონ, რომ უტყუნი სიტყუა აჳრს ძალას არ უჲარგავდენ. ამის დასარღვევად ვიტყუა, რომ ვის იამება ჳკუან კუთან ლაპარაკი, თუ მას ამოზღის ნიგრისა და აჳრის სუნია, რაც შეეხება ნამ-

დილის ქართულს ენას, მის ბაზარში და ჩორჩო ბაზარში  
კი ნუ დაუწყებენ ძებნას, როგორათაც პირველში და  
სხუაგან ყველგან იპოვინა“ (იქვე, გვ. 164).

ბარბარე ჯორჯიძისიც ვაცხარებით მოსძახის: „არა  
ლიტერატურას არ შემეცნის უშტტრის ლექსებას (ე. ი.  
სიტყვების) მოხსენება... ლიტერატურა უნდა შეიცავდეს  
პატიოსნურსა და დარბაისლურს ენას და არა უშტტ-  
რებს“. („სისკანი“, 1861 წ., მაისი, გვ. 34).

...როგორ შემოურევს ამ უშტტრს, მორყენილს და  
ბეჭებულებს სიტყვებს: წრბაისნი, მორასუნები, ავან-  
გალა-ვანგალა და სხვა. აი კიდევ ეს სიტყვები: ისენაი-  
რად ჭროქინებენ თავად ერისთავის ლექსები როგორც...  
(აქ გამოტყვევებულია ილიას სიტყვები: „გაუხანავი სა-  
პალნის ურბის თვლები“ — ა. ჩ.)... „მე მრცხტნინან ამ  
სიძაველის ლექსების განმეორებათ“ (იქვე გვ. 41) — პა-  
თეტურად ამბობს პოეტი ქალი, რომელსაც სხეუბთან ერ-  
თად ბედმა არგუნა უიმელო საქმე — ილიასგან დაღეცა  
ანტონი, ე. ი. ლომონოსოვის საჭურველი ჩერნომეცკი  
და ბელისკი<sup>1</sup> დაემარცხებინა.

ილია ჭავჭავაძემ გაიმარჯვა. მეცნიერულად სწორი.  
საზოგადოებრივად მართალი, ისტორიულად საბუთიანი  
ცუო მისი ბრძოლა ენისათვის. ახალი ქართული უფლ-  
ებებში აღდგა: წიგნის „მესამე შტილის“ ქართული სალი-  
ტერატურო ქართულად იქცა. ქართული ენის განვითა-  
რების გაწვევითი ხაზი გამოთვლიდა.

ბრძოლაში ენისათვის ანტონის მიმდევართა წინარე-  
მეცნიერულ და ანტიმეცნიერულ კონცეფციას უპირის-  
პირდება ილიას მეცნიერული შეხედულება ენის რაო-  
ბისა, ენის კანონისა და ენის განვითარების შესახებ.  
ტყულოად არ ამბობს იგი ერთგან: „ასე ფიქრობენ უკე-  
თენსი ფილოლოგებიო“. „ჩანს, ის ფილოლოგის მიღ-  
წევებს სამკარისად იცნობდა.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ მართლწერის ზოგადი  
თეორიული პრინციპებიდან ამ კანაში ილია ჭავჭავაძემ  
მართლწერის სიმარტივის პრინციპი წამოაყენა და მას  
მტიკედ იცავდა.

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძის „პასუსს“ „სისკანის“ რედაქციამ შენიშ-  
ვნები დაურთო, სულ 24 შენიშვნა. მათგან ზოგი ვერცელ მსჯე-  
ლობას შეიცავს და ცხარე პოლემიკური ხასიათისაა.

ილ. ჭავჭავაძის „პასუსს“ ემიგრაციაზე ბელისკის სიტყვები აქვს;  
ამას რედაქცია გამოეხმარა ვრცელი შენიშვნით, რომელიც ასე  
თავდება: „იუფ. ჭავჭავაძემ ბელისკის მხაძავს და ბელისკისა  
ჩტტნინან არ გამოდგება. თუმცა ბელისკი საუფლთიანი და უპირ-  
ველესი კრიტიკი იყო რუსეთში, მაგრამ როგორათაც სწოლო და  
ზაფრანი კაცი, ყოველთვის ილანდებოდა და ამ მიზეზით იმისი  
ხაძვა არ არის მოსაწონი და თუ რუსეთში ეხლა ვინ მხაძავს  
იმას?“ (იხ. „სისკანი“, 1861, ივნისი, გვ. 183).

„თუ მართლაც ეგ ასოები არ ისმის ეხლანდელ/ანაში,  
რატომ არ უნდა ვადაიდონ? შესუბუქება და ვაადვი-  
ლება მართლწერისა და ანანისა განა ცოტა...  
ახლა მთელი ევროპია (sic!) ცდილობს ყველაფრის გა-  
მარტივებას, ვაადვილებას და სხვათა შორის; ანანისა-  
საც და მართლწერისასაც. შორს არ წვაავს; ან თითონ  
რუსეთში (მოითხოვენ i ზ ხ-ის ამოშალს თავის ანა-  
ნიდან, რადგანაც ეხლანდელ იმათ ენაში აღარ ისმის  
ეგ ასოები. მე შემეხედრია წიგნი 1859 წელს ითუ  
1860 წ. დაბეჭდილი, სახელდობრივ, **СКАЗАНИЕ ОБЪ  
ЧЕСКИХЪ БИГАХЪ** (ამ მართლწერით, სადაც i ზ ხ არ  
არის ხმარებელი. („პასუსი“, გვ. 51).

ამაზე სარდიონ ალექსიევი-მესხივემ მიუვო:  
„თქმუნის კანონდებულებისა-მებრ მსჩანს, რა ხელ-  
სა (ჭკუდიამ შემოიღლს) არ განარჩევთ თქმუნ ველისა-  
გან (სხულის წიგნისაგან). როგორც თქმუნ მართლ-  
წერის კანონით რუსულშიაც (უნდა) მოისმოს და არ  
იყოს ვაჩივეა **ხტტ** და **ხტტ-სა** შორის...“ („სისკა-  
ნი“, 1861, ივნ. გვ. 254).

პასუსში, რომელიც მაშინ არ გამოტყვევებულია, ილია  
ჭავჭავაძე წერს: „თუ ევერ არის, მაშ „დაარივე“ (ქა-  
ლადლის დარიგება) და „დაარივე“ (დარიგების მიცემა)  
სხვადასხვა დ-ებით უნდა დაიწეროს. „აავე“ (ააწენე) და  
„აავე“ (ეთქვათ, მწვალი აავე) სხვადასხვა ასოებით უნ-  
და დაიწეროს. „გავეცი“ (მითამ სხვას მივეცი) და „გა-  
ვეცი“ (ხმა ამოვიღე) სხვადასხვა ასოებით უნდა იწე-  
როს. ესე რომ მივეყვით, ათას სხვა მაგალითს გჩვენებთ.  
მაშასადამე, თქვენის თეორიით ათასი სხვადასხვა ასო  
უნდა შემოვიტანოთ, და ჩვენს ახალი მოსწავლენს ძა-  
ლიან მადლობელნი იქნებინან“. (სარდიონ მესხივის კრი-  
ტიკის გამო, თხზულ. კრებ. პ. ინგოროყვის და ალ. აბა-  
შელის რედაქციით. ტ. IV, ტფილისი, 1927 წ. (დამა-  
ტება).

სრული ჭეშმარიტება! სამწუხაროდ, დღესაც კი არ  
არის ყველასთვის ცხადი, რომ ცალკე სიტყვა შეუძლე-  
ბელია ყოველთვის მხოლოდ თავის ფორმით თავს აღ-  
წევდეს ორაზროვნებას, რომ ამისათვის არსებობს **კონ-  
ტექსტი**, და რომ დროთა ვითარებაში ყოველ ენაში ამ  
კონტექსტს ენიჭება თანდათანობით მეტი მნიშვნელობა:  
**მორავლოგის განტვირთვა ფორმებისაგან და სინტაქ-  
სის საკომპენსაცია „დატვირთვა“ ენის განვითარების  
ერთ-ერთი ძირითად ტენდენციათაგანია**. ილია ჭავჭავა-  
ძის თვალსაზრისი აქაც მეცნიერულად სწორია, თუმცა  
მას საენათმეცნიერო დასაბუთება არ ახლავს: სწორი  
იყო დიდი მოაზროვნისა სპეციალური კოდნის გარე-  
შეტ მართალ დასკვნას იძლევა.





# ილია ჭავჭავაძის პირველი ჟურნალი

ვიქტორ ჰიუგოს XIX საუკუნის ვარსკვლავს ეძახიან. ეს შეფასება სრულიად მართებულია შეიძლება გავიგეოროთ ილია ჭავჭავაძის მიზანი, ილია საქართველოს მეცნიერულ საუკუნის ვარსკვლავია.

არსებობს ვადმოცემა: ნაპოლეონ მესამის იმპერატორობის დროს ინგლისში გადახვეწილი ჰიუგო პარიკში რომ დაბრუნდა, მას ფრანგმა ხალხმა ზეიმი მოუწყო, დიდების შარავანდელით შემოსა ხალხის განთავისუფლებისათვის თავდადებული მწერალი. ისე შეხედნენ, როგორც ხედებოდნენ ძველ რომაელებს თავიანთ სარძღვებ ბრძოლებში გაპარვების შემდეგ.

საბჭოთა საქართველოს განთავისუფლებულმა ხალხმა უფრო დიდი და საინტერესო ზეიმი გაუმართა ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლი პოეტის — ილია ჭავჭავაძის დიდ სახელს.

იმეათათა მსოფლიო ლიტერატურაშიც კი მეორე ისეთი მწერალი, რომლის შემოქმედებამ ისეთი მრავალფეროვანი იყოს, როგორიც ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობაა, არ შეიძლება დასახელებული იქნას საზოგადოებრივი მოღვაწეობის დარგი, სადაც ილიას არ ემუშავნოს და ყველგან ბრწყინვალე შედეგი არ მიეღოს.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება გომეტრიულ მრავალკუთხედს ჰგავს, რომლის თითოეული წახნავი ცალკეულ გადაწყვეტის მოთხოვნას, ილია პოეტი, ილია პროზაიკოსი, ილია ჰუმანიტარისტი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი, საზოგადოებრივი მოღვაწე — ყველა ცალკე აღებული, ამოუწერავი თემაა.

ილია ჭავჭავაძის დეაწლი დაუფასებელია, როგორც ქართული ჟურნალ-გაზეთების დამაარსებლისა და ხელმძღვანელისა.

ილიას პირველი ჟურნალი, სადაც პროგრესულ აზროვნებას პირველი საფუძველი ჩაეყარა „საქ. მოამბე“ იყო.

„მოამბე“ 1863 წ. იანვრის თვიდან გამოიცემა თბილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, ამ ჟურნალში მთელი წლის განმავლობაში შემოვიღენ შემდგომი ნაწილები:

1. წმინდა სალიტერატურო: ლექსები; მოთხრობები; დრამები; კომედიები; ნამდვილები და ნათარგმანები.
2. ისტორიული: საზოგადო ისტორია; განსაკუთრებით უფრადლები მიუქცევა საქართველოს და ერთობ კავკასიის ისტორიაზედ.
3. საპოლიტიკო და სოფლიური ეკონომია. აქ ვიცოდით გავაცნოთ ჩვენს საზოგადოებას ეს საგნები იმდენად, რამდენადც დრო და საჭიროება მოითხოვს.
4. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია: აქ განიარჩევიან უცხო ენებზედ დაწერილი თხზულებები და ქართული წიგნები.
5. სხვადასხვა ამბავი.
6. დამატება: ამ ნაწილში დიბუქვდება ძველი ქარ-

თული თხზულებანი ანუ გამოჩენილი უცხო ენებიდან, თარგმნილი რომანები.

ამ პროგრამას ამჟამად აღარაფერს უმატებთ, რაც შეემაქა ჟურნალის სახით და მიმართულებას ამაზედ არაფერს ვიკვივო, ჩვენ ვ ჩრევეთ თითონ ჟურნალმა გამოჩინოს თავისი თავი, თითონ საქმეში გამოსთქვას თავისი სახითი და არჩეული გავს, ეს ემჯობინება ყოველ წინახიტყვაობას, ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ, ამისათვის ვიკვირეთ ყურს ღის გამოცემა. სურვილი ჩვენი გულწრფელია და ჭეშმარიტი, და, თუ დონე შევეწევა და ცოტათი მაინც ადგასრული ჩვენი სურვილი ამითაც კმაყოფილი ვიქნებით, ჩვენის მხრით, რასაც კი შევიძლებთ არას დაგვოვგეთ დანარჩენი თეთი საზოგადოებაზედ ჰქილია.

ისტორიული ნაწილის რედაქტორობა იკისრა უფ. ნიკოლოზ ლოლობერიძემ, სხვადასხვა ამბავისა უფ. დიკოთ ყიფინამა და სოფლიური ეკონომიის უფ. ივანე სერგბრიაკოვმა. ჟურნალი საქ. მოამბე... თვე და თვე გამოვა სივრცით 7 თახანიდან ათამდე ანუ 112 გვ. 160 გვერდამდე თუ შევკლებთ ამაზედ მეტიც. ფსის მიელი წლის ნომრების შინ გავაენით 1 თემანი, გაუგზავნულად 9 მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიც იმყოფება თბილისში გოლოგინის პროსპექტზე თ. ივანე მუხრანისკის სახლებში № 26.

ილია ჭავჭავაძე.

რედაქტორი „საქართველოს მოამბისა“<sup>1</sup>

ვიდრე ილია ჭავჭავაძის ამ უზრეტუნო სარედაქციო განცხადებას მისი სანათლებ გამოსვლა ელორისგობად, მას რუსეთის მეფის მკაცრი ცენზორის მკაცრული და მთავრობის მუგლუფუნები მოხვედრილი ჰქონდა. ჟურნალი გაჩენის დღიდან შეზღუდული იყო, მისი მომავალი რედაქტორი კი წინასწარ გაუართხილებული. ამას მოწმობს ის დოკუმენტი, რომელიც მთავრობის ოფიციალურ აქტებს<sup>2</sup> შემოქმედნახავს. აი, რას ვკითხულობთ აქ:

„კავკასიის მეფის ნაიკლის მრავალგობის აღმსარებლებს ვენ. აღუეტანებს ორბელიანის მიმართოვა კავკასიის კომიტეტის წევრისა და საქმეთა მმართველისადმი. 1862 წ. 18 თებერვალი № 113. თავ. ილია ჭავჭავაძემ თხოვნით მომპართა მისთვის ქართულ ენაზე ახალი ჟურნალის — „საქ. მოამბის“ გამოცემის ნება-რთვისათვის.

კავკასიის საცენზურო კომიტეტმა განიხილა და მოიწონა რა ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოდგენილი ამ ჟურნალის პროგრამა, და მოითხოვს ნებაართვის მის გამოსაკეცად.

ამის შედეგად და ცენზ. შესახ. არსებულ დებულებების მე-14 ტ. მე-16 და 138 მუხლების საფუძველზე

<sup>1</sup> ჟურნალი „ციკლია“ № 10. 1862.

დავტორ რა ნებაბრთა თბილისში ქართული ჟურნალის გამოცემისათვის, გამოემქმის მიერ წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, ისე, რომ მასში არ თავსდებოდეს არავითარი პოლიტიკური ცნობები და აზრები, მაქვს პატივი ამის შესახებ ვაუწყო თქვენ აღ. და მასთან გაახლოთ პროგრამის ასლიც<sup>1</sup>.

ქვემოთ მოსდევს პროგრამის ტექსტი. ეს ტექსტი განსხვავებულია პროგრამის იმ ტექსტთან, რომელიც 1862 წლის „ციხარის“ ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა. პროგრამა აქტებში წარმოდგენილია შვიდ ნაწილად, „ციხარის“ კი გამოქვეყნდა ექვსი ნაწილი—ამოღებულნი: „ეუზორის რუსი“ (მეხუთე ნაწილი), „ციხარის“ გამოქვეყნებულია „5. სხვადასხვა ამბავი“, აქტებში ასეთი რედაქციითაა წარმოდგენილი: „სხვადასხვა ამბავი ამოღებული რუსული პერიოდული გამოცემებიდან“ ესე იგი ოფიციალურად გამოქვეყნებულ პროგრამაში აკლია სიტყვები „ამოღებული რუსული პერიოდული გამოცემებიდან“. ამის გარდა სხვა უმნიშვნელო შესწორებანიც არის შეტანილი ასე იკვლევდა გზას საშუალო სასუენებრივ სიბნელეში ყურნალი: „საქართველოს მოამბის“ გამოსვლა გავდა „მუშუბარის უტვც გამსკარბ მდუმარებაში ან ცხრათვალა მზეს უეკრივ ამოსულს ხშირ სიბნელეში“.

ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ ფეოდალური საქართველოს რუტება და სქოლასტიკა დახვდა. საზოგადოებრივ აზროვნებაში ვულგუზმარავი დღემოი შეფობდა.

ილია ჭავჭავაძის გამოჩენამ ჩვენი მღორე, ჭაობიანი, მოკრძობლები პატრიარქალობა ერთბაშად შეარყია და ადფორმაქა, ხოლო 60-იან წლებში სალიტერატურო ასპარეზზე ამოვარდნილობა ქარიშხალმა პირველი მკვიდრი ნიადაგი „საქ. მოამბეში“ ჰკვიდა.

ფეოდალური თვითკამეყოლებას, მიკნარებობას და სიყენარეს მუდმივი მეტრი ვაუზნდა.

ჟურნალი უღობებლი იყო 60-იანი წლების საზოგადოებრივი ჭაობის მიმართ. ის ბორავდა, იბრძოდა, თვიოზნაც არ ისვენებდა და სხვასაც არ ასვენებდა. „ჩვენი, რომ ვიძახოთ „მშვიდობა“, მშვიდობა, ამით შენც მოგაბეზრებთ თავს და ჩვენი კაცობრივ ღირსებასაც ვერ დავაკმაყოფილებთ, რადგანაც ეს „მშვიდობა“ ტუყილი თქმა იქნებდა. სად არის მკითხველი ქვეყნიერებაზე მშვიდობა? კითხულობს „საქ. მოამბე“ და, იქვე უმატებს „მშვიდობის თქმა ჩვენ არ შეგვეფერს“<sup>2</sup>, ასეთი ტონით დაიწყო მოღვაწეობა „საქ. მოამბეში“. საქ. მოამბე“ იყო პირველი ჟურნალი, საზოგადოებრივი მეტროპოლი ორგანო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა იმ ახალ საქმეს, რომელიც ილია ჭავჭავაძის დიდ სახელს სამუდამოდ დაუკავშირა...

სიმონმა ეს ერთხელ არ მისცა თავის თავს შეკითხვა თუ ვინ არის ეს კაცი, ან რატომ არ აშბობს სახელს, ან და რას ნიშნავს „ყარბი ვინმე სხანათის შეთრევალება“. სიმონმა დაივიწყა კაცული ეს. მას ოდნავაც არ შეპარვია ეგვი ამ უცხოში. მისთვის წარმოადგენილია თუ ვინმე მტრობს საბჭოთა მთავრობას და ამ ბედნიერ ცხოვრებას მშენებლობას. აი, ეს არის თავბრუდამხვეული ადამიანი მიწვევებისა და გამარჯვებისაგან. ამ ხანით არის მოცემული დრამატურულიად ეს სახე და ასე ასხამს ზორც მსახიობი გელვონია.

სიმონის ცხოვრების წილიდან, საზოგადოებრივ ურთიერთობიდან ამოღებული გარკვეული სასიათი და როგორც მხატვრული სახეც მართალი და ნამდვილი. ეს სახე გვაფრთხილებს, რომ „ქრისტიანული პარტიონება“ და კმავიჯილი ადამიანის უღარდლობა ობიექტურად მაინებლობას უღრას და ამიტომ საჭიროა მტერი სიფხიზლე და ადამიანებშიც გარკვევა. ეს აკლია სიმონს და ისიც მოხერხებულად გამოიყენა მანებელმა.

მასურებისათვის თავიდან ბოლომდე საზიზნავი პიროვნებაა ანდრო კახიანი, მენშევიკი, მანებელი ინჟინერი, რომელიც ტროცკისტ ლენინთან შედარებული კავშირში იმყოფება და მისი დირექტივებით მოქმედობს. რომ დაჩქარდეს გადაწყვეტე უბანზე მანებლობა, ლენინის

კატეგორიული მოთხოვნით, საჭიროა დიმიტრის მოშორება, კატასტროფის მოწყობით; თუ არ დაიღვას მკურნალობის გავიანურებით, ამისთვის ეს მშენებლებზე გამოვხანვილია ექიმო, რომელმაც არ იცის რაზე-მას-მანებელთა იყენებს, იმიტომ რომ ის არის დიმიტრის კეთილ, ელენეს პირველი ქმარი და მანებელთა ვარაუდიც აკლავენია. რომ ის (ექიმი) უთუოდ უხარს იძიებს. მაგრამ ეს არ გამართლდა. ექიმო აღმოჩნდა მთლიან საბჭოთა ადამიანი, რომელმაც სისხლიც კი არ დაიწურა დიმიტრის გადასარჩენად. უფრო მეტიც, იგი არაპარტიული ბოლშევიკია. ექიმი აღმოჩნდა დაცვირველები და შეიძლება ითქვას ძალიან ფხიზელი: ამიტომ მისი მოშორებაც საჭიროა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ისე, რომ დიმიტრის ტყბილი მოჯახური მდგომარეობა დაერღვეს და ამით საშუაზივე გული აუტრუდვებს და ექიმის მკვლელობაც მას დაზარალებს. კახიანი გულუბრყვილი სიმონის საშუალებით აღწევს დიმიტრის სულის შემოვთების და ექიმთან ცხარე წაჩხუბებას, რომელშიაც კახიანი მოხდენილად დაიბნის აღდგენილ დიმიტრისაგან წამოსროლილ წუქვას. შემდეგ კვანც ექიმს, როგორც მისთვის საფრთხეს და ყველა საბუთით ამტკიცებს. რომ დიმიტრის მიერ მემჩანური ფიქოლოჯის შედეგია ოჯახური დრამის საფუძველზე მის მიერ ექიმის მოკვლა. ასეთი სახიზლარი მოქმედებით ამოძრავებელი მანებელი, შენიღბული პარტიონანი სუკოლისტის სახელით ბუნებრივად აქვს ბოლომდე განვითარებული მსახიობი საღარაქმს. მსახიობის მიერ მხატვრულად უღარესად ჩამოსხმული ფიგურა მასურებელში უთუოდ ინტერესს იწვევს და აღმფიქთებს მას. სწორედ ამ მხატვრული სახის დრამატურული სრულყოფით და მსახიობის მიერ ბუნებრივად შესრულებით აიხსნება მასურების აღმფიქთება და დარბაზიდან ლანდღვის რეალიკები მსახიობის მიერ მოცემულ სახისადმი. მასურების ასე სწორი რეაქცია საუკეთესო შეფასებაა როგორც დრამატურული: სახის, იეს მსახიობისა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მეტად საყვარელი და მიზნიდელი ბუნების ადამიანი ექიმი ანდრიაჟე მსახიობი. აფხაიისის შესრულებით. ერთი წელია რაც იგი რუსთაველის თეატრში იმყოფება და ეს პირველი საპასუხისმგებლო როლი პირნათლად შესრულა. მისი ექიმი მართალი და ბუნებრივი სახეა, რომელიც მთლიანად შეუყვარდება მასურებელს.

უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს დრამატურგაში ჯერ კიდევ უსუსრი ადგილია ქალის მხატვრულად სრულყოფილი სახის მოცემა, და განსაკუთრებით საბჭოთა ახალი ადამიანი-ქალის. ეს ნაკი ამ პიესაზეც აქვს. მაგრამ ის, რამაც გაუმტვრია დრამატურგს ქალებისათვის, რუსთაველის თეატრის მსახიობი ქალები პასუხისმგებლობის გრძობით ასრულებენ. მსახიობი თამარ ბაქრაძე, როგორც ყოველთვის, ელენეს განხორციელებაშიც კოლორიტულია და მართალი. მისი სიმართლე განსაკუთრებით მელ-ენდება დიმიტრისთან: გულწრფელი ოჯახური ინტიმური სცენით, რომელიც წარმოადგენს ბედნიერი ცხოვრების სიმდინარე ვერებს, აქ თამარ ბაქრაძე ელენეს ხატავს უღარესად მართალი და ბუნებრივი ფერებით, როგორც მოსიყვარული მუღუღეს და მეგობარს. მაგრამ ეს სახე მაინც დაუმთავრებელია და, რაც არ უნდა ნიჭიერებით სასეკა მსახიობი, ელენე მხატვრულად

ლად ჰაერშია გამოკიდებული; არც დაწყებულია და არც დამთავრებული. ამასვე ვიტყვით ნიჭიერ მსახიობზე მ. ჯავახიშვილზე. უდიდესი გულწრფელობით შესრულებულია დიმიტრის გამდელის ნანას როლი მსახ. ი. დიმიტის მიერ. მსახიობი უდავოდ კარგია ამ როლში.

დანარჩენ როლებიდან უსათუოდ უნდა აღინიშნოს მ. ჩიხლაძის ლევანი, შ. აბესაძის უცხოელი, დ. ხუციშვილის ინჟინერი გიორგი, გ. ბეჟუაშვილის ბრიგადირი ბონდო და ფ. ჭანტუიას ანიკო. ბუნებრივად, დამაჯერებლად და მხატვრული სიმართლით ანვითარებენ

თავიანთ როლებს ეს მსახიობები. არ შეიძლება გამოვტოვოთ ახალგაზრდობიდან მსახიობი ზ. მაჩაბელი, რომელიც შესანიშნავად იძლევა კოლეგურენ ახალგაზრდას.

აი ეს არის აღსანიშნავი, რომ ამ სპექტაკლში მხოლოდ ახალგაზრდები დაწინაურდნენ და შესანიშნავად ფლობენ თავიანთ თავს საერთო ანსამბლში.

დასკვნა: სერგო კვლიაშვილის „გმირთა თაობა“ ქართული დრამატურგიის და რუსთაველის თეატრის უღვეო გამარჯვებაა.



„გმირთა თაობა“

ფინალი





# გლეხური მოძრაობის გვიჩული სურათი

„არსენა“ ლაგვე რეპ. მ. ჭიუჩუაძის, სეპარტივალს“ქინოგრაფიკის ნანახმოებ

ხელოვნების ყოველ დიდ ნაწარმოებს თავისი მხატვრული სახელი იმ დაუშრეტელ და მდიდარ წყაროდან მოაქვს, რომელსაც ხალხური შემოქმედება ეწოდება. ხალხური შემოქმედება ეს არის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია მხატვრულ სახეებში; ამრიგად ის მუდამ გულწრფელია, მართალი და რეალური.

ამიტომ წარმოებს ესლა გაჩაღებული ბრძოლა ბუნებრიობისა და ხალხურობისთვის ჩვენს ხელოვნებაში.

ვინ არ იცნობს ჩვენში შესანიშნავ გვირულ პოემას ხალხის გმირ არსენაზე? — მისი ავტორია ხალხი, ის ხალხი, რომლის ხელშიც ვაიხარა იგი და რომელმაც თავის საყვარელ გმირად წამოაყენა ის.

ხალხმა შეიკარა ის და სამუდამოდ ჩაიმარხა გულში იმით, რომ დაუდგა მას ქებათაქემის ხელთუქმნელი ძეგლი—შესანიშნავი ეპიური პოემა. ამ პოემაში ხალხური გულწრფელობით აღწერილია არსენას საგმირო საქმენი უსამართლობასთან ბრძოლაში.

ქართველი ხალხის ამ შესანიშნავმა ნაწარმოებმა ასაზრდოვა ჩვენი დიდი მწერლები—ყაზბეგი და ილია ჭავჭავაძე. პირველმა დასწერა დრამა, მეორემ — პოემა „კაკო ყაჩაღი“; ჩვენი თანამედროვე მწერლებიც მიიზიდა ამ ამოუწერავმა მხატვრულმა ნაწარმოებმა; სანდრო შანშიაშვილმა დასწერა დრამატული პოემა „არსენა“, რომლის შესანიშნავი დადგმა განახორციელა ჩვენმა სახელოვანმა რუსთაველის თეატრმა.

მწერლობისა და თეატრის გარდა არსენას თავდადასავალით დანტერესდა კინო-ხელოვნებაც. საქართველოს კინომრეწველობის პირველი წლებში იყო ცდა ეკრანზე „არსენას“ გადატანისა, მაგრამ ეს მამნი ვერ განახორციელეს იმ დიდი სიცილიური წინაარსის ასახეით, როგორიც აქვს ამ გვირულ პოემას. მხოლოდ ესლა ენახეთ ნამდვილი არსენა ეკრანზე — და ეს ეკუთვნის საქმაოდ გამოცდილ რეჟისორს მ. ჭიუჩუაძეს.

აქ ჩვენ არ შევედგებით არსენას თავდადასავალზე ხალხური პოემის შინაარსის ვადმოცემას. ის საკმაოდ ცნობილია ჩვენში. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ დრამატურგმა სანდრო შანშიაშვილმა და რეჟისორმა მ. ჭიუჩუაძემ თავიანთ სცენარში მიზნად დაისახეს მხატვრულად მოეცინა ქართველი მშრომელი ხალხის ბრძოლები ქართველ ფეოდალთა და ცარიზმის წინააღმდეგ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. შექმნეს რა არსენას სახით ქართველმა აჯანყებული გლეხის ბრძოლა, შემკერები ტიპი, მის მიმბრძოლ ბუნებას წინაპირობად დაუყენეს ისტორიული სიმართლე; სოციალური სინამდვილე, რომ გლეხები აწიოკებული იყვნენ თავდასულ ფეოდალთა დაუსრულელებელ ბეგარებით და მეფის რუსეთის დამსჯელი არმიის — ეგვიპტეციის თარეშით. აჯანყდა გლეხობა და მას მეთაურობდა არსენა.

უნდა აღინიშნოს კლასობრივი სიმართლის დამახასია-

აებელი დეტალი. ეს არის რუს ჯარისკაცის — მიტროხინის სახე. მიტროხინი აჯანყებული გლეხების არაგებდას. უფრო მეტიც, ის მოუძღვის გლეხობას ბარონ როზენის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მხატვრული შტრიხით უაღრესად დამაჯერებელ ფორმაში, მოცემულია დრამატურგიულად მშრომელთა ინტერნაციონალური ბუნება, კლასობრივი სოლიდარობა და იდეური ერთიანობა.

ამრიგად ისტორიული სინამდვილე მხატვრული სიმართლის მაღალ საფეხურზეა აყვანილი; სახელდობრ, სოციალურად დასაბუთებულ პერსონაჟების ურთიერთობა ასახული მხაფრ დრამატურგიულ კვანძებში ოსტატურად იძლევა ფეოდალური წყობის ისტორიულ განწირულებას; რომ უსაქმო მყვედფელთა, თავდასულ თავდაზნაურთა ბატონობის ბნელი ეპოქა უნდა დაინჯგეს. ასე პერსპექტიულია ვიღმ „არსენას“ დრამატურგიული მხარე და ძლიერ მხატვრულ ფერებშია გაკეთებული სურათიც.

უპირველეს ყოვლისა რაც გიზიდავს ამ სურათში ეს არის თვით არსენა — მსახიობი ბალაშვილი. ის უცებ იპყრობს მაყურებელს, იტაცებს მის ყურადღებას მთელა არსებით და ბოლომდე მისთან ორგანიულ კავშირში იმყოფება. სხვა რომ არაფერი ექვეტა მარტო ეს საკმაო რეჟისორ ჭიუჩუაძის ოსტატური მუშაობის დასახასიათებლად და სურათ „არსენას“ მხატვრული ღირსება უღსანიშნავად.

რეჟისორმა ჭიუჩუაძემ არსენას როლში სპარტაკ ბალაშვილის გამოყენებით უდავოდ დიდი შემოქმედებითი კულტურა გვიჩვენა. ბალაშვილს არავითარი მსახიობური გამოცდილება არ ჰქონია. ის პირველად მოვიდა კინოში და ასეთ სავასუსტმებგლო როლში როგორც არსენა. მაგრამ რეჟისორმა უღედესი ოსტატობით გამოიყენა მისი ინდივიდუალობა და ბუნებრივი მონაცემები, ჩამოასხა ის გარკვეულ ხასიათში; მსახიობის ინდივიდუალობას მისცა მხატვრული სახე, რითაც იგი ვაბად უღრესად დამაჯერებელი, ბუნებრივი და მიმზიდველი უყურებთ ეკრანზე არსენა—ბალაშვილის მოძრაობას და ხედვით, რომ მსახიობი მთლიანად გრძნობს მხატვრულ სახეს, მთლიანად განიცდის მას და არც ერთ მომენტში არა აქვს ეგზოტიკისა და თეატრალიზმის ნახაზი. ამრიგად ბალაშვილის არსენა არის უშუალოდ, გულწრფელი და მიმზიდველი გმირი, რომელიც საპკოთა მაყურებლის წინაშე დახატულია მხატვრული სიმართლის ზუსტად და ციკით.

მსახიობ ბალაშვილზე ამდენხანს იმიტომ შეგწერდით რომ რეჟისორმა ჭიუჩუაძემ მისი სახით ჩვენს კინომსახიობთა რიგებს შემება შესანიშნავი მსახიობური მასალა, რომელთანაც საჭიროა ისეთივე ღრმა პედაგოგიურ და რეჟისორული მუშაობა, როგორიც ჩაატარა რეჟისორმა ჭიუჩუაძემ. ემიგრირებთ, ბალაშვილი გრძნობს ფულ-



Հ. ԲՈՐՈՑԻ ԿՆՆ ԿՆՆ ԿՆՆ  
ԳԵՂԱԿԱՆ ՊԱՆԹՈՆ  
ՊԵՏԱԿԱՆ ԳԵՂԱԿԱՆ  
ՊԱՆԹՈՆ



მის სუნთქვას, მის დრამატიულ და პოლიტიურ გაშლას და ეკრანზე გამოდის როგორც მხატვრული სახის ოსტატე.

შემდეგ სახე, რომელიც აქტიორულ შესრულებაში რეალისტური სიმართლით ბრწყინავს, ეს არის როზენის როლში **პერესტიანი**, რომელიც ცარიზმის დამპყრობლობის უღარესად ბუნებრივი და დამაჯერებელი სახეა. აქტიორული შემოქმედების არაჩვეულებრივი ფერებით ხატავს მსახიობი ამ სახეს.

ასევე დამაჯერებელია მსახიობი **ლორთქიფანიძე** ციციშვილის როლში. უნდა აღინიშნოს საერთოდ ფილმში დეკაბრიზმის იდეის ერთი მხატვრული სახით მოცემა. ამ მხრივ აღსანიშნავია მსახიობი **მატივი** დეკაბრისტ რფიკრის როლში, რომელიც თანაუგრძობს არსენას და ხელს უწყობს ციხიდან მის განთავისუფლებას. ამასთანავე იდეურად და აქტიორულად მაყურებლისათვის საყურადღებო გახდა მსახიობი **მორსკიო** — ჯარისკაცი **მიტროხინი**.

ქალებიდან აქტიორულად ყველაზე ძლიერი და მართალია ზაალ ბარათაშვილის დედა — რესპ. სახალხო არტისტი **ნუცა ჩხეიძე**. მასში გრძობა მხატვრული სახის დიდ ოსტატს. ჩვენი მეტად საინტერესო მსახიობი **ვერიკო ანჯაფარიძე** ოსტატურად ასრულებს იმას, რაც დრამატურგიულად მოცემულია ამ სახეში, ხოლო ჩვენა აზრით მანანას სახე დრამატურგიულად არ არის სრულყოფილი. ხოლო რაც შეეხება ჩვენს შესანიშნავ კინომსახიობს **ნატა ვაჩნაძეს** ნენოს როლში არა აქვს გამოყენებული მთელი თავისი აქტიორული შესაძლებლობა.

განსაკუთრებით უნდა ვილაპარაკოთ რესპ. სახალხო არტისტის **ალ. იმედაშვილის** თამაშზე. მისი ფარსადანა ჩვენის აზრით არ არის ხალხურ ნაწარმოებში მოცემული მოვლათე კულაკის სახე. სამუშეხაროდ, რეჟისორულად ისეთ დრამატურგიულ სიტუაციაშია მოქცეული, რომ ტრაფარეტულ გამცემის ელფერს უფრო ატარებს, ვიდრე ხორცშესხმულ მხატვრულ სახეს.

საქართველოს გლეხური მოძრაობის ეს გმირული ფილმი არ არის მოკლებული ცალკე ნაკლოვანებებს და აშკარად ეტყობა, რომ რეჟისორს მუშაობის მთელი სიმძიმე მხოლოდ არსენაზე გადაუტანია და ამიტომ გაპარ-

ვია კორექტურები. მაგ., დაუჯერებელია პატარა ზურვიკოს მიერ ფარსადანის მოკვლის სცენა. არ გვეჭრება **ჩეკოტომ**, რომ ფარსადანმა კლდიდან გადმომდგარმა **სესელ** კვდილო ტყვია ესროლა არსენას. დაპირალ არსენას შემოხვიენ, ერთხანს მის გარშემო მიმდინარეობს მოქმედება, შემდეგ პატარა ზურვიკო მიმოავლებს თვალს გარშემო, შეამჩნევს კლდეზე გადმომდგარ ფარსადანს, იძლებს თოფს, დაუმიზნებს და მოსაკლავად ესვრის. იბადება კითხვა. ნუთუ არსენას მუხანათური მკვლელი იმდენ ხანს იცდიდა გასროლის შემდეგ იმავე კლდეზე? თითქმის უცდიდა საბასუხოდ გამოგზავნილ ტყვიასო. შემდეგ მეტრისმეტად შეუკრძული და ღრმა ემოციურობას მოკლებულია სცენა — **ვინ არის მკვლელი?** სრულიად არ ვარგა პავლიონში ვარსკვლავებით მოქედითი ცა. მხატვრის უხეში ფუნჯი მეტრისმეტად ცუდია აქ. განსაკუთრებით ცუდია და ყოვლად გაუმართლებელი არსენას „ყიყლიყო“. ეს მამოყინება სიკვდილის დროს შეცდომაში გადადის, მეტრისმეტად ამცირებს არსენას და ამახინჯებს პოემას. არის ქართული ანდაზა: „მამალმა სთქვა: მე კი ვიყივლებ და გათენდება თუ არა ეგ ჩემი საქმე არ არისო“. ნუთუ არსენამაც ეს სთქვა? მაგრამ შანშაშვილის პიესაში არსენას სწამს, რომ გათენდება და ეს მისი და მისი ამხანაგების საქმეა. რეჟისორმა ჭიპურელმა კი ეს იდეური არსი სულ გააჭრო და ყიყლიყოთი შესცვალა. ეს შეცდომაა.

გაუგებარია მხატვრულად ფინალიც. რას ამბობს სკულპტურული გარდაქმნა არსენას ცხედარის და იქვე მდგომ ნენოსი? ვითომ სიმბოლიური გამოსახვა ბრძოლის ვაგრძელების? არსენას იდეური სიმტკიცის? მაშინ შეცდომაა ეს ხერხი, რადგან დრამატურგიულად „არსენას“ გმირული ეპოპეა სოციალური ოპტიმიზმის პერსპექტიული პოემაა. და რა საჭირო იყო საფლავის ლოდად ქცეული გამოთილი ქვის სიკვდილის მისტიური სტატურობა?

ეს არის დეტალები, რომლის აღნიშვნა საჭიროდ ვსცანით, ხოლო ფილმი „არსენა“ საქართველოს კინომრეწველობის უთუოდ მიღწევაა.

# ქინოფილმა „დარიკოს“ გესახებ

ჩვენს ქუჩის მკორე ნომერში მოთავსებული იყო ფილმ „დარიკოს“ შესახებ ორი ერთი მკორეს უარყოფილი წერილი. რედაქციის შენიშვნაში გამოძღვანებული იყო ჩვენი დამკვიდრებულება აღნიშნულ წერილებზე და: ეცხადებოდა რა მას სადასკუსით. ჩვენ არ ვიზიარებდით რეორტე კ. ბუჩაძის წერილის ძირითად დებულებებს; ისე არადამაკმაყოფილებლად მიგვჩანდა შ. ჩავუწავას წერილიც; რედაქციის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ორი წერილი დასახეით ჩვენს საზოგადოებრიობაში თითქმის არსებულ ორ მთავარ შეხედულებად. ეს არ არის სწორი. საბჭოთა მკყურებელმა მიიღო ფილმა „დარიკოს“ რეორტე გმირული, ისტორიული გამართლებული ოპტიმიზმის შემცველი ნაწარმოები. ფილმის ავტორმა — ახალგაზრდა ნიქიტრამ რეჟისორმა ს. დოლიძემ სძლია იმ ფორმალისტურ სქემებს, რომლის ცალკეული ელემენტებისაგან არ იყო ის დახვეწილი მას აღინიშნულ შემკვლევითა მუშაობაში.

წარსული კულტურული მემკვიდრეობის პრაქტიკული ათვისება და მისი ევრანიშვიცაა დიდხანს და რთულ ამოცანებს აყენებს.

ე. ნინოშვილის ნაწარმოებზე ვაფიქნებოდა პესიზმით, მისი გმირებმა სასოწარკვეცილი და განწირული არიან; მართალია ის დიდი ოსტატობით აშოშვლებს დაეთი ქრონიკების, მოსე მწერლებს, ტარიელ მკლავაძეების მკეტურ ბუნებას, მსახივლი მემამულეების ზოოლოგიურ სიძულვილს მშრომელი გლეხობისადმი, მაგრამ პროტექტი ამ სოციალურ უთანასწორობის წინააღმდეგ ის იძლევა ან „ფიარობაში“ ანდა პროტესტანტთა თეთრკვლეობაში. „აღწერდა რა თავისი ხალხის გაჭირვებას და წამბებს, ე. ნინოშვილი ვერ ხდებდა გამოკვლას, ჩვენს წინაშე მისი გმირების უპირატესობა სდევნან დავიწყებულნი, თავის ბედის მორჩილი“ („პირადა“). ამრიგად ე. ნინოშვილის ნაწარმოებებში არ არის ნაჩვენები ისტორიის ის აუცილებელი, კანონზომიერი პერსპექტივა მშრომელი გლეხობის განთავისუფლების შესახებ, რომელიც ფეოდალური და ბურჟუაზიული წესწყობის აფეთქებისა და განადგურების შედეგია.

მაგრამ მისი დახასიათება მემამულეთა ფენების, მეფის ჩინოფილების და ყოველგვარ გაიძვრა ტიპების ისეთი სინდვიტორი არის მოცემული, რომ ანთელი ხდება მათი ისტორიული განწირულება და მით მშრომელთა განთავისუფლების აუცილებლობა. ასეთია დასკვნა ე. ნინოშვილის ნაწარმოებებთან და ეს დასკვნა საფუძველად დაედო ნინოშვილის იმ გაგებას, რომელიც მოგვცა რეჟ. ს. დოლიძემ სურათი „დარიკოს“ დღემით.

სურათი „დარიკოს“ რეჟისორმა ს. დოლიძემ შექმნა ე. ნინოშვილის მხატვრულ ნაწარმოებათა მოტივებით და იმ ლიტერატურული მასალებიდან, რომლითაც არაგვეულებრივი დამაჯერებლობით და მხატვრული სიმა-

თლით ასახული გურული გლეხის ყოფა-ცხოვრება გასული საუკუნის მკორე ნახვარში.

სურათის ავტორმა დიდი მხატვრული გემოვნებით და სიმათლით, გულწრფელობით და შენაგანი ექსპრესიით შექმნა იდეურად ამაღლებული სოციალურა დრამა, რომელიც თავისი ემოციურობით და მკყურებელში ბრძოლის ციცილოს გაღვივებით კანონზომიერების საუკეთესო ნაწარმოებთა ფონდში შეევა.

ასეთია ძირითადში და უმთავრესში „დარიკოს“ შეფასება საბჭოთა საზოგადოებრივობის მკერ, და რეჟისორმა დოლიძემაც სამართლიანად დამსახურა ეს.

რით არის შესანიშნავი ეს ფილმი და რით გამოიხატება რეჟისორის ოსტატობა?

პასუხი ასეთია: გლეხის გოგო დარიკოს და მის მკყურებულ სიმონას პირადი დრამა ვიწრო ოჯახურ წრეს სცილდება და გადის დრამა სოციალურ დრამაში, სადაც უდიდესი გულწრფელობით ისწნება უღარიბეს გლეხთა, ქართული მშრომელი ხალხის შეგნებულ ცხოვრება და ღუბჭიერი დღეები. ხოლო, ავტორის ს. დოლიძის უმთავრესი დამსახურება ის არის, რომ ე. ნინოშვილის განწირული გმირებს ტრადიციული ბოლო და უიშვიადო სასოწარკვევითა მოხსნა, საღი თვალთ შეახედა სინამდვილეს და მათი ბრძოლა ვახად პერსპექტიული და ოპტიმისტური. ამ მხრივ შესანიშნავად გაიყენებულა ფინალი, სადაც სიმონა და დარიკო, რანხელთა მკერე ვკუფით გაარღვევენ მტრის რკალს და წითელი დროშას ფრიალით მოქჩიან თავისუფლად გზით. ცხადია, ეს გზა ან დროში მათ გამარჯვებამდე მიიყვანს, რადგან ან გზითაა მოცემული ისტორიის ის აუცილებელი კანონზომიერი პერსპექტივა მშრომელი გლეხის განთავისუფლების შესახებ, რომელიც არ არის ნაჩვენები ნინოშვილის თხზულებებში. აი, ამიტომაც მართალია და ბუნებრივია ს. დოლიძის დარიკოს, რეორტე მხატვრულ სიხე, რეორტე ქართული მემამულეთა ქალის ზოგადი შეყვრება ტიპი. უდავოა, რომ ქართული ხალხმა თავის წყალობიდან არა ერთი და ორი ე. წ. „ვეჯიკი“-ქალი წამოაყენა, მაგალითისთვის მათე მიაას დასახელება კმარა ამიტომ გვეჯერა დარიკოს „ვეჯიკობა“ და ოპტიმისტური ქროლა წინ. ეს არის არა ფანტაზია, არამედ მხატვრული სინამდვილე, რომელსაც რეალიზმი ეწოდება.

ამას გარდა უძლიერესი და უშესანიშნავესი ეპიზოდი და სცენა პატიმართა ვაგონში, სადაც მთელი სიციც ხლის მანძილზე გატანჯული დედა თავის მომკვდა შვილს უმღერის ნანას და როდესაც ამ უღარიბეს ლირიული სიმღერას მოჰყვება პატიმართა აჯანყება. ამრიგად ამ ცრემლიან ლირიკაში დაფარულია ნამდვილი გმირობის პათოსი, რომელიც ასე აფეთქდა ვაგონში.

ამის შემდეგ, მშვენიერ მხატვრულ ფორმებში ასახული ეპიზოდები დარიკოს ბრძოლებისა, სიმონას დაბრუნებისა და მშრომელ გლეხობის წყრებლების დავი-

და ტიტოვი დროაძეების სიკვდილისა უთუოდ ლაფროთ-  
ვაგანს მაყურებელს და მოუწოდებს გმირობისაკენ. მა-  
ყურებელიც ხომ აღტაცებულია სურათით და მუსუნღე-  
ბული ყურადღებით მიჰყვება მოქმედების განვითარე-  
ს. დილოძის დამსახურება. გარდა ამისა ფილმი „დარი-  
კო“ აღსანიშნავია იმიტად, რომ მ.ს.ში მხატვრული სი-  
მართლით ასახულია გასული საუკუნის გურული გლე-  
ხის ყოფა — ქოზი და ღარიბი კერა. ფილმში უხვადაა  
მოცემული ხალხური სიმღერები (ამ მხრივ ქების ღირსია  
კომპოზიტორი ი. ტუსკია) და გურული ციკვები. ნა-  
მდელი და სადა ფერებითაა დახატული ზეჩვეულებები  
და სხვა და სხვა სოციალური ფენების წარმომადგენე-  
ლთა ურთიერთობა.

აი სწორედ ეს ღირსება დააციწყდათ როგორც კ. ბუ-  
აჩიძეს, ისე შ. ჩაგუნდავს თავიანთ წერილებში. ყოველივე  
ზემოთქმულის შემდეგ, რა თქმა უნდა, კ. ბუაჩიძე სწო-  
რედ პრინციპიალურად არ არის მართალი ფილმის შე-  
ფასებაში. ბუაჩიძე ფილმის წარმატების ერთერთ მი-  
ზეზად თვლის იმას, რომ „დარიკო“ ძალზე გადატვირ-  
თულია მუსიკალური მასალით...“, არც ეს დებულებაა  
ბას. აი, ამაშია ამ სურათის ძალა. ეს არის რეჟისორ  
სწორი. მთელი სურათი გაქედნილია ჩართული ხალ-  
ხური მელოდიების ვლერით და ერთგვარად ის წარმოა-  
დგენს ასე ვთქვათ, მუსიკალურ ფილმს, მაგრამ სწორედ  
მუსიკალურად შეწყობილია და შეკრული ისეთი ადგი-  
ლები, სადაც სრულიად დღუშს ორკესტრი. ამრიგად ეს  
იმას ნიშნავს, რომ მუსიკალური კომპოზიციის წესით და  
კანონებით სურათი შესრულებულია როგორც მთლიანი  
თავისი შინაგანი რიტმებით და ექსპრესიით.

კიდევ ერთი საკითხი. ცხადზე უცხადესია, რომ საბ-  
ჭოთა კრიტიკა ქმნის საზოგადოებრივ აზრს და ყოველად  
მიუდგომლად იძლევა ამა თუ იმ მხატვრული ფაქტის  
შეფასებას. ამ დროს გამოცდილი და ჭეშმარიტი კრიტი-

კოსი ვერ აუხვევს გვერდს მაყურებლის აზრს და შეა-  
ბუქდლებს, რა თქმა უნდა აქ მოხსნილი არ არის კრი-  
ტიკოსის მიერ მაყურებლის გემოვნების და ტაშისაგან  
ტროლი და ამით საკუთარი შთაბეჭდილების შემოწმე-  
ბაც. მაგრამ „დარიკოსთან“ დაკავშირებით კიტა ბუაჩი-  
ძისებური კონტროლი უთუოდ კოჭლია მაყურებლის გა-  
გებისა და სურათის მხატვრულად შეფასებაში.

ამრიგად, ძირითადად და უმთავრესში კიტა ბუაჩიძე  
არ არის მართალი. ხალო რაც შეეხება ნაკლოვანებებს,  
ეს საბჭოთა ბრესამ თავის დროზე აღნიშნა და ჩვენც ვამ-  
ბობთ, რომ უთუოდ ნაკლია და არღვევს ამ შესანიშნავ  
სურათის საერთო სტოლს უხეში ჰუმორი, მაგ. პრისტა-  
ვისა და მოსე მწერლის სალორეში დამალვის სცენა,  
კლასობრივი მტრების ტანისამოსის ვახდა, ვაშიშვლება  
დარიკოს მიერ. ძალიან აუბრალოებს და ანარტიკებს  
დავითის და მოსეს სახეებს მათი დაჯახების სცენა, სა-  
დაც ორივეს მიერ ჩადენილი ბნელი საქმეები თვითგა-  
მომკლავნებით ირკვევა. რა თქმა უნდა ასეთი ნაკლოვა-  
ნებები ახასიათებს სურათს თუნდაც ვაგონში — „ნანას“  
ვახშოვანება ტექნიკურად არ არის სრულყოფილი. მა-  
ყურებელი უცებ შეატყობს, რომ სხვა მომღერალია მოწ-  
ვეული სიმღერის შესასრულებლად და დარღვეულია  
არტიკულიაციის აბსოლუტური შეთანხმება, რომელიც  
უდიდესად ხელს უშლის ამ შესანიშნავ სცენას.

მაგრამ ეს სურათის საერთო გმირულობასთან, კომ-  
პოზიციურად ოსტატობით შეკრულ სიუჟეტთან და საე-  
როოდ ემოციურ სიმღერესთან მეტად უმნიშვნელო  
ნაკლოვანებებია და სურათის შეფასების დროს მათი  
კრიტიკიუმად აღება უთუოდ შეცდომაა.

სურათი „დარიკო“ საქართველოს კინომრეწველობის  
მარგი მიღწევაა და რეჟისორ ლილიძის შემოქმედები-  
თი ზრდის უტყუარი ნიშანი.

ა. ლინიაშვილი

## მეჩონგურა ქალთა ანსამბლი

ყველასათვის ცნობილია დღეს ის დიდი ინტერესი, რომელსაც იწვევს ქართული ხალხური შემოქმედება, კერძოდ მუსიკალური ფოლკლორი.

თითქმის ყოველ დღე იმართება ჩვენს კულტურისა და დასვენების ბაღეში ხალხურ სიმღერათა შემსრულებელ გუნდების კონცერტები. ეს კონცერტები იზიდავს აუარებელ მსმენელს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი ხალხის კულტურული მოთხოვნილება დიდად გაიზარდა და მან შეიყვარა მუსიკა. როგორია საერთოდ ამ კონცერტების რეპერტუარი, თემატიკა, შესრულების მხატვრული დონე და მისი ემოციური გავლენა მსმენელ-

ებსა. კაბინეტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციოს იმას რომ ჩვენში გუნდებს არ ეტყობათ რეპერტუარის მრავალფეროვანება, მისი თანდათან განახლება იმ ახალი თემატიკით, რომელსაც დღეს ჰქმნის ჩვენი ახალი ცხოვრება. კარგი, ჯანსაღი სიმღერა თანამგზავრია ჩვენი ძლევათა სილი წითელი არმიისა, კოლმეურნისა და მშრომელი მასისა. მდიდარია და მრავალფეროვანი ამ ახალ სიმღერათა ჰანგები და თემატიკა. წითელარმიელის თავდადება სამშობლოსათვის, მისი სიყვარული, მხიარული და ბედნიერი ცხოვრების ამოძახილი სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბნებზე — თი თემა ამ ხალხური შემოქმედებისა, რომელიც ნაკლებადაა გამოყვანილებული ჩვენი გუნდების მიერ.

ამ პირველი წერილით ვანვიხილით მეჩონგურე ქალთა ანსამბლის მუშაობა.

სიმღერა ძველთა ძველია, ადამიანის ბუნებას თანდაყოლილი. ხალხს თავისი სევდისა და სიხარულის განცდების გამოსახატავად გამოუძენია მუსიკალური ფერბა და სიტყვები. თვითელ სიმღერაში ჩაქოვილია ადამიანის სულიერი ცხოვრება, თვითელ სასიმღერო ლექსს და თვით სიმღერას თავისი სოციალური წარმოშობა და საფუძველი აქვს.

სიმღერა ადამიანის საუკეთესო თანამგზავრია შრომისა და დასვენების დროს. სიმღერით არის შემუკული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა და ყოფითი მხარეები. სიმღერა თანსდევს: ლაშქრობას, სახალხო დღესასწაულებს, ქორწილს, ცეკვას, ჭიდაობას, ავადმყოფობას და მრ. სხვას. ამიტომ ისმის სიმღერებში თავმუყავებელი ვნება, სიამაყე, გამბედაობა, ხან კი სინაზე, სიწყნარე, როგორც ნიავის ჩურჩული და ლივლივი, როგორც მთის ნაფური. ამიტომ ჰქმნის ხალხი ეპიურ ნაწარმოებების მაღალი ნიმუშებს, რომელშიაც ხობტას ასხამს სახალხო გმირებს და მოვლენებს. ამ სიმღერაში ხალხი გამოხატავს თავის ყველაზე სათუთ გრძნობებს, იმედებს, თავის აზრს, ოცნებასა და მომავალს.

ხალხი არასოდეს არა ფარავლეს ეიწრო რკალში თავის შემოქმედებას და სიმღერა კამერულიდან მაღელ გადავიდა მრავალმხიან საგუნდო სიმღერებზე.

ჩვენი არ ვიცით მრავალმხიანი გუნდი საქართველოში რა დროიდან მომდინარეობს, ისევე როგორც არ ვიცით ჩვენი უახლოესი დროის გუნდების ისტორია. თუმცა პროფ. ივ. ჯავახიშვილის აზრით „მრავალმხიანი გუნდო ძველ საქართველოში იშვიათს მოვლენას არ წარმოადგენდა“, რასაც მკვლევარი ასაბუთებს ძველი საერო



მეჩონგურე ქალთა ანსამბლის ხელმძღვანელი აქ. მიგრელიძე

ზე? რით არის მნიშვნელოვანი თვითელ გუნდი, რას წარმოადგენს ამ გუნდების სოლისტები და სხვა მრავალი, ახედვით საჭიროა არსებობდეს გარკვეული აზრი და შევსება.

ხელოვნების საქმეთა სამმართველომ ბევრი კარგი საქმე გააკეთა ხალხური შემოქმედების კაბინეტის შექმნით, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს ჩვენი ხალხური შემოქმედების მასალების დაგროვება-დამუშავ-

პოეზიის ნიმუშების მოყვანით. ეს ნიმუშები იმას გვახსენებენ, რომ მრავალხმიანი სიმღერები შექმნილია თვით ხალხის მიერ და არა ეკლესიის მიერ, როგორც აზრით არსებობს თითქმის დღესაც.



ანსამბლის სოლისტი ელ. კუბაბია

დასახელებულ წერილში პროფ. ივ. ჯავახიშვილი განაგრძობს, რომ ძველად საქართველოში „არსებობდა გუნდები და გუნდებს თავიანთი ლოტბარები ჰყავდათ. ამ გუნდების ვარდა არსებობდა ხმები და საკრავიერა მუსიკის მწყობრიც, როგორც მაშინ უწოდებდნენ, ე. ი. ორკესტრი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა საკრავები“.

როდესაც გადაღის საკრავების დაჯგუფებაზე პროფ. ივ. ჯავახიშვილი დასძენს, რომ „ჩამოსაკრავ საკრავთა ჯგუფს ეკუთვნის ფანდური და ჩანგური. ფანდურის შესახებ ჩვენ ძველ წყაროებშიც მოგვეპოვება ცნობა და ძველი საკრავი უნდა იყოს. არსებობდა ორპალიანი და სამპალიანი ფანდური, ჩანგური კი სამლარიანი და ოთხლარიანი“.

საინტერესოა ერთი ცნობაც: „ქართული მუსიკის განვითარებაში ორი დიდი საფეხური მოჩანს: ერთი როდესაც საკრავებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია, მეორე მერმინდელი, როდესაც საკრავიერი მუსიკის განვითარება ჯერ ჩერდება და მერე თანდათან ქრება“.

ხოლო მე-19 საუკუნის დასაწყისში ხომ თითქმის მოისპოა მათი არსებობა. ხალხმა მხოლოდ აქა-იქ შეინარჩუნა, განსაკუთრებით მთებში.

ამ ვრცელი ამონაწერით იმიტომ ვისარგებლეთ, რომ მიესალმებით წერილის პირდაპირ საკითხამდის.

დღეს ამ საკრავიერ მუსიკას ალორბინების ხანა დაუდგა, განსაკუთრებით ფანდურის და ჩანგურის, რომელსაც ადვილად აქვს როგორც გუნდებთან (ს. კასაძის, კ. ბაქრაძის თარხნიშვილების), ისე ინდივიდუალურად (გომელაური-ილურიძე, ლივარდი, ნინუა, კაკაბუშვილი). ალბათ თავის დროზე ჩვენე მუსიკოსები შეჩერდებიან

ამბატორა და ტბილი საკრავზე, რომელსაც შეუძლია შესანიშნავად გადმოცემა მთელი სიმღერის კილოსი და აგრეთვე გაუწიოს აკომპანიმენტი ყველ სიმღერას.

მეჩინებურე ქალბა ანსამბლის ხელმძღვანელისა აქვს სენტი მეგრული ხალხის აზრით „ჩონგურზე სწავლობდნენ განსაკუთრებით ქალები. ვასათხოვარი ქალისათვის სავალდებულო იყო ჩონგურზე დაკვრის ცოდნა (ალბათ ისევე როგორც „ვეფხვის ტყაოსნის“ ცოდნა ზეპირად, — ა. ლ.) და ზედ დამღერება. ქალს მზითვად ატანდნენ ჩონგურსაცო“.

მაგრამ ჩონგური მარტო სამხიარულო როლის შემსრულებელი კი არ იყო. მას ხშირად უკრავდნენ ავადმყოფებისათვის, განსაკუთრებით ყვავილისა, წითელასი და სხვა სახადის დროს. ამ ავადმყოფობამ წარმოშვა წყნარი ხმით შესასრულებელი შესანიშნავი ნაზი ჰანგებით მდიდარი სიმღერები:

ივენანინაო.  
„ივენანა, ვარდო ნანა,  
აქ ბატონები მობრძანდნენ  
ივენანინაო“

და

„ბატონებო, მოუოხეთ, მოუოხეთ ბატონებო  
(ივენანა)  
ლაშაზე ბატონებია, ია და ვარდი ფენაა.  
თეთრი ტანისამოსით მობრძანდებიან ბიჭები.  
ბატონებს ეხვეწებიან, შემოვწირათ იას და  
ვარდასა“ და სხვა.  
(„საბოდიშო“ — ბატონები).

ხალხის გადმოცემით, ეს სახადები ჩონგურის ნაზი ხმით და ზედ ტბილი დამღერებით ინკურნებოდა; ამ



ანსამბლის სოლისტი მ. თელავილი

სიმღერებში მოისმის იმედი და მოფერება ამ „ბატონებისა“.

ღენინ-სტალინის ნაციონალურმა პოლიტიკამ დაუბრუნა საბჭოთა ქვეყანას თავიანთი ნაციონალური სახე და გაიფურჩქნა ეროვნული კულტურა, ხელოვნება. დღეს

საქართველოს ამ პატარა საკრავმა ჩინურმა დაკარგული უფლებები აღიდგინა.

ჩინურის აღდგენისა და მისი ორგანიზაციის საქმეში დიდი ღვაწლი და მუყაითი შრომა მიუძღვნა აქტსენტი მეგრელიძის, რომელსაც ორმოცი წლის პრაქტიკული გამოცდილება ახლავს. აქ მეგრელიძის მუშაობა დასაფასებელია იმითაც, რომ ეს პატარა საკრავი თავის ძირითადი ანსამბლის კუთხეებში და კი არ გახადა მარტო, არამედ ბევრ სკოლაში, სამხედრო ნაწილებში, დიდ დაწესებულებებში, კოლეჯურწილებში და რაიონებში არსებობს მეჩონგურეთა ანსამბლები, რომელსაც ხელმძღვანელობენ თეთონა აქვ, მეგრელიძე და მის მიერ გამოზრდილი ახალგაზრდა კადრები (ქეთო ლომიძე-რიძე, ელენე მეგრელიძე, ფხალაძე, ზავთასი და სხვა), რომელთა ნაწილმა უკვე თავი ისახადა არა მარტო საქართველოს რაიონებში, არამედ მსოფიოში მოწყობილი თვითშემოქმედებითი ოლიმპიადებზედაც.

მაგრამ მისი მუშაობის ძირითადი არე მაინც მეჩონგურე ქალთა ანსამბლია, რომლის გამოწერონაც საუკეთესოდ შესძლო.

რით არის მნიშვნელოვანი ეს ანსამბლი? პირველ ყოვლისა სწორედ იმით, რომ ეს არის განსაკუთრებით და მარტო ქალთა ანსამბლი, როგორც ჩინურებისაგან შემდგარი ორქესტრი.

ვისაც მოუსმენია ამ ანსამბლის მთლიან რეპერტუარს: „გურული საკოლმეურნო“, „სულიკო“, „ჩელა“ (მეგრული ურმული) „დიდავი ნინა“ (შეყვარებული ავადმყოფის სიმღერა, მეგრული), „ნანა“ (გურული), „ქარის ლექსი“ (გურული) „დაუსრულებელი სიყვარული“ (გურული), „ნანინავა“ (გურული) „გურული სახეშარო“, „სამოილიშო“ (გურული), „ინდი-მინდი“ (გურული) და მრ. სხვა. ის დაწმუნდება, რომ ეს ანსამბლი ყველაზე ძლიერია ხალხურ სიმღერათა შესრულების სიკატობითა: ნიუანსები, ჰარმონია, სინაზე, მელოდიები და ცელა ისე ზუსტად, როგორც ამას ქართული ხალხი დაპოლინება თავის სევისა, სიხარულისა და შრომის დროს. ამიტომ ეძლევა ამ ანსამბლს განსაკუთრებული მნიშვნელობა თავისი ეთნოგრაფიული ხასიათით. თუ გვინდა, რომ ჩვენი ხალხური სიმღერები აღდგეს მასიური რეპერტუარით, გავიდეს, გავრცელდეს ხალხში, სწორედ ამ ანსამბლს ამიტომ უნდა მიეცეთ ფართო ვასაქანი. ის არ უნდა იყოს ჩამწყვედული განსაკუთრებით ერთ რომელიმე ფარში და ისეთივე ისტატებით ზნდა შესართლოს საქათლ-კახური, სვანური, აფხაზური, მთავლური და ქართიველის სხვა კუთხეთა სიმღერები, როგორითაც ასრულებს თავის ძირითადი ფარის მეგრულ-გურული, რეპერტუარს. მან ფართოდ უნდა გამოიყენოს საქართველოს ყველა კუთხის ჯერ კიდევ მიუგზენილი ძვირფასი შემკვიდრება ხალხური მუსიკისა. ამავე დროს მანვე უნდა ვახადოს პოპულარული ის ახალი სიმღერები, რომელსაც მრავალფეროვანად და უხვად ჰქმნის დღეს ჩვენი ხალხი: წითლარმილი, კომპავშირელი, კოლმეურნი თუ სხვა მრავალი.

აი, ამ მხრივ უნდა ემჩნეოდეს ამ ანსამბლს მხატვრული, შემოქმედებითი და იდეური ხელმძღვანელობა ჩვენი ხელოვნების კომიტეტის მხრივ, კერძოდ ხალხური შემოქმედების კაბინეტთან, მათ უმეტეს, რომ მოსკოვში ქართულ ხელოვნების დეკადის დროს საკავშირო ხელოვნების კომიტეტის უფროსმა ანხ. პ. კირქენცე-

მა თავის შესანიშნავ წერილში ქართული მუსიკის შესახებ, ერთგვარი პროგრამაც კი დაუსახა მეჩონგურე ქალთა ანსამბლს..

„უნდა აღენიშნათ მიზანშეწონილი შეკრებულთა დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდისა და მეჩონგურე ქალთა ანსამბლისა. მაგრამ ეს შეერთება იმას კი არა ნიშნავს, რომ მამაკაცთა გუნდი და ქალთა ანსამბლი არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ დიდ ღირებულებებს. ან ორიგინალურმა ანსამბლმა, თითქმის ერთდერით მიეღ საბჭოთა კავშირში, გარდა დასავლეთ საქართველოს გუნდთან მონაწილეობისა, უნდა გაეგრძელოს დამოუკიდებელი მუშაობა თავისი პროგრამით.“ (პირადად 14—17 წყ.)

ავილით თუნდაც ვახაფხულისა და ზაფხულის სეზონი ჩვენი კულტურული ბაღებისათვის. არ არის დღე, რომ არ გამოდიოდეს ეს მეჩონგურე ქალთა ანსამბლი ან დამოუკიდებლად ან დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ გუნდთან ერთად.

უკვე ყველაშათვის ცნობილია, რომ სიმღერებში ყველაზე პოპულარული არის კომპოზიტორი ი. ტუსკის სიმღერა: „დიდ ველადზე“, „სულიკო“. „გურული საკოლმეურნო“ (კახე მთავრე ამოსულა) და იმავე ტუსკის ხალხურ მუსიკაზე დაფუძნებული სიმღერა: „დაჩიკო“. ყველა ეს სიმღერა ხასიათდება იშვიათი ლირიკით, გაცაცოხლებობით, პათოსით, რაც იწვევს დიდ ემოციას მსმენელში.

ეს ოთხი სიმღერა სრულდება და უნდა შესრულდეს კიდევაც ყოველ კონცერტზე. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამას გარდა, ანსამბლი ვერ გასცდა „გურულ შირბებს“, „კახურ შირბებს“, „ჩონგურის სიმები ვაგუმბს“, „დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს“, „დაუსრულებელი სიყვარული“, „შენ ჩემი ხარ, მე შენი“, და სხვა.

ანსამბლი იშვიათად ასრულებს ახალ სიმღერებს ისიც ორიოდეს. თუმცა ვიცით, რომ მათ რეპერტუარში თითქმის 52 სიმღერა შედიოდა: „თესვის სიმღერა“, „სამოილიშო“, „ინდი-მინდი“, „გლეხავ და გლესავ“, „ალი-ფაშა“, „გურული მაყუელი“, „გურული მხედრული“ და მრავალი სხვა. ნუთუ ეს სიმღერები საესტრადო არ არის! ამრიგად, რეპერტუარი უმთავრესად ერთფეროვანია.

მეორე, ანსამბლის სიმღერათა სიტყვიერი მასალა მეტად ღარიბი და მწირია. ეტყობა ანსამბლს სრულიად არა აქვს გამოყენებული ის დიდი მასალა საერთოდ და განსაკუთრებით კი ახალი ფოლკლორისა, რომელიც ასე მრავალფეროვანად არის წარმოდგენილი ჩვენს ლიტერატურაში.

ავილით თუნდაც უპოპულარესი სიმღერა: „გურული საკოლმეურნოს“ სიტყვები, აქ ორი ლექსია შეუსაბამოდ შეერთებული.

„ახ, ტრატკორო მე შენს გამჩენს, ვენაკაველ ხელშია..“

ამას მოსდევს ენუზიად გამართული გავრცელებული და შესანიშნავი ნიმუში ახალი ფოლკლორისა, ლექსი: „სიმღერა ბელადზე“:

„ცახე მთავრე ამოვიდა, ნიშინა დარისია, კოლექტივი გაძლიერდა გამარჯვება სტალინსაო.“



„ცაზე მთავრე ამოვიდა,  
ნიშნია დარისაო,  
სამაჟირი ცხოვრებისთვის  
ვენაცვალე სტალინისა“.

უკეთესი არ იქნებოდა სიმღერა დაწყებულიყო სწო-  
რედ ამ ლექსით და გაგრძელდა გამოქმენილიყო უფრო  
უკეთესი და ძლიერი, ვიდრე წინანდელი დასაწყისი, მით  
უმეტეს, თუ არა ვცდებით, პირველი ნაწილის ორი ტა-  
კეცა წარმოადგენს დამახინჯებულ ტაქებებს შემდეგი  
ლექსისა:

ჯულაშვილო, მე შენს გამჩენს  
ვენაცვალე ყელშია!  
დაწიხლული გულეკაცობა  
შენ გამართე წულშია.  
თავისუფლად გამოვდივართ  
მინდრებში და ერშია,  
ჩვენი ძველი მხაგვრელი კი  
გდია სამარეშია.  
ჯულაშვილო, მე შენს გამჩენს  
ვენაცვალე ყელშია.

ამას გარდა ერთი და იგივე სიტყვები.

რა ექნა რა ვუყო თავსაო,  
ამ ჩემ პატარა ქმარსაო,  
არცა აქვს შენახვის თავი  
აღიჯე მანებებს თავსაო.

გამორებულაია ორ სიმღერაში, ერთსა ჰქვიან „გუ-  
რული საჭუმარო“, მეორეს: — „დედაც მიყვარს, მამაც  
მიყვარს“.

რაც შეეხება საერთოდ შიირების სიტყვიერ მასალას,  
ზოგ შემთხვევაში იგი მოკლებულია ხალხის გონება-მან-  
ვილობას, მოსწრებულ პასუხებს, რითაც საერთოდ ხა-  
სისათება ხალხური შიირები. ყველა ეს იმის მაჩვენებე-  
ლია, რომ ანსამბლი ტექსტუალური მასალის შერჩევაზე  
ნაკლებად ზრუნავს.

ანსამბლი სრულიად არ ზრუნავს კადრების გადიდე-  
ბაზე. ყოველ შემთხვევებში ანსამბლის საუკეთესო სო-  
ლისტების კორდენოსან ელ. ჭუმბარბიას და მ. თედია-  
შვილზე დამყარება. სათადარგო სოლისტებიც აუცი-  
ლებლად უნდა ჰყავდეს ანსამბლს.

ანსამბლის საუკეთესო სოლისტები არიან ელ. ჭუ-  
მბარბია და მ. თედიაშვილი, რომლებზედაც რამოდენიმე  
სიტყვით შეგვირდებით.

ვერ ვიტყვი, რომ ელ. ჭუმბარბიას იშვიათი მღა-  
ლი, დიდი და ძლიერი ხმა ჰქონდეს. არა, შეიძლება მი-  
სი ყანრისათვის არც იყოს ეს საჭირო, სამაგვიროდ მას  
ის ღირსება აქვს, რაც ხშირად არა აქვს ბევრს სხვა მო-  
მღერალს. ეს არის ხალხური სიმღერების ვადმოცემის  
იშვიათი უნარი, პატარა ნახი ხმით, ლამაზ ტემპრით,  
ტონალობით და დიდი გრძნობით. ელ. ჭუმბარბიას აქვს  
თვითთული სიმღერის საკუთარი ინტერპრეტაცია. მისი  
მარტო ვოკალითა კი არ არის მიმზიდელი, არამედ უმ-  
თავრესად ის, რომ მის სიმღერას დიდი დალი ბზის იმ  
უაღრესად ადამიანური განწყობილებისა, რომელიც ჩვე-  
ნი ხალხის სიმღერებშია ჩაქსოვილი. ეს არის: ადამი-  
ანური სიყვარული, სევდა, ღიმილი, თავგუკანაგული შე-  
ში, გამბედაობა, სიხარული, სიამაყე. აი, ამ განცდებს  
იძლევა ელ. ჭუმბარბია ცოცხლად, სინამდვილით და  
გულწრფელობით.

სამწუხაროდ ჯერ კიდევ ვერ მივიგინა იმ სიმე-  
რისათვის, სადაც ძველი ქართველი ქალი გამოხატავდა,  
როგორც რუსეთის ვერა შლოგო, თავის შიმში ხეიდრს,  
სამინელ უთანასწორობას, დამცირებას და დეკლარაცი-  
პირად ბედნიერებას — რათა ამით გვეგრძნოთ მთლი-  
ტრავედია ძველი ქართველი ქალის სულისა, მაგრამ სა-  
მაგვიროდ ელ. ჭუმბარბიას სიმღერაში მთლი სიღრმით  
გრძნობით ვაღრნუნობრის დროს საერთოდ ქართველი  
მშრომელი ხალხის სევდას, ცრემლს, ქედის მოღუნვას,  
გაქირვებას და საკუთარი ოჯახის პატარა მზიარულეებს  
განცდებსაც; ასეთია ელ. ჭუმბარბიას დიდი ოსტატობით  
განმოცემული „ჩელა“, „დღე და ვოი ნანა“, „საბოლოო“,  
„ქალმა სიქვა, ქმარი არ მინდა“, „ნანა“ და მრ. სხვა.

ამავე დროს დიდი პათოსი, ოპტიმიზმი, სიამაყე და  
აღფრთოვნება ისმის ყოველი მისი ახალი სიმღერების  
შესრულების დროს: „გურული საკოლმეურნეო“, „ახა-  
ლი დროება დაღვა“ და სხვა თანამედროვე სიმღერაში,  
სადაც ნათლად ისმის განახლებული, გამხიარულებული  
და ბედნიერი გულხის სიმთა ეღერა. ასე მღერა ამ ახა-  
ლი სიმღერებისა შეუძლიან სწორედ საბჭოთა ქვეყნის  
მსახობს, რომელიც გრძნობს, უყვარს და ესმის ჩვენი  
დღევანდელი ცხოვრება.

მაგრამ უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ელ. ჭუმბარ-  
ბია ვერ იჩენს ასეთსავე ოსტატობას აღმოსავლეთ სა-  
ქართველოს სიმღერების შესრულების დროს. მისი: „ახა-  
ლი ცხოვრება დაღვა“ (ქართულად), „კახური შიირე-  
ბი“ — (შავი ბიჭო ვენაცვალე, თეთრო გამეცალე) არა  
ეღერს ისეთი სინახით, სიღრმით, როგორც მის მიერ შე-  
სრულებული გურულ-მეგრული სიმღერები.

ამით იმას არ ვამბობთ, რომ თითქმის თვითველ ხმას  
თავისი ყანრი ჰქონდეს და ამიტომ ელ. ჭუმბარბიას ყან-  
რი იყოს მარტო და მხოლოდ გურულ-მეგრული სიმღე-  
რები და აღმოსავლური ან საქართველოს სხვა კუთხეთა  
სიმღერებს ვერ შესარლებს, არც ეს იმიტომ ხდება,  
რომ ელ. ჭუმბარბია არ იცნობს ქართლ-კახეთს, მის  
ფოლკლორს, მის სიმღერას, მის ცოცხალ ხალხს, რო-  
მელიც ასრულებდა ამ ხალხურ სიმღერებს და ჩვენი  
მოვალეობაა ამაში ხელი შევეწყობო და დავებმაროთ ამ  
კარგ მომღერალ ქალს.

რაც შეეხება მ. თედიაშვილს, ის ოქტომბრის რევო-  
ლუციის თანატოლია წლოვანებით და მისი პირში  
შვილი. ეს სულ ახალი ძალა და ძალიან კარგი ძალა  
ხალხური სიმღერების ზუსტად და ლამაზად გადმო-  
საკემადა.

მ. თედიაშვილს ღია, სუფთა და წკრილია ხმა აქვს,  
რომელსა აშარი შიირებს, როგორც ხშირ ფალოტებს ნა-  
ხი სოი. მისი ხმა მეტიადი მასალა და მოითხოვს და-  
მუშავენას, დაყენებას და კულტურას, რათა ჩამოეცა-  
ლოს ის ოღნავი სიმშრალე, რომელიც მას ახასიათებს.

მ. თედიაშვილს ლამაზი, ჯანსაღი ხმა ხელს შეუწე-  
ვობს იმისათვის, რომ სწორედ სიმღერა ვადმოსცეს ათ-  
ვისი ხალხსთვის და მომზებლველობით, რაც ჯერ მილია-  
ნად არა აქვს დაძლეული. მაგრამ მისი წკრილია, თა-  
ვისუფელია ხმა და სიმღერა ეს არის სიციცხლით, ახალ-  
გაზრდობით, პათოსით სავსე, და სწორედ ასეთ ემოცი-  
ებსაც იწვევს ის მსმენელში. მ. თედიაშვილს მომავლი  
წინა აქვს, მას დიდი შე-  
თვითონ მ. თედიაშვილი იმეებს, მაგრამ აქ საკი-  
კალი

როა ხელოვნების კომიტეტის დიდი დახმარება, ხელმძღვანელობა და ყურადღების მიქცევაც, თუ გვინდა, რომ მ. თედიაშვილი დადგეს ხალხური სიმღერების საუკეთესო შემსრულებელი.

ამათ გარდა მერონგურე ქალთა ანსამბლში ბევრა ხმებია შესამჩნევი: ც. მამედ-ოღლი, აჭარელი ქალი, კრიმანჭულის მთქმელი. კრიმანჭული საერთოდ მაღალი ფალცეტით სრულდება, სიმღერაში დისონანსით იჭრება, მაგრამ მისი კოლორატურა რთული რამ არის და ყველას არ შეუძლიან მისი შესრულება. ც. მამედ-ოღლის კრიმანჭული დაძლეული აქვს. ასევე ილსანიშნავია

ქ. ლლობერიძე, რომელიც თავისი ბანით ანსამბლში ერთერთი საუკეთესო ძალას წარმოადგენს.

ამრიგად, ქართული ხალხური შემოქმედების მსახივრე-კალურ-სავუნდო დარგიდან შემსრულებელთა შესანიშნავი კოლექტივია მჭონგურე ქალთა ანსამბლი.

უდაოა ის გარემოება, რომ ანსამბლის შემოქმედებითი ზრდას დიდად შეუწყუა ხელი დას. საქ. ეთნ. გუნდთან შეერთებამ. მაგრამ ეს არის მხოლოდ ორგანიზაციული მხარე. საჭიროა აგრეთვე სამხატვრო ხელმძღვანელობის გაძლიერებაც, ეს კი მთავარია საერთოდ ხალხური გუნდების რეპერტუარის შექმნა- განვითარებაში.



მიკონგურე ქალთა ჰირმელი ქართული ანსამბლი



# ლ ე კ უ რ ი

— თქვენ რაც გინდათ სთქვით, და ჩვენი ცეკვა ნაირ-ნაირობით მდიდარი არ არის!.. როგორ შეედრება, მაგალითად, პოლონეთისას? რა მრავალფეროვნებაა და რა სილამაზე!.. აიღეთ პოლონეზი, კრაკოვიაკი და, ბოლოს, მაზურკა, ეს მშვენიერბათა მშვენიერა ცეკვისა! — ამბობდა ერთი მოსაუბრეთაგანი სრული გულწრფელობით და დაჯერებულად.

საუბარი, საერთოდ, ხელოვნებაზე იყო და ბოლოს როკვაზე გადავიდა. მოსაუბრენი ცოტანი იყვნენ, ასე ხუთი-ექვსი კაცი, ზოგი ახალგაზრდა, ზოგიც ხანში შეუსული.

— რას ამბობ, კაცო! ნაირნაირობაზე თუ მიდგა საქმე, იმდენი საცეკვაო, რაც ჩვენა გვაქვს, არა მგონია, ბევრ სხვა ერს გააჩნდეს... ვერა ხედავ; ახალმა ცხოვრებაში, ხელოვნებაში რომ ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი მიაკუთვნა თავის წიაღში, რამდენი ყამირი გასტეხა ძველი კულტურისა და რა მარგალიტები აღმოაჩინა ხალხის შემოქმედებისა, რასაც ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენდით?! — უპასუხა კილომეცილებით მეორემ.

კილომეცილებით-მეოთე იმიტომ, რომ საუბარი საღიშმოდ იყო და, როგორც მოგხსენებათ, ქართული საუბარი „სადიდებოდა“. ცოტა არ იყოს, მაღალ ფარდებში მიმდინარეობს ხოლმე.

— ღვთის გულისთვის, ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს თავი დაანებე და შენ ფაქტები დამისახელე...

— ბაშუსტა! ინებე! დავიწყობ ფერხულთი და მიეყოლოთ სამაია, შევლევო, სუანური შამარია, მერე შენანიშნავი ხორუმი, დავლური და...

— რალა თქმა უნდა, ლეკური! — გააწყვეტინა სიტყვა პირველმა დამცხავი დიმილით.

— ჰო და, ლეკური! ვანა რა ხელწამოსაკრავია?! — უპასუხა მეორემ.

— ჯერ ერთი, არ ვიცით დანამდვილებით, ეგ შენი ლეკური ქართული ეროვნული საცეკვაოა, თუ ნასესხები? თვით სახელწოდება გვიჩვენებს, ყოველ შემთხვევაში, მის არათავანჯარ ქართულობას და, მეორეც, მას ყველა მთიელი ხალხი თავისად სთვლის.

— ერიპაა ეგდა გვაკლად! შენ ისეთებში შესტობე, რომ აქ ბაასიც შეუძლებელია... — წაროხსთქვა მეორემ წყნით.

— კაცო, ამისთანა კამათში გაწიწმარება რა შუაშია? ეს სიმართლემდე ხომ ვერ მივიყვანას? შე აზრი გამოვთქვი, შენც აზრით მიპასუხე.

— რა უნდა გიპასუხო, ძმაო? დამდგომიხარ და მეუბნები შენ-შენ არა ხარო! აბა, რა ეშმაკი საბუთი მოგიტანო, რომ შე — შე ვარ? ათადან-ბაბადან ლეკური ქართულ ცეკვად ითვლება... ახლა შენ ამაზუნდაც ეკვი შემოგაქვს... ბატონო პროფესორო! — მიუბრუნდა იგი ერთ ქალბატონს, რომელიც ჩადიქრებული ოთახში

ბოლოსა სცემდა და თითქო ბაას ყურს არ უგდებდა. თქვენ მაინც უთხარით რამე ამ ურწმუნო თომას...

— რა უნდა ვუთხრა? — სთქვა სიცილით პროფესორად მოგებულმა — მე სამარლის პროფესორი ვარ და არა ცეკვისა.

— მართალია, მაგრამ დღევანდელმა თქვენმა მსჯელობამ, საერთოდ, ხელოვნებაზე აშკარად დაგვანახვა, რომ ქორეოგრაფიაზედაც ბევრ რამ საულისწმოს გვეტყვით, კერძოდ, ქართულ ცეკვაზე და განსაკუთრებით ლეკურზე.

— ბაშხადუნ ბიჭო! — წამოიძახა ერთმა ხანში შესულთაგანმა. — მოსწრებული მისამართია! ჩემი ახლო ნათესავი ნუ მიწყენს, თუ მის წარსულის ხეაშიაღს გამოვამჟღავნებ. — აქ მან პროფესორს ოინაზუღად თვალი ჩაუყრა. — იცით თქვენ, რომ, — განაგრძო მან, — დღევანდელი სწავლული და პროფესორი ყრბობისას შენსინიშნავი მოლეკურე იყო! იმდენად სახელგანთქმული, ისიც კახეთში, რომ მის ბალობას არ ერიდებოდნენ და დიდ საზეიმო საღობებზე თუ ვახშებზე უცილობლად ამას იწვევდნენ ხოლმე როგორც ფენომენს, მეტადრე, თუ ვინმე საბატოი სტუმარი იქნებოდა...

— ვერიდებოდი დილოსა და... დამხვდა სოფლის ბოლოსა, — სწორედ შენზეა ნათქვამი — მიმართა მამხილებელს პროფესორმა დარცხენით და თანაც ღიმილისი. — ეგ ცოლო რომელ კახელს არ უშიშმებს სინილისი? მაგრამ შენს თავს რაღად ივიწყებ?... არც შენ იყავი ლეკურზე ტუჩაბზეკით! რა ვიცი, შენი ფეხების ტყაბაუტყუბისაგან და ტლინკებისაგან ყურები? მქონდა წართმეული, როცა ერთად ვიყავით ხოლმე.

— საქმეც ეგ არის... ტყაბაუტყუბისა და ტლინკების მეტი რომ არა გამოვიდა რა, ავიღე და... თავი დავტყარ ლეკურს. მაგრამ შენ? შენ რა დავემართა? ის იყო, გიმნაზია გაათავე და ლეკურზედაც ხელი აიღე.. იცი, ჩვენი ვაგოთები როგორ ოხუნჯობდნენ შენზე? ჰოთონს ფილოსოფიის კითხვა დაიწყო და თავი ბრძნად წარმოიღვინაო. ხად ბრძენი და სად ლეკურიო! აი, სწორედ შენზე ითქმის „მით რააც მინდა არა მაქვს, რააც მაქვს — არ მომიხდებს“-ო.

— სცდები! ეგ კი არა, რუსთველის სხვა აფორიზმმა ამაღებინა ხელი ლეკურზე: „თუ ყვევი ვარდსა იზოფენის — თავი ბულბული ჰვინია“-ო.

— მერე, როგორ? ყველა ხომ დარწმუნებული იყო, რომ ლეკურში შენ ბულბული იყავ, და ვარდიც ღირსეულად გეყვარა!

— მეც აგრე მეგონა, ვიდრე არ დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი.

პროფესორის სიტყვებმა საერთო ინტერესი აღძრა. ყველანი მიეტვივნენ და ერთხმად სთხოვდნენ — გვიამბეთ, გვიამბეთ, რამ ავადებინათ ლეკურზე ხელიო.

პროფესორმა საამუშაო ვაილია. ლიმილი ძალიან ამ შენედა მის ჰკვიანურ ხასხს და, ბაგეთაგან გამოხარკოთობი, თვალების მეტყველებას ეკოლოკავებოდა, აცხოველებდა.

— რაკი ჩემი ნათესავის ენაპარტალობით გამჟღავნებული ვარ და თქვენც არ იშლით, ვიამბობთ. — დაიწყო მან. — მაგრამ ჯერ რამდენიმე სიტყვა ლექსურს ქართულბოძახე. ნუ გაგიკვირდებთ, რომ ეს ზოგიერთისათვის ჯერ კიდევ ვადაუქრელი „პრობლემა“ა. ჩემი ახალგაზრდა მეგობარი ფორმალურად შეიძლება მართალიც იყოს: სახელწოდება „ლექური“ გვიჩვენებს, თითქმის ეს ცეკვა უცხო სათავიდან მომდინარეობს. თანაც ყველა მთიელი ტომი მას თავისად სთვლის. მაგრამ დამახასიათებელი ისეთი საცეკვაო, რომლის გამოძახილსაც, ანარეკლსაც სხვადასხვა ერის ამა თუ იმ ცეკვაში არ გამოიკნობდეთ?

თქვენ ამბობთ, — მიუბრუნდა იგი პირველ მოსაუბრეს, — რა შედრება პოლონესს, კრაკოვიას და მახურკასო? გეტყვინებით — მშვენიერება! მაგრამ პოლონესს სრულ განსახიერებას ჩვენ ვცვლებით სეანურ შამარირაში. იგივე წყვილწყვილი ქალბავი ხელჩაიკიდებელი. იგივე კვიცივით სრბოლა და ქვედატანის ოდნავი რხევა. ამ ორ საამურ მხალსტიკურ საცეკვაოს განასხვავებს ერთმანეთისაგან პოლონე დესათვის ნიუანსი, რაც თავისებურ ხასიათს აძლევს პოლონესსაც და შამარირასაც. ვინ ვისგან ისესხა — სეანებმა პოლონელებსაგან, თუ პოლონელებმა სეანებისაგან? მე მგონია არც ერთმა, არც მეორემ. ორივე ხალხში თავისუფლად და ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად წარმოიქმნა ეს თანამსგავსი ცეკვა, სწორედ ისე, როგორც თავისუფლად და დამოუკიდებლად იზადება ესა თუ ის ოდნავი სიუეტეტანი ლეგენდა, თქმულება სხვადასხვა ხალხში, რომელნიც დამოუკიდებელი არიან ერთმანეთზე დიდი მანძილით, და რომელთაც ურთიერთობა არადასრის არა ჰქონიათ. კრაკოვიასი ანახახი ცეკვა მე მინახავს სკანდინავიე ხალხთა ერთერთ ცეკვაში, რომლის სახელწოდება აღარ მახსოვს. ასევე უნდა ითქვას მახურკაზედაც, ვინაიდან მას ძალიან ეკოლოკავება ჰუნტურული „ჩარაბიში“. ხოლო მახურგებმა — პოლონეთის ერთ-ერთმა ტომმა — ისეთი თავდაპირველები სიხარული და აღტყინება შობაბერეს ამ საცეკვაოს, რომ მათ უპირატესობას ვერაფერ შეეადგება.

